


# ლიტერატურული გაზეთი

№20 (228) 2 - 15 ნოემბერი 2018

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ქართველების დაუჯერებელი  
თავგადასავალი გერმანიაში

II-III

## გიორგი ლობჯანიძე

\*\*\*

სიყვარული მანამ არსებობს,  
სანამ მისი დაკარგვის გეშინია...

მე ყოველთვის ჩემი სიგიჟე  
და შიში მზრდიდა.  
ძუძუსავით  
ხან ერთი მედო პირში,  
ხან მეორე  
და ასე ვკვებავდი  
წარმოსახვას  
სიყვარულზე,  
რომელიც ისე გაიზარდა,  
რომ ერთხელაც  
ძუძუებს სულ სხვა განზრახვებით  
წაეპოტინა...

მოიგდო შიში  
და კოშმარები გამოსწოვა...  
სიგიჟეს ეცა  
და  
სიბრძნის ხსენი წამოადინა...

სიბრძნის ხსენმა  
მოამაგრა არსებობა  
და თქვა:  
„შიში შეიქმს სიყვარულსა!“

ხოლო სიგიჟემ უპასუხა:  
„სიყვარული არ არსებობს,  
თუ გეშინია!“

IV-V

## ზაალ ებანოიძე

სასჯალი

1.

მიაბჯინე თვალეები გაჯავრების ნიშნად,  
დღემდე შენი წამების შარავანდედს ნიშნავს:  
აჯანყების უნარი, შუბლზე — ხვითქის ღელე,  
თოვლისფერი მკურნალობს ცოდვებს სისხლისფერებს,  
მორჩა! — აღარ გჭირდება — მიჯნას უკვე აცდი —  
ნაჩუქარი დიდება — მორალური მარცხი.

2.

ეს ხორციელი მონყენა, ეს სულიერი შფოთი,  
იმდენი რამის მომსწრე ხარ — მოსაგონებლად გყოფნის:  
მიჯრით — სურათი სურათზე და ლხინზე მეტი — ჭირი;  
ქადილი აისრულა მზემ — არც რო ეხსნება კბილი,  
კურცხალი გადაიტეხა ხელში ნაზელი თიხა;  
შენივე თავის ციხე ხარ — გაქვს მისჯილი და ზიხარ.

VIII-X






# ქართველების დაუჯერებელი თავგადასავალი ბერმანიაში

თეა ყიფშიძე

ეს დაუჯერებელი ამბავი კარგა ხნის წინ დაიწყო და დაუჯერებელი ჩანდა 2018 წლის ოქტომბრამდეც — ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორ მოახერხებდა საქართველო გოეთეს სამშობლოში ლიტერატურულ გადატრიალებას, თუმცა... გადატრიალება მოხდა, თანაც არა მხოლოდ ლიტერატურული და ქართველების დაუჯერებელი თავგადასავალი გერმანიაში საარაკო ამბად იქცა.



### ანბანით მოთხრობილი საქართველო

თბილისის აეროპორტშივე ვიგრძენი, მალე სხვა სამყაროში აღმოვჩნდებოდი... ფრანკფურტში წამსვლელთა რიგი, პრაქტიკულად, ქართულ კულტურას აერთიანებდა — აქ იყვნენ პროზაიკოსები, პოეტები, ლიტერატორები, მთარგმნელები, მოცეკვავეები, მუსიკოსები, მხატვრები, მსახიობები...

მწერალთა ნაწილს ჰაერში აფრენამდე ეტყობოდა ღელვა — უცხოელ მკითხველთან შეხვედრის მოლოდინით გამოწვეული ემოციები, რომელიც კიდევ უფრო გამძაფრდა იქ და იმ ადგილას, ქართული წიგნის ეროვნულმა ცენტრმა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე რომ დაახვედრა.

ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე კი მართლაც გასაოცარი სანახაობის მომსწრენი ვავხდით — სტუმარი ქვეყნის სტატუსის მქონე საქართველოს თავისი ანბანი

გაეშალა დეკორაციად უზარმაზარ პავილიონში.

„...არსებობენ ძველი, დღევანდელი სამყაროსთვის ან სრულიად უცნობი, ან ერთეულ მოყვარეთათვის ნაცნობი კულტურები, რომლებიც არ მომკვდარან და რაღაც მაღალი საოცრებების წყალობით მოვიდნენ XXI საუკუნემდე... ბედნიერებაა, რომ სწორედ ასეთ კულტურას წარმოადგენ და ამაზე ორი სიტყვის თქმა შეგიძლია...“ — აკა მორჩილაძემ ამ სიტყვებით შეალო ფრანკფურტის ბაზრობის კარი ათასობით, ათი ათასობით, ასი ათასობით და, როგორც ბოლოს გაირკვა, მილიონობით უცხოელი მკითხველის წინაშე და გაუჩინა მოლოდინი, აღმოეჩინათ მათთვის დამალული, ჯერაც უხილავი და უნიკალური ანბანით მოთხრობილი საქართველო.

მართლაც საოცარი ამბავი იყო —


ფრანკფურტში ყველგან Georgia შემოგხვდებოდათ — ქართულ სიტყვას, სიმღერას, ცეკვას, სხვადასხვა სახის პერფორმანსს, თეატრალურ წარმოდგენებსა თუ კლასიკურ და ელექტრონულ მუსიკას, კულინარიასა თუ მათთვის უცხოა და ეგზოტიკურ ასო-ბგერებს თითქოს დაეპყრო გერმანია. ეს სხვა საქართველო იყო — ევროპული, ძალიან ძველი, საამაყო და აღმაფრთოვანებელი. აი, ისეთი, ხშირად რომ გვიოცნებია თითოეულ ჩვენგანს.

აქ ყველა თაობის მწერალია მათთვის აღმოსაჩენი — კლასიკად აღიარებული დანყებულები თანამედროვე ლიტერატურით დამთავრებული. 10 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრამდე დილიდან ღამემდე მხოლოდ საქართველოსა და მის კულტურაზე ლაპარაკობენ — ნახევარსაათიანი შეხვედრები მკითხველებთან, ემოციების გაცვლა-გამოცვლა, ორმხრივი აღფრთო-

ვანება, პანელ-დისკუსიები, გურამ დოჩანაშვილისა და ბესიკ ხარანაულის შემოქმედების განხილვა მათივე თანდასწრებით, საუბრები ყველასა და ყველაფერზე, რასაც ქართული ლიტერატურა ჰქვია; ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მიერ 300-მდე უცხოენოვანი თარგმანი და უცხოელი გამომცემლობების მიერ საქართველოზე დასტამბული 600-მდე წიგნი; სხვადასხვა სივრცეში ამ წიგნებით საცხე სტენდები და ქართველთათვის განკუთვნილი სცენები და ჩაკეტილი სივრციდან საზღვრებს გარეთ აღმოჩენილი 100-მდე მწერალი — მართლაც შთამბეჭდავია.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი უცხოელების სახეები და მათი დაინტერესებაა. თითოეულ შეხვედრას იმაზე მეტი ადამიანი ესწრება, ვიდრე ადგილებია განსაზღვრული. კალიგრაფისტებთან მუდმივი რიგა





— ქართული ანბანი ანერინებენ საკუთარ სახელებს, ტატუს იკეთებენ და მერე ამისთვის მადლობასაც მოგახსენებენ. ნიგნები? გერმანულად ნათარგმნი ნიგნები იყიდება ისე, რომ ყველაზე სკეპტიკურად განწყობილი გერმანელი გამომცემლებიც კი გაოგნებულნი არიან. ბევრს ხელახალი ტირაჟით დაბეჭდვა უნევს და ერთის მხრივ, რასაკვირველია, ახარებს როგორც გამომცემლობას, რომლისთვისაც ეს ბიზნესია, ისე მწერალს, რომლის შემოქმედებაც არ აღმოჩნდა მხოლოდ ქართველებისთვის განკუთვნილი და უცხოელთათვის ვერგასაგები. მითი დაიმსხვრა. ყველაზე „უთარგმნელი“ ავტორი — გურამ დოჩანაშვილიც კი ისე „გაიგეს“, მეტის „დაგემოვნების“ უსაზღვრო მადა გაეხსნათ.

„საქართველოს გაცნობა, რა თქმა უნდა, შეიძლება იქ მოგზაურობით, მაგრამ მაინც ჯობს, ქართულმა ლიტერატურამ მოგახსენოთ თავისი ძველი და უცვლელი სათქმელი იმის თაობაზე, რომ სიყვარული, მეგობრობა, სირთულეები, სიკვდილი და სიცოცხლე, ომი და მშვიდობა, იუმორი და ტრაგედია ისევე არის ჩვენი ცხოვრების ნაწილი, როგორც თქვენი და ამაზე ლაპარაკი და თხრობა ისევე შეგვიძლია, როგორც ბევრს არავის დედამისის ზურგზე. ამის მრავალსაუკუნოვანი, სამყაროსთვის უცნობი ტრადიცია გვაქვს. ჩვენი ლიტერატურა ჩვენი აღსარებაცაა, ჩვენი ოცნებაცაა...“ — როცა აკა მორჩილაძე ამ სიტყვებს წარმოთქვამდა, ალბათ თავადაც ვერ წარმოედგინა, მეორე დღიდანვე რას დაატრიალებდა ქართული კულტურა. როგორც მოგვიანებით, თავად ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ფრანკფურტის წიგნის ბაზრობას, რომელიც აგერ უკვე სამოცამეათედ გაიმართა, არ ახსოვს ასეთი ემოციური, მდიდარი, სავსე სტუმარი ქვეყანა, რომელმაც მოახერხა და იქ, სადაც მსოფლიო გამომცემლები თუ ნიგნები იყო წარმოდგენილი, ყველა და ყველაფერი დაჩრდილა.

ეს იყო ხილული აღიარება, მაგრამ შეუძლებელია, არ აღვწერო, რა ხდებოდა იქ, სადაც ქართველი მწერლები ცხოვრობდნენ — განუზომელი ბედნიერება, შთაბეჭდილებების გაზიარება, აღტყინება, ურიცხვი რაოდენობის მადლობა იმისთვის, რომ მათ მისცეს შანსი, საზღვრები გაერღვიოს და საკუთარი შემოქმედებით ევროპულ მკითხველამდე მისულიყვნენ. ამდენი ბედნიერი და გაღიმებული მწერალი, ალბათ, არასდროს არავის უნახავს. წარმოდგინეთ, „საბას“ დაჯილდოების ცერემონიასაც კი, რომელსაც დიდი ვნებათაღელვა ახლავს ხოლმე და რომელიც ფრანკფურტის ისტორიულ, მერიის შენობაში იმ დღეებში გაიმართა, არ მოყოლია დაპირისპირება და ვრცელ-ვრცელი კომენტარები, არადა, ყველაფერი ეს გერმანიაში კი არა, საქართველოში რომ ყოფილიყო, ამდენ მწერალში დიდი თუ არა, პატარა კონფლიქტი მაინც გაჩაღდებოდა უიურის ავ-კარგინობასა თუ მის არჩევანზე. აკი გითხარით, გერმანიაში სხვა საქართველო იყო-მეთქი.

ყველაზე ამაღელვებელი კი ბოლო დღე, 14 ოქტომბერი, აღმოჩნდა...



ემოციური იყო მორიგი სტუმარი ქვეყნის — ნორვეგიისთვის გრაცილის გაცემაც...

საქართველოზე უზომოდ შეყვარებული გვეჩვენა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის დირექტორი, რომელზეც ჩვენმა ქვეყანამ, ლიტერატურამ და კულტურამ აშკარად წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და სწორედ ამ შთაბეჭდილებით სავსემ მადლობების სერია არ დაიშურა ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც მცირედი წვლილი მიანიჭ შეიტანა, მსოფლიოს ასეთი საქართველო გაეცნო...

თუმცა მთავარი სიურპრიზი სხვა აღმოჩნდა...

როცა მთავარი სცენა გერმანელი ორგანიზატორებით აივსო, ხელში ფურცლები რომ ეკავათ, არავინ იცოდა, რა მოხდებოდა...

ვერავენ წარმოდგენდა...

ვერავენ იფიქრებდა...

ვერავენ დაუჯერებდა ყურებს, რომ ამდენი „ცივისსისხლიანი“ გერმანელი დადგებოდა და ქართველების საპატივსაცემოდ „სულიკოს“ შეასრულებდა...

სამოცდაათი წლის მანძილზე ეს პირველად მოხდა...

გაიკვირვეს თავად და ჩვენც გაგვაკვირვეს...

ეს საარაკო ამბავი — საქართველოს, როგორც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის სტუმარი ქვეყნისა — XXI საუკუნის 10-იანამ წლებმა მიითვალა. მასზე თაობები ილაპარაკებენ, როგორც ვეროპაში კულტურულ გარღვევას; ლიტერატურულ გადატრიალებას; ისტორიულ მოვლენას. თვითმხილველები დიდხანს იამაყებენ, ყველაზე უჩვეულო მონათხრობის ავტორი კი ალბათ იქნება ერთი გოგონა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ოჯახურ ტრადიციას არ დაარღვევს და საკუთარ ბედს ლიტერატურას, წიგნსა და საგამომცემლო საქმიანობას დაუკავშირებს.

წლების შემდეგ ქეთო კვარაცხელია, ალბათ, დანერს:

„თვენახვერისა ვიყავი... დედ-მამამ (მაია კუდავა, ზვიად კვარაცხელია) და ბაბუამ (კახმეგ კუდავა) შინ არ დამტოვეს, ამ ისტორიული მოვლენის გემო რომ შემეგრძნო. გაგვცინებოდა, ამ სასკში რა უნდა დამმასხორებოდა, ან რა უნდა შემეგრძნო, თუმცა...“

მგონია, რომ ჩემი ყურით მოვისმინე 2018 წლის 9 ოქტომბერს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის გახსნაზე აკა მორჩილაძის სიტყვები:

„საუკუნეების მანძილზე ჩვენ ძალიან ბევრს ვთარგმნიდით... ჩვენ არ გვთარგმნიდა არავინ. ჩვენ ვკითხულობდით ყველაფერს და თქვენ — არაფერს ჩვენსას...“

დიახ, გულწრფელად მჯერა — ყველაფერი მესმოდა და აღვიქვამდი...

ბედნიერი ვარ, რომ გავხდი ყველაზე პატარა მონაწილე იმისა, როგორ გაიცნო და შეიყვარა მსოფლიომ საქართველო...

და დღეს ამაყად მივმართავ ვეროპას: ჩვენ კვლავ ძალიან ბევრს ვთარგმნიდით და... ჩვენც გვთარგმნიან...

ჩვენ ვკითხულობთ ყველაფერს და თქვენ — ყველაფერს ჩვენსას...“





გიორგი  
ლობჯანიძე

პეპლების სასაფლაო

ირინეს

როგორ მომწონდა ეს ჭალი,  
 რაც ცოლმა იყიდა  
 და ოთახშიც თავის ხელით ჩამომიკიდა,  
 რადგან ამ მხრივაც, — ვალიარებ, — ცუდი ქმარი ვარ,  
 უფრო მეტიც, საერთოდაც ხელთუპყარი ვარ,  
 სახლში ვერც ონკანს შევაკეთებ  
 და ვერც კარადას,  
 გულით კი მინდა გავაკეთო საქმე,  
 არადა,  
 ხელი ვერა ცნობს კალმის გარდა  
 ვერცერთ იარაღს,  
 თუ რამეს ვკიდებ ხელი,  
 რჩება ოხერ-ტილადა,  
 და მეც ვარ ასე —  
 როგორ გითხრათ,  
 კაცი კი არა,  
 თითქოს თხილნარზე ფაროსანამ გადაიარა...  
 თვითონ სიცოცხლის მსხვერვის ვნება, დამდა და დალი...  
 თუმცა,  
 სხვა რამეს გიყვებოდით,  
 რომ მე ეს ჭალი  
 ძალზე მომწონდა  
 როგორც ძაბრი  
 ანდა ზარხუფი —  
 პირაღმა მნათი ოთახისა —  
 მარტო,  
 ეულად,  
 მაგრამ ნუხელის შევხედე და აღმოვაჩინე,  
 რომ ის  
 პეპლების სასაფლაოდ გადაქცეულა...  
 და უკვე ჭალი კი არა და  
 მეტაფორაა  
 ჩემი გულისა,  
 მუდმივად რომ ბნელში ანთია  
 და ოცნებები,  
 როგორც ბრიყვი ღამის პეპლები  
 თავს ევლებიან  
 და ამაოდ თავს იხოცავენ  
 და ვერც კი ვამჩნევ მათ ცეკვას და გართიგართიას —  
 საკუთარ თავში ჩაძირული —  
 მაშინ,  
 როცა მე  
 მზად ვარ,  
 ქუჩაში,  
 ნაგვიანე მგზავრს თუ დასჭირდა,  
 ბნელში გაბმული  
 გადარჩენას თუკი ინატრებს,  
 მშველელ სინათლედ დავიდვარო  
 ჩემი ფანჯრიდან  
 და ვიყო ასე —  
 ამ ცხოვრების ფუჭი სინათლე...

ისედაც...

თუ რამე შემომრჩა მშობლიური,  
 თან ახლავს ჩემს ქართლურ კილოკავს,  
 დაჭრილი მგელივით მოვიკუნტე  
 და წარსულს წყლულივით ვილოკავ...  
 ნეტავ ასე რატომ გამიარჯლდა,  
 ან ასე რამ გამომიზეზა,  
 ცოტა ხანს გეცლია, სიყვარულო,  
 მალე მოკვდები ისედაც...

ცხოვრება კი —  
 თვითონ —  
 ჩემთანაც ფლიდი გამოდგა...  
 შეტყობინებებს მიგზავნიდა,  
 რომ მე ვუყვარდი,  
 თვითონ კი მუდამ სხვებთან იყო,  
 ერთობოდა  
 და უხაროდა...

თუმცა ვერ ვიტყვი,  
 რომ არ ფიქრობდა  
 ჩემზეც,  
 რადგანაც  
 მუდამ რაღაცას მიტოვებდა,  
 რითაც მაბამდა  
 თავის კალთაზე:  
 ან გასაზრდელ შვილს,  
 ან წინაპრის მოსავლელ საფლავს...

სინამდვილეში  
 შიშობდა,  
 მისთვის არ მეღალატა...

ის ჰგავდა ფოტოს,  
 უშენოდ სადმე გასართობად წასულ მეგობრებს  
 ერთობლივად რომ გადაუღიათ,  
 და ფეისბუქზე დაუდიათ,  
 შენ ფოტოზე მონიშნული ხარ,  
 ფოტოზე არ ხარ...  
 სახლში სრულიად მარტო ზიხარ,  
 მონიტორზე  
 ბედნიერი მეგობრების სურათს შეჰყურებ  
 და...  
 გიხარია!

საგაღლოკალი

ჩემო ძვირფასო,  
 ათას ერთი ღამე მაჩუქე —  
 ფერადოვანი, ვნებიანი, ზღაპრული,  
 დიდი...  
 ამბავი და სიყვარული  
 ნაირნაირი...  
 ლიტკაფეში გადმომეცი  
 ცელოფნის პარკში ჩანცობილი  
 რვატომეული...  
 საუკეთესო გამოცემა...  
 რუსულ ენაზე...

ორი ცხოვრებისათვის

უცებ მიხვდა, რწმენით რომ ვერ მიმიჯაჭვავდა,  
 მისით მცხოვრები სხვა ცხოვრებას  
 რომ არ ვინატრებდი.

ჩემისთანებს ერთი გული აქვთ.  
 გულით უყვართ  
 და არა ფილტვით, ან თვალებით...  
 ანუ სხეულის წყვილი ნაწილებით კი არა,  
 ცალით...  
 ნაწილებით, რაც ვერასოდეს გამოიცვლება,  
 ანდა რომელთა ფუნქციასაც მათი მსგავსი  
 ვერ შეითავსებს

(მოგვიანებით,  
 როცა არაბული ვისწავლე,  
 გამოაგნა  
 ერთმა წესმა,  
 რომ  
 სხეულის წყვილი ნაწილები  
 მდებრობითი სქესისაა,  
 ხოლო ცალი ნაწილები — მამრობითისა!)...  
 და თვითონაც ხომ მდებრობითი სქესისაა ცხოვრება,  
 რადგან  
 თავის შემდეგ  
 გულისხმობს სხვა,  
 ახალ ცხოვრებას,  
 ოღონდ ერთი უტყუარი პირობის დაცვით:  
 თუ ის ცხოვრება გინდა,  
 ამას ნუ გაეყრები!  
 თავს ნუ მოიკლავ, თუ უკეთესი ცხოვრება გინდა!

თვითმკვლევლობა  
 არც არასოდეს არ მიფიქრია,  
 მაგრამ ამ რწმენის გამო კი არა,  
 იმიტომ, რომ  
 ეს ცხოვრება მართლა მიყვარდა,  
 იგი საჩუქრად მიმაჩნდა და  
 არა — გამოცდად...

ქნუტავივით...

გუშინ ღამით ავტობუსში დავჯექი და ვიკატავე,  
 წასასვლელი არსად მქონდა,  
 არც რწმენა და ღმერთი, რჯული,  
 ველარაფერს ველარ ვგრძნობდი,  
 თითქოს მდინარეზე გაველ,  
 ავტობუსის ბოლო სკამზე საიმედოდ მიკუნტული...  
 მოჩანჩახე სინათლეებს  
 მოჰყვებოდა რიარია  
 ქალაქისა,  
 სადაც ერთი ნაცნობიც არ შემხვედრია...  
 მთელი ჩემი სიმართლევით  
 ფანჯარაზე  
 სუნთქვით  
 ვხატე,  
 ალბათ ასე თუ ხატავენ  
 სოფლის გამხდარ, ბეჩავ კატებს...  
 ფანჯრიდანაც ისე მოდის  
 ეს სინათლე მოციალე,  
 თითქოს ავი გლენის ქალი  
 კნუტებს მოაპრონიანებს —  
 ყელზე საბელგამობმულებს,  
 მდინარეში დასახრჩობად,  
 მე კი ვზივარ და ვკითხულობ  
 მათი გადარჩენის ტროპარს...  
 ამ კნუტებს ცხრა სიცოცხლე აქვთ,  
 მიხედავენ თავის თავებს...  
 მე კი ერთხელ სიცოცხლეში  
 დავჯექი და  
 ვიკატავე...  
 და სიცოცხლევ, ერთადერთო, ზეციურო, წმინდა ზეთო,  
 ამ ერთხელაც რად დამტოვე ასე მარტო, უბილეთოდ?  
 უპასუხო რად ანთე ასე მწველად ეს პატრუქი,  
 დასახრჩობად განწირული კნუტებით უბადრუკი...  
 ....  
 შევეყრები ავტობუსებს...  
 ჰგავდნენ მდინარეზე ნავებს...  
 განა სადმე მივდიოდი,  
 განა ვინმე მიმელოდა,  
 განა რამე მჭირდებოდა...  
 დავჯექი  
 და  
 ვიკატავე...



ციკლიდან „ჩამი სოფლის სასაფლაო“

მარბალიტა

ნუხელ სიზმარში წამეჩხუბა ბიცოლაჩემი. არ ვიცი, რას მემართლებოდა, თავისი სახლის აივანზე გადმომდგარიყო და იქიდან, რაღაცაზე მამუნათებდა. სიცოცხლეში არასოდეს არ უჩხუბია. ტკბილი ქალი იყო, კეთილი. პირიდან სულ თაფლ და შაქარამომავალი. თვითონ თავისი თავისათვის ერთხელ სულ სხვა შედარება გამოიყენა, ჩემს ბავშვობაში, როცა თავისი გამოთხოვების ამბავს მოგვიყვა: „ისე ვლუოდი, რძე და ღვინოსავით“ — რაღაცნაირი სიამაყით გამოგვიცხადა, მე გამეცინა, ბიძაჩემმა (ქმრის ძმამ) თვალეები დაუბრიალა. თვითონ გაჯიქდა, ალბათ მაზლის თვალისბრიალზე, ყვებოდა და რამდენჯერმე, შიგადაშიგ თავმომწონედ იმეორებდა: „რძე და ღვინოსავით“...

ამბავი კი ასეთი იყო: ბიძაჩემს, მის მომავალ ქმარს, გული ჰქონია შევარდნილი მასზე, როდესაც ოთხი წლით უცებ რუსის ჯარში გაუწვევიათ. დრო ცუდი იყო, გაჭირვებით გაჰქონდათ თავი და ამის მშობლებს განეზრახათ, რომ სხვა ბიჭისთვის შეერთოთ ცოლად. ამდგარა და პაპაჩემისთვის შემოუთვლია, მათხოვებენო. ჩემი ოთხჯერ გაკულაკებული ერასტი პაპა გაცეცხლებულა: როგორ? ჩემ ბიჭს უყვარდეს და ქალი სხვას მისცენ?! შეუბამს თავის ხარები და მომავალი ბიცოლაჩემი ზედაუბნიდან უნეფოდ მოუყვანიათ. მამიდაჩემი იჯდა თურმე ნეფის ადგილას ქორნილში და მაშინ ყოფილა, ეს თავმომწონედ რომ ღუოდა, ვით რძე და ღვინო...

ბიძაჩემი, ჯარიდან რომ ჩამობრუნდა, მალაროში მოეწყო მუშად. რამდენიმე წელს გაგრძელდა მათი ცოლქმრობა. ვიდრე ხელში 28 წლის მის საყვარელ ქმარს ხელყუმბარა არ გაუსკდა მალაროს ქანის ასაფეთქებლად. პაპაჩემი ამ დროს თურმე თავის ხარებით, მარლის ჩამოსატანად იყო, ზუსტად არ ვიცი, ალბათ აღზევანს...

შინ მობრუნებულს დამარხული დახვედრია თავისი ბიჭი. იპარებოდა საფლავზე და ნადირივით ღმუოდა თურმე ვეება კაცი, რამდენჯერმე ამოთხრაც კი უცდია მკვდრისა. ვილაც ამბობდა, გაგიჟდაო! რახან სულ ძალით და დაყვავებით აშოშმინებდა მეხივით ქალი — ბაბოჩემი, ცისფერთვალეა.

ბიცოლაჩემი კი დარჩა და დიდხანს იცოცხლა. ორი შვილი გამოზარდა ვაივაგლახით. შვილებისთვის არაფერი არ დაუკლია და მედგრად იდგა საკუთარი თავის ძეგლივით... მხოლოდ უკვე ღრმა სიბერეში, როცა შვილიშვილებიც კი წამოიზარდნენ, ერთხელ მოგვიყვა, ერთადერთხელ როგორ ღუოდა რძედ და ღვინოდ...

და ეს იყო ქალის ამბავი...

არ ვიცი, რად მეჩხუბებოდა... დიდი ხანია, გარდაცვლილია. ახლა ალბათ სამოთხეში ზის და კალთაში ნაჯაფარი ხელეებით ჩაიკრია უკვე თავისი ორივე შვილიც...



ლოგიკურია

თუ არის ქვეყნად დღე დასაბამის, არის სასრულიც. დილის ნათელის, სიბნელის ღამის, გრძნობის მაცდურის...

დასანანია, იცოდე ზუსტად ამბავთ ამბავი — გარდაცვლება სალიც და სუსტიც, ომი და ზავი,

გზა, შთაგონება, მღელვარე მარტი, ის, რაც გწყურია... იყოს ფინიშიც, თუ იყო სტარტი — ლოგიკურია.

\*\*\*  
მელაპარაკე — უბრალოდ, ისე...  
თორემ აქ ხარ, და თითქოს არც ხარ...  
კატის თვალეებით მიყურებ, მისმენ,  
არც ისე მახვილ ხუმრობას ფარცხავ...

ჩემი მსუბუქი, ფარფატი ფლირტი  
ისედაც ნაკლებად შეშვენის ასაკს...  
დასაბუთების უზომო ტვირთი  
ალარც დამაქვს, და ველარც დამაქვს...

\*\*\*  
ბედს გაუბედე,  
ვიცი ძნელი გასაბედაა;  
არც სხვა დრო იქნება მერე  
და არც სხვა ბედი...  
ჰა, დაიჯერე, ფანჯარაში შენი მტრედია!  
და განა ყოველთვის ყრის  
ლურჯ ნაპერწკალს  
შენი აბედი...

\*\*\*  
არასდროს ველი ვინმესგან შევლას  
და ამიტომ ვარ სულით მერყევი.  
ვისთანაც ვპოვე სამოთხე, ყველას  
კვლავ ჯოჯოხეთში გადავეყრები.

სიტყვებს ვნარ

სიტყვებს ვნერ, როცა არ ვეზარები და უხალისოდ ბრძოლის შიშს ვრიყავ, და მცვლის ახალი დროის ზარები, რადგანაც ის ვარ, რაც ადრე ვიყავ...

იქნებ, ამაო სულაც არ არი ძებნა ახალი აზრის, ტოლობის? გრძნობა — არც ვიცი რისი სადარი — ყოფიერების ნონასწორობის...

გურულ მოტივჯა

სიმონიკას ნასახლარზე ნაღვლიანი გვექონდა ღვინო, ჩამოვეყვით სადღეგრძელოს — ბანი, განი, დონი, ვინი...

პურმარლი — ნასესხები, წალმის — ბოლო დანაზოგი. ზოგი იტყვის — „ლოთთა კრება!“, „სახლთან განშორებას“ — ზოგი...

ბედზე ძმაი შემოგვესწრო — პატარქალანთ გელაძე, შორი გეზი დაგვილოცა ტიალ ყარაბახის გზაზე.

მერე ჭიაკოკონობა ქონდა ბაღნებს — გვილეს კარი, სიმონმაც არ დაამაძლა შემა ფიცარ-საფიცარი.

გოგობმაც დაგვაფასეს, არ დაგვტიეს იმფერ დღეში, მარა ზეცამ გვილაღა — მოავლინა წვიმა-თქეში.

რაცხას მოვაფარეთ თავი, სანთელს ასდიოდა ჭვარტილი. მაინც ტკბილად ვიჭუჭკუჭუკეთ, არ მოგვაკლო ღმერთმა მაღლი...

სიმონიკას ნასახლარზე ცხადში ვიყავი თუ ძილში... აგერ, ახლა გუშხამ იყო... ან არ იყო, ოცდაშვიდში.

მოდ, ნუ იჩქარებ

ვერის აღმართია თუ ვერის დაღმართი — რწმენის საკითხია ალბათ... დღეა უკუღმართი — ზოგჯერ მისამართი სწორიც გეჩვენება ყალბად.

კაი კაციაო — იტყვიან ზოგზე, არა უქნიაო ავი. გადაჯდებოდაო ტოტიდან ტოტზე, მტრობას ერჩივნაო ზავი.

ეგ რა კაციაო, — ზოგი იტყვის, — არა უქნიაო კარგი არც კი აციაო, აცხელა ვისთვის? აბა ვისთვის იყო მარგი?

ჰოდა, სუყველაფერს ერთმანეთს ადარებ — მუყაოს ამჯობინებ ვერ დიქტს... მოდი, ნუ იჩქარებ, მოდი, ნუ იჩქარებ, მოდი, ნუ იჩქარებ ვერდიქტს.

ჰოდა, ნუ იჩქარებ, უცებ ვერ გაიგებ, კაცს რა უხარია, რა სძულს. ღმერთი მაღალია, სანამ ცოცხალია, სანამ ცოცხალია — ძალუძს.

ცხოვრება ცისფერ ნისლეზს ჰგავს

ცხოვრება ცისფერ ნისლეზს ჰგავს, ან და კვამლს ცისფერთმინას, ავადმყოფსა და უმეცარს შენ რომ გარს გახვევია.

ამაოების მარწუხებს ვერ აცდი და მათ ამარა, ამაოება განუხებს — მარადისობა აღარა.

წლებს მიაქვს ნიჭი ღვთიური და სიჭაბუკის სიზმრები, გარემოების მიჯნური საბედისწეროდ იცვლები.

ღვინოს არ მოაქვს შვება და ლამაზ ქალს თავდავინყება, ერთი ცხოვრება რჩება და მეორე აღარ იწყება.

ბედმა კი ასე ინება — სარკმლის წინ ტოტის დარხევა, ბრმად სივარეტის მიგნება და ცისფერ კვამლში გახვევა...



ბავშვი სკამზე დგება და სათამაშოს აივანის მოაჯირზე ატარებს. Marvel-ს, რომელიც სუპერგმირია, დემნა ვერ ხედავს. სათამაშო მესამე სართულიდან ვარდება. ბავშვი მოაჯირზე ადის და ისიც ვარდება.

აკანკალებული მიდის აივანთან. გადახედვის ეპინია და ფრთხილად იყურება. თვალებით სისხლის ლაქას ეძებს. თითქოს დახეთქების ხმა არც გაუგია. ქუჩა ცარიელია. აზრი ამბობს, რომ ამ დროს თვალემა შეიძლება ვერც დაინახონ, რისი დანახვაც ტინის არ სურს. ბორდიურებს დაკვირვებით აყოლებს თვალს. მთავარი ქუჩაა და უთენია, კაციშვილი არ მოძრაობს. ხედავს ბავშვს, თვალს მოკრავს, აზრდით გაივლებს და გაირბენს. ფეხშიშველი სადარბაზოში ჩარბის, ბავშვი მეორე სართულზე კიბის უჯრედში მიყუჟულა და ისიც კანკალებს. ორივენი სველები არიან, წელსქვევით სველები. სახეზე ხელს უსვამს ჩალრმავებს თითს აყოლებს, დარტყმისგან სახეზე ჩალრმავება აქვს. გულში იკრავს და ცდილობს, სახლში წაიყვანოს. ხელს ვერ იმორჩილებს. ხელს ვერ იმორჩილებს, რომ ხუთი წლის ბიჭუნა აიყვანოს და სანაოლი ჩაანვიანოს, გადაეფაროს და დაიცვას.

საშინელი შფოთვით ეღვიძება. უმწეობის განცდა აქვს. დგება და აივანს ეძებს თვალებით. ახსენდება, რომ სოფელშია. რვა თვეა, ამ სოფელშია და სახლს აივანი არ აქვს.

ჯერ საფულეს ხსნის, ყოფილი ცოლისა და გარდაცვლილი შვილის ფოტოს იღებს და სახეზე ისვამს. რამდენიმე წამი ასე დგას, თვალემახუჭული. მერე ხელ-პირს იბანს, კბილებს იხეხავს და წყალს ადუღებს ჩაისთვის. მასპინძელს ყავა არასოდეს აქვს, თვითონ კი ყიდვა დაიწყინა და უგემურ იაფფასიან ჩაის სვამს, მარილიან ყველს აყოლებს და ხელს ისევ ვერ იმორჩილებს. პარმალთან დადგმულ ჯამში რძეს ასხამს და კატას თვალებით ეძებს.

კედელზე გაკრულ უკვე გახუნებულ პლაკატს ასწორებს. ცოლის ნაჩუქარია, სკოლაში პირველად რომ მივიდა, მაშინ აჩუქა და თან დაატარებს.

სკოლაში უთენია მიდის. შენობის გასაღები დირექტორს აქვს და სანამ მოვა, 40 წუთი მოცდა მოუწევს. ახსენდება მოსწავლეების ნათქვამი, საზაფხულო დასვენებისას და კვირაობითაც, ფიზკულტურის დარბაზიდან სკოლის შენობაში როგორ იპარებინან ხოლმე.

კომუნისტების დროს აშენებულ ძველისძველ მტკრისფერ შენობას გარს უდის და სპორტდარბაზის ფანჯარასთან მიდის. აჭედლი ფანჯრებს შორის ერთ-ერთს თვალთ ზომავს, ხელით სინჯავს და ფიცარი ემორჩილება. ფაფხურით ადის და შარვლის ტოტს ამონეულ ლურსმანზე ახევეს. ფეხსაც იზიანებს, სისხლს კოჭთან გრძობს და ხმამალა იგინება.

დარბაზი მტკრიანი და ბელია, კარამდე მიზილური ტელეფონის შუქით აგნებს და მსუბუქი წიხლის მიკვირი აღებს.

მეორე ფლიგელში გადასულს ახსენდება, რომ საკლასო ოთახიც დაკეტული იქნება და იმედგაცრუების გრძობა ეუფლება. მაინც მიდის კართან და მოყანყალებულ საკეტს რამდენჯერმე თავისკენ ექაჩება. ვერ აღებს და ახლა საკეტს უკირკიტებს. ჯიბიდან გასაღებს აძრობს და საკეტის ენის გადაწვევას ასე ცდილობს. დაახლოებით სამი წუთი სჭირდება და კარი იხსნება.

ოთახში შორის სუნი დგას. შორის სუნი დგას მთლიანად სკოლაშიც. ბნელი და მრუმე შენობაა. ფარდებს, რომლებსაც პერიოდულად ლონისძიებებზე მაგიდის გადასაფარებლადაც ხმარობენ ხოლმე, ხსნის. საუკეთესო ფარდები, რაც სკოლაში ჰქონდათ, მის კლასში დაკიდეს. თბილისიდან ჩამოსულ პედაგოგს სხვაგვარად ეპყრობიან. დაფაზე წინა დღეს დატოვებული წარწერებია. დემნასთვის სრულიად გაურკვეველი ფორმულები წერია. ლამაზი ხელითაა დაწერილი და ერთხანს უყურებს, მერე ღრუბელს იღებს და დაფას მთლიანად ასუფთავებს.

ცარიე სადღაც უფრაში უნდა იყოს. ერთი ბენოლაა დარჩენილი. საჩვენებელი, შუა და ცერა თითით ძლივს იჭერს და დაფაზე ასოები გამოჰყავს:

გ ა მ ზ რ დ ე ლ ი

გაკვეთილს ნახევარი კლასი აცდენს. ვინც არიან, დიდი მონდომება არც მათ

ეტყობათ. წინა მასალის გამოკითხვას არ აპირებს. ძირითად დროს საუბარში ატარებენ ხოლმე. ცდილობს, ამბით დაინტერესოს და როგორც წესი, გამწვავებაზე მიდის. ახლაც, აკაკი წერეთელზე ისეთ ამბავს ყვება, მოსწავლეები გაფაციცებით უსმენენ.

— ასეთი ცუდი კაცი თუ იყო, ყველაზე მეტად რატომ უყვარდათ ქართველებს? — კითხულობს ელზა.

ელზა ყველაზე გონიერი გოგოა და დემნას ყოველთვის იმედი აქვს, რომ პირდაფრენილ ბავშვებს ელზა აიყოლებს. პასუხობს, რომ აკაკი წერეთელი ცუდი კაცი კი არა, ჩვეულებრივი კაცი იყო, ვინც ცხოვრობდა ისე, როგორც ცხოვრობდა.

მერე ლაპარაკობს პოემაზე, რომლის ნაკითხვასაც ბავშვებსაც ურჩევს და ამბობს, რომ ეს ნაწარმოები უამრავი ფაქტობრივი შეცდომითაა სავსე და კლასთან ერთად ეცდება მათ პოვნას.

ეს მესამე სკოლაა, რომელშიც დემნა მუშაობს. პირველიდან მშობელთან ჩხუბის გამო გაათავისუფლეს, მეორე თავად დატოვა და რეგიონში ცხოვრება გადაწყვიტა. ეს სოფელი, მანამდე რომ არასოდეს გაეგო, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით აარჩია.

სახლი, სადაც უნდა ეცხოვრა, ნახევრად დანგრეული დახვდა. ქიმიის მასწავ-

ეს სახლი, არც ეს ოჯახი უყვარს, არც ის ბავშვები, ამ სახლში რომ ცხოვრობენ.

არ ცდება. პირველ სართულზე გრძელი მაგიდაა გაშლილი. იქაური კაცები სხედან და სვამენ. მორიდებით შედის და ცდილობს, გაიღმოს.

სოფლები მხიარულად ხედავინ, სკამებს აჩოჩებენ და უკვე ნასუფრალს შორის დიასახლისი ტილოს ჩქარი მოსმით ახალგაურცხილ თევზს დგამს. სოფელში ყველაზე პატივსაცემი ოჯახია, ალბათ უფრო დაფასებული, რადგან სოფელს ფულიანი ადამიანების სხვანაირი რიდი აქვს.

დემნას გვერდით ჯერ ერთი, მერე მეორე მოსწავლე დგება.

— რატომ არ იყავით სკოლაში? — ეკითხება ორივეს მხარსუკნიდან და უცებ ძალიან ნაწიბს, რომ შემოვიდა. სახეზე ჯერაც წურწურით ჩამოსდის წვიმის წყალი და ფიქრობს, რომ სჯობს, ადგეს და გაივდეს. ხელის გადაბანვას მოიმიზნებდა, მაგრამ ფანჯრიდან ეზო და შუკაც ხელისგულივით ჩანს.

უფროსი უფრო მორიდებულივითაა, მაგრამ ძალიან ნერვიული ბავშვია. სკოლაში აგრესიულია ხოლმე, ვერ იტანს, როდესაც დემნა შენიშვნას აძლევს. უმცროსი მერველკასელია. რაღაცნაირად ნელა და ბრტყლად ლაპარაკობს და

უნდა გაგვფართხილოთ, ამბობს. ახსენდება, რომ მისი ქმარიც იქ იყო გუშინ. ასეთი რა გაგვფუჭე ნეტავ? — ფიქრობს და უპასუხოდ დგას, დასჯილი მოსწავლესავით.

ეს მისი თვისებაა, არასოდეს თავს არ იმართლებს, მართალი როცაა, მაშინაც კი. როცა არაფერი დაუშვებია მაშინაც. ახსენდება, როგორ დააბრალეს ფულის მოპარვა ბავშვობაში. თავი არ იმართლა და მერე ყველაფერი გაირკვა. სიზმარიც ახსენდება.

მესამე გაკვეთილზე შედის. მალაზია მაინც იყოს ამ წყეულ სოფელში, მინერალურ წყალს დალეულა, იქნებ ცოტა გამოკეთებულიყო. თითქოს ახლა უნდა გასკდეს თავიც და გულიც და კლასში ჩაიკეცოს.

გამზრდელზე ლაპარაკობს. მიძიმე, უფრო მიძიმე, ვიდრე ფიქრობს.

რატომ დგამს ამ ნაზიჯს საფარ ბეგი? შეშლილია? მანიაკია? ავტორმა ხომ გვითხრა, ბავშვობის მეგობრები არიანო. ვინ არიან ბათუ და ნაზიბროლა? რატომ გადასახლდნენ ხალხისგან შორს, მთის მწვერვალზე, „მერცხლის ბუდედ“ აშენებულ ფაცხაში? თუ შეყვარებული საფარისთვის ინალიფას ბედაურის სამ დღეში მოპარვა სიკვდილ-სიკვდილის საკითხია, განა მეგობრის ცოლის გაუპატიურებისთვის „სცხელა“?

ბავშვები თევზის თვალებით უყურებენ. იქნებ მთვრალი იყო? — წამოიყვირებს ვიღაც ადგილიდან. კლასი იცინის. დემნასაც ელიმება, მუსლიმები არ სვამენ და თანაც ტექსტში ამაზე არაფერს ამბობს ავტორი.

ელზა ხელს იწევს და რაღაცის თქმას ცდილობს, მაგრამ ზარია. ხვალ გავაგრძელოთ, ბავშვებო, ამბობს დემნა და ჯიბეში სიგარეტის კოლოფს ჭმუჭნის. ელზა რეულს უწვდის — რაღაც დავწერე „გამზრდელზე“ და შეგიძლიათ წაიკითხოთ?

უკანა გზაზე გუშინდელ მასპინძელთან მიდის. „წამცეცობაზე მოხვედი, ბიჭო?“ — არაა გამორიცხული, ასე თავხედურად დაუძახოს კაცმა. მზადაა ამისთვისაც. ჭიშკართან ის ორი მანქანა დგას, წელან ტაძართან რომ მოკრა თვალი. კარი ღიაა და ეზოში რამდენიმე კაცი დგას. მასპინძელი გამოხედავს და თვალს არიდებს. თვითონაც აღარ შედის და სახლისკენ აგრძელებს გზას. ოთახში შედის და ინტერნეტს რთავს. რამდენიმე წერილი ხვდება მეგობრებისგან. კითხულობს და ელიმება. საწოლიდან ლეიბს იღებს, იატაკზე აფენს და იძინებს.

უთენია ეღვიძება. რძე ქვაბში ძალიან ცოტაა. წყალს ურევს და ისე უსხამს კეტს, რომელიც ისევ არ ჩანს. სკოლის შენობაში კვლავ სპორტდარბაზის მხრიდან შედის. ძალიან ადრეა და ფანჯარასთან ეწევა. მერე ჩანთიდან წიგნებს და რვეულს ალაგებს. ელზას მიწოდებულ რვეულს შლის და კითხულობს.

ამბავი შორიდან იწყება. საფარ ბეგი, ნაზიბროლა და ბათუ ერთად იზრდებიან. საფარი აფხაზი თავადის შვილია, მაგრამ ძიძის ოჯახში ამას ვერავინ გრძობს. ერთნაირად მიიტყვიპებიან ხოლმე ბიჭები, როცა რამეს აშავებენ. „მამაჩემს ვეტყვი, იცოდე!“ — ეგვიძება ბათუს უფროს ძმას საფარი, — „მე თავად ვარ“, ამბობს და ცრემლი მოსდის, როცა ნაზიბროლას თვალწინ მასაც და ბათუსაც ყურს უწევს. მხოლოდ „დაის“ და „პაბაის“ ვერ უბედავს ვერაფერს. არც ქალი აუნევეს მმას არასოდეს. ბიჭებს ორივეს განსაკუთრებული რიდი აქვთ. ნაზიბროლა ლაღია, ბიჭების ერთად დედის ტყეშიც, უუნარიო ცხენებით ჭენაობენ და ბანაობენ ერისწყალში, ჩხუბობენ. რომელი უფრო მაგარი მხედარი ხართ? — კითხულობს ბათუს მამასთან მოსული სტუმარი და აღვირს უწვდის იქვე მდგარ ბავშვებს, — ვინ გადააბამს ცხენს ჭალაში?

ბათუ პირველი მიდის ცხენთან, მაგრამ საფარი არ თმობს, „მე“ — ამბობს ამაყად და მაჯაში ნაავლებს ბათუს. ნაზიბროლაც იქევა. ბათუ ხმას არ იღებს, მაგრამ მაგრად ჩაუბლუჯავს ლაგამი და თვალემახევი ცხენს მარჯვნივ ექაჩება. საფარი სახეანითოებულია და ხელს უღერებს ბათუს, სილას გაანწავს. მე თავადი ვარ, ამბობს, ჯერ მე. ცხენზე კი პირველი ნაზიბროლა შეფრინდება. იცინის, კისკისებს. საფარი უკან მოუჯდება, რომ ჩამოაგდოს გოგო და ჭალისკენ გაქუსლოს. ძიძგილაობენ და საფარი აღმოაჩენს, რომ მათ



# ზიტკალა შა

გურამ მეგრელიშვილი

ლებელმა შეიკვდლა, სკოლის ყველაზე ასაკოვანმა მასწავლებელმა. ქალი თითქმის არ ელაპარაკება, რაც სოფელში მაცხოვრებელი ადამიანისთვის უცნაურ იმეათობად ეჩვენება დემნას. ქირას არ ართმევს და სანამ მისთვის განკუთვნილი სახლი შეერმონტდება (ჩამონგრეული ჭერი აღადგინეს და ჩავარდნილი იატაკის დაგება მიმდინარეობს), აქ უნდა იცხოვროს. რვა თვე შემორჩა ამ სახლს, მთელი რვა თვე.

სოფლებთან ნორმალური ურთიერთობა აქვს. ღმერთის არ სწამს, მაგრამ კვირაობით რამდენიმე ქალთან ერთად წირვაზე დგას და მერე ადგილობრივ მღვდელთან ერთად სადილობს. მღვდელიც თბილისელია და სალაპარაკო უფრო მეტი აქვს. ორ კვირაში ერთხელ ჩამოდის და წირვას ატარებს.

გაკვეთილების მერე დირექტორი სთხოვს მასთან ოთახში შესვლას. კიდევ რამდენიმე მასწავლებელი ელოდება.

დირექტორი მოკლე დავალებებს იძლევა. სხვებთან ცოტა უფრო ხისტია, დემნას რატომღაც თქვენობით ელაპარაკება და სთხოვს, სასკოლო სპექტაკლის დადგამა ითავოს. დემნა ღიმილით პასუხობს, რომ ის რეჟისორი არ არის და ვერ მოახერხებს, მაგრამ დირექტორი შეუვალია და კონკრეტულ ავტორსაც ასახელებს, ვისი სპექტაკლიც უნდა ითამაშონ.

გზაში წვიმა ეწევა. მუხლებამდე ტალახში ამოგანგლულია. სიზმარი ახსენდება და სისველე, რომელიც წელს ქვემოთ იგრძნო. ისევ უკანკალებს ხელები.

ცისფერჭიშკრიანი სახლიდან ვიღაც ეძახის. თქემში დგას და ღობის იქით, პარმალზე მდგომ კაცს გაჰყურებს. კაცი ხელს უქნევს და დემნაც კარს აღებს.

— შემოდი, ბატონო დემნა! — ეძახის კაცი.

სახლიდან ხმაური ისმის. ალბათ სოფელი კაცები სვამენ. დემნა უარის თქმას აპირებს, სხვა დროს ეტყოდა კიდევ, მაგრამ ახლა რატომღაც შედის. არ უყვარს

საოცრად თვითკმაყოფილია დედასავით.

— იმიტომ, რომ სუფრა გვექონდა, — ამბობს უმცროსი. უფროსი კი ნერვიულად ათამაშებს მხარს და როგორც ასეთ დროს ჩჩვევს, ასოებს ყლაპავს:

— მშობა, მამა... ბაზარში ნაყვევით და დარჩიო, მამამ მითხრა. ხვალ მოვალთ თუ მამას სქმე რამე არ ექნება.

დემნა მაგიდასთან მსხდომებს აკვირდება. ყველას იცნობს. უმეტესობა მათგანის შვილი ან შვილიშვილი მისი მოსწავლეა. როდესაც პირველად ჩამოვიდა, რაღაცნაირი მორიდებით ექცეოდა ყველა, ახლა გაუზრბლოვდნენ. არ უყვართ ამ სოფელში მასწავლებელი. ტრაქტორი მაინც მყოლოდა, ტრაქტორისტი მასწავლებელი უფრო საჭირო კაცი ვიქნებოდაო, ფიქრობს.

დილით ადგომა უჭირს, ქიმიის მასწავლებელი აღვიძებს. ბუნდოვნად ახსენდება წუხანდელი. მგონი, რაღაც აურია კიდევ. ახსოვს, რომ სუფრასთან გული აერია, მერე აკაკი წერეთლის „გამზრდელზე“ ელაპარაკებდა სოფლის კაცებს. ახსოვს სიცილი, გინება, ყვირილი. ტანსაცმელი ერთთავად ტალახიანი და ნარწყევით დასვრილი ყრია იატაკზე. უნდა რომ მასპინძელს ბოდიში მოუხადოს, მაგრამ ამის თავიც არ აქვს და სიმართლე ითქვას, ეზარება კიდევ.

— შეგიძლიათ ჩემ მაგივრად შეხვიდეთ გაკვეთილზე, მეექვსე კლასთან მაქვს! — ეუბნება ქალს. ქალი რაღაცას ბურტყუნებს თავისთვის და ტოვებს.

სკოლის გზა საშინლად გრძელდება. ეკლესიის მხრიდან მიდის, მოკლებე გადავილის მინდორს და სკოლასთანაა. ტაძართან მღვდლის მანქანას ხედავს. კიდევ დგას მანქანები. დღეს კვირაა? გონებაში დღეებს ითვლის და ოთხშაბათი გამოსდის. შენობაში შესულს დირექტორი ეფეთება.

ჩვენთან ასე არ შეიძლება, ამბობს ქალი. როცა დათრობას გადაწყვეტთ, წინასწარ



შორის ერთი ქალია. თავად ვარდება ცხენიდან და ბიჭები ჭალისკენ ფეხით გარბიან.

მერე ნაზიბროლას სოფელში ამრეზით უცქერიან. საფარი კაი ხნის დაბრუნებულია მშობლებთან, ქალდახვარაში. ბათუ ვერ ბედავს უთხრას ქალს, რომ უყვარს. მაშინაც კი უყვარდა, როცა მისი ძუძუმტეს მკლავებში იწვა და ახლაც, მთელი ცხოვრება ეყვარება, როგორც არავის არავინ.

სოფლიდან ერთად მიდიან. მთის წვერზე სახლდებიან და ერთმანეთი უყვართ. ნაზიბროლას კიდევ უფრო მეტად, რატომღაც.

მერე, ერთ ჭექა-ქუხილიან ღამეს საფარი მოდის. ამბობს, რომ ცოლის შერთვა გადაწყვიტა და სანამ ზია ხანუშს ინალ იფას ცხენს არ მიჰგვრის, ვერაფერს გახდება. ბათუ ცნობილი მხედარია და მეგობრისთვის თავს როგორ დაზოგავს. დილით ცხენით მოვალ ან არ მოვალ არასდროს, ეუბნება ძუძუმტეს და მიდის.

ნაზიბროლა ვახშამს უმზადებს სტუმარს.

— ნაწყენი ხარ ჩემზე? — ეკითხება საფარი-ბეგი.

— არა, საფარი, ბედნიერი ვარ! — უღიმის ქალი.

— ბოდიში კი ნამდვილად მეკუთვნის! — ამბობს კაცი და მაჯაში ხელს ავლებს ქალს, როგორც მაშინ, ცხენთან ბათუს ნაავლო. ნაზიბროლა ცდილობს, გამოსტაცოს. კაცის მხეხვა გველივითაა, ტკივლი, წყენა და ზიზღი ერთიანად ახსენდება. საფარი ბრაზდება. პატიება გთხოვ, შე გომბიოვ! — ამბობს მკაცრად და გულისხმობს — „მე თავადი ვარ!“

ნაზიბროლა იბრძვის და ძიძგილაობაში ისევ ისე, როგორც მაშინ, ბავშვობაში, საფარი აღმოაჩენს, რომ მის წინაშე ქალია. თავს ველარ იკავებს, ყელთან კოცნის და ტანსაცმელს ახევის.

დემნა რვეულს ხურავს. დაბნეულია. ვერ ხვდება, როგორ დაელაპარაკოს ამ ვერსიაზე მოსწავლეს. ცალკე თუ კლასთან ერთად?

გაკვეთილი ისე მთავრდება, ელზას ნაწერს არ ახსენებს.

„ნაიკითხეთ, მასწავლებელი?“ — ეკითხება გოგო.

„ნაიკითხეთ, ელზა. ძალიან ნიჭიერი ხარ. მიხდა, რომ გაისად და მალაღალი ქულები მოგცვენ უნივერსიტეტში.“

სამასწავლებლოში გაცხარებული კამათი მიდის. დემნას შესვლაზე ჩუმდებიან, მაგრამ აზრი მაინც გამოაქვს.

სახლისკენ ისევ იმ გზით მიდის. იქნებ დღეს მაინც შეუაროს და ბოდიში მოიხადოს. არ იცის, რისთვის, მაგრამ მაინც.

ჭიშკარი დაკეტილია, სახლის კარიც. გვიან მღვდელი მოდის. ცოტას ლაპარაკობენ. ეს ვინაა, ეკითხება კედელზე გაკრულ პლაკატზე.

„ზიტკალა შა.“

„არ გამიგია!“ — ამბობს თავისთვის მღვდელი და მერე პირდაპირ ავრძელებს: ტაძარი გატყვევდა ბავშვებმა, შესაწირი ყუთი წაიღეს და ხატები დაამტკიცეს.

დემნამ იცის, დღეს ყური მოკრა ამ ამბავს.

უფრო ცუდი რამე უნდა გითხრა, დემნა. არ ვიცი, როგორ მოვიქცე და ვერაფერს ვეუბნები. შენი რჩევა მიხდა. პოლიციაში ერთად მიდიან. მერე ისევ ერთად მიდიან ერთ-ერთი მეხუთე კლასელის ოჯახში, სადაც ექვსი ბავშვი და დედა ცხოვრობენ. ქალი მღვდლის დანახვაზე თავს ხრის.

„სიცოცხლე აღარ მიხდა, მამაო. მოსაკლავია ეს უბედური, ეს როგორ გააკეთა?“

მღვდელი სთხოვს, სადმე მარტოები ჩამოსხდნენ. მოკლედ და ძალიან ცივად ყვება ყველაფერს, რაც პოლიციისგან გაიგო. ქალი ტირის, ხმით ტირის. პოლიციელი შორისდებულებს ამოთქვამს, დემნა დამფრთხალია. არ იცის, ასეთ დროს როგორ იქცევიან ადამიანები. ისევ სიზმარი ახსენდება.

„განცხადება უნდა დანეროთ, ქალბატონო და ექსპერტიზა ჩაუტარდება ბავშვებს!“ — ამბობს პოლიციელი და სადღაც სხვაგან იყურება.

სოფელში ყველა ყველაფერს იგებს. რამდენიმე მეცხრეკლასელი სკოლაში აღარ დადის, მაგრამ მათი მშობლები ხშირად მიდიან და რაღაცას გამალებით უმტკიცებენ ყველას. დემნასაც უმტკიცებენ,

დემნა არასოდეს პასუხობს. უხმოდ დგას და არ იცის, რა გააკეთოს.

მეხუთეკლასელი ბავშვთა თავშესაფარში გადაჰყავთ. დედას დროებით მზრუნველობის უფლებას ართმევენ, სანამ რაიმე გაირკვევა.

მღვდელი ყოველ საღამოს მიდის დემნასთან და ეუბნება, რომ არ იცის, როგორ მოიქცეს, რომ უბედურებას უბედურება არ დაემატოს, მეხუთეკლასელს უფროსი ძმა ჰყავს, რომელიც ახლა ჯარშია და მალე დაბრუნდება. დედა ამბობს, რომ თუ ეჭვი მართალი გამოდგა, მისი უფროსი შვილის ქმედებაზე პასუხს არ აგებს.

— მართალი ვიყავი, პოლიციას რომ გავაგებინე? — ეკითხება მღვდელი დემნას.

— კი, მამაო, მართალი იყავი. ერთად გავაგებინეთ.

— ეს უბედურება არ დამთავრდება, დემნა. პოლიციაში შინაურულად მითხრეს, რომ ფაქტი მომხდარია და ექსპერტიზის დასკვნა მხოლოდ ფორმალურია.

— ის ბავშვებიც მეცოდებიან, მაგრამ თუ არ დაისჯებიან, როგორ იცხოვრებენ? როგორ დარჩებიან ადამიანებად? — პასუხობს დემნა.

— ხუთნი იყვნენ. ორი არასრულწლოვანია. ერთი ერთ თვეში ხდება თვითმკვლელობა. ვირი! — ამბობს მღვდელი.

სკოლაში ჰყავი დამუხტულია. დემნა ამას ბავშვების განწყობაზე ამჩნევს. აქამდეც არ იკლავდნენ თავს მეცადინეობით, მაგრამ ახლა სულ მთლად აიშვეს. მასწავლებლებიც მოდუნებული არიან. ინგლისურის პედაგოგი დღეში ხუთჯერ ამბობს, რომ ეზარება გაკვეთილის ახსნა. ზოგადად, მოუხრდა ამ „ხისთავიანებთან“ ტილაობა. მთავარია, არ იხმაუროს, მასხლის დასახელებას ეტყვი და კისერიც უტყვიანო, ამით რას შეაგნებინებ? — პასუხობს ისტორიის მასწავლებელი და ორივენი დემნასკენ იხედებიან, ავიწყდებათ, რომ იქვე ზის.

დირექტორი კონტროლს ამკაცრებს. ბავშვებთან აცხადებს, რომ ამიერიდან ნებ-ისმიერ გადაცდომებს ვერ იტყვავს დემნა-შავეს. ფიზკულტურის დარბაზის მხარის შესასვლელი კი ამოქოლილი ხდება დემნას.

მღვდელი თითქმის სულ სოფელშია. საღამოებში ჩაის სვამენ და ლაპარაკობენ.

— ბავშვის დედამ მკითხა, ღმერთის წინაშე დამნაშავე ვიქნები, ჩემი შვილის დამლუპველები რომ დავაჭერინო? მე ვუთხარი, რომ პირველი იმან გააკიცხოს, ვინც თავის შვილზე მოძალადეს აპატიებდა-მეთქი. ხომ სწორად ვუთხარი, დემნა?

დემნა თავს უქნევს და ეკითხება იმას, რაც აქამდე არ უკითხავს.

— ვინ მონანილოვდა, მამაო?

ცისფერჭიშკრიანი სახლი ისევ დაკეტილია. სხვა გზით აღარც დადის დემნა. მეექვსეკლასელი და მისი უფრო ძმა მერე თვეა, აცდენენ. ყოველთვის, როცა ამ სახლში ჩაუვლის ხოლმე, ახსენდება უმცროსი ბავშვის კითხვა: რატომ უნდა უიკითხოთ ნიგნები, რაში გამოგვადგება? აგერ, არც მამაჩემს ნაუკითხავს რამე და არც დედაჩემს, სოფელში კი ყველაზე მდიდრები ვართო.

ამის მერე ითვალუნა ეს ბავშვი და სულ რაცხენოდა. მასწავლებელმა მოსწავლეები არ უნდა გაარჩიოს!

გამოძიება წიანურდება. ამბავში მონაწილე ხუთი ბავშვი სოფელში არ ჩანს. არც სკოლაში. მღვდელი ამბობს, რომ იყო მათთან მისული და ოჯახებს დაელაპარაკა. ერთი ნაწილს, დანარჩენები ამბობენ, ტყუილია, გვაბრალებსო. მშობლები კი ხელს აფარებენ შვილებს და არ ვიცი, რა მოხდებაო.

ექსპერტიზის პასუხი არ ჩანს, მაგრამ დემნას ყურებიდან არ ამოსდის სიტყვები „მომხდარია, მამაო!“ არ ცდილობს, წარმოიდგინოს სად, რა ვითარებაში იძალადეს ბავშვზე სხვა ბავშვებმა, მაგრამ ხან სიზმარს ხედავს, ხან რომელიმე მიტოვებული შენობის დანახვისას, წარმოიდგენს, რომ აქ, აი, აქ მოხდა ყველაფერი.

დამნაშავე ბავშვების მშობლები თავისას ცდილობენ. სკოლაში უკვე რამდენჯერმე ახსენეს, რომ არც ის მეხუთეკლასელი იყო „წმინდა სისხლისა“. — „მა ეკლესიის გასატყუებლად რად მიძვრებოდა?“ „ეგ ისეთი ბავშვია, შეიძლება აქეთ შეაქცინა ესენი!“ „მაგის უფროს ძმასაც კარგა ბლომად აქვს სხვაზე იგივე გაკეთებული!“ დემნა დაბ-

ნეულია, მაგრამ ხვდება, რომ რაღაც განსაკუთრებული ხდება.

გამომძიებელს ურეკავს და ამბავს კითხულობს. გამომძიებელი მშრალად პასუხობს, თქვენ დაინტერესებული მხარე არ ხართ და ვერაფერს გეტყვით. მღვდელს ურეკავს, მღვდელი — გამომძიებელს. პასუხობენ, რომ საქმე ძიებაშია. დაზარალებულ ბავშვს ფსიქოლოგი დაუნიშნეს. ჰოსპისში, სადაც ახლა ცხოვრობს, წირვის მერე მიდიან. ტკბილეული და ტანსაცმელი მიაქვს. ბავშვი ხედავს და ტირილს იწყებს. დემნა დაბნეულია. „დასაჯეს ისინი?“ — კითხულობს. სანამ დემნა რამეს უპასუხებს, მღვდელი ელექტორ რობოტს უნდვინს ბავშვს. „ღმერთი ყველას თავისას მიუზღავს, ნახე, ხელისგულზე დაისვამ და აფრინდება. საითაც ხელისგულია, იქით მოვა ეს პატარა კაცუნაც!“

ოთახში ყველას ელიმება რობოტს მადევირი მღვდლის დანახვაზე, ბავშვი არ იცინის.

დედა ამბობს, რომ ცოტა ეჭვი ეპარება მომხდარში. იქნებ ყველაფერი მისმა შვილმა გამოიგონა. უცნაური ბავშვია. მამის სიკვდილის მერე ჩაიკეტა. ამდენი დემამიშვილი ჰყავს და ტანსაცმელი, ტანსაცმელიც კი არასოდეს სცმია ახალი.

სოფელში ჯერ ყველაზე უფროსი ეჭვიმტანილი ჩნდება. ჩემდემტი წლისაა. სოფლის ბირჟაზე დგას და ამვლეულ-ჩამომვლელს ხელს უწევს. მერე სხვებიც ჩნდებიან. ცალფეხზე დადგნობილები სხვა ბიჭების ლაპარაკს უგდებენ ყურს და იცინიან. მათთან მისვლა არ სურს და ერთს, ყველაზე უმცროსს ქუჩაში რომ გადააწყვედეს, კისერში ხელს ნაავლებს. „სკოლაში რატომ არ დადიხარ, დემნა?“ მისი მოსახლეა და ეს უფრო ახელებს. თითქოს თითები ითხოვენ, რომ მაგრად მოუჭიროს და ჰაერში ასწიონ, სანამ ყვირილს არ დაიწყებს, რომ დამნაშავეა. დროულად ფიზიკურად და ხელს უშვებს. „სკოლაში უნდა იარო, დემნა!“ — ამბობს და მიდის.

მესამე თვე გადის. ექსპერტიზის პასუხი იგვიანებს. ან იქნებ არის და მალავენ? ბავშვის დედასთან მიდის. ქალი ამბობს, რომ მისი შვილი ბედნიერია იქ, სადაც ახლავს. ახალი ტანსაცმელი მისცეს, კარგად აჭმევინ, გასუქდა და მხიარულადაა. თბილისში გადაიყვანეს.

ექსპერტიზის პასუხებზე არაფერი იცის. ეტყობა, რომ ამ საკითხს რაღაცნაირად გვერდს უვლის. შემოფოთებული დემნა მღვდელს ურეკავს. ისიც, კარგა ხანია, არ გამოჩენილა.

„როგორც ჩანს, საქმის ჩაფარცხვა უნდათ, დემნა! გამოძიებელს ზედმეტი თავის ტკივილი არ სურს. დედა ამბობს, აქ ველარაფერს შეეცვლი და უფროსი შვილი რაღა გავაუბედუროო. ერთი მეხუთეკლასელის ჩვენება ამდენის წინააღმდეგ? არ ვიცი, რა მოხდება.“

ეჭვიმტანილები კი სოფელში ყოველდღე ჩანან. ორი მათგანი სკოლაშიც დადის. სხვა ბავშვები რაღაცნაირად ერიდებიან; კი არ ეშინიათ, ერიდებიან.

სოფელში ყველა ამ ამბავზე ლაპარაკობს, უკვე ლიდ ლაპარაკობს. ერთ-ერთი დამნაშავის მშობელს სიტყვაც ჩამოუგდეს ამ ამბავზე და ჩხუბი მოხდა.

„ვინ იცის, რომ ის ბავშვი მართალია და არ იგონებს?“ — ესაა ყველაზე პოპულარული ვერსია.

დემნას არ ავიწყდება, როგორ ჩაავლო ხელი მეხუთეკლასელმა — „ჩემი ხომ გვერათ, მასწავლებელი ხომ დასჯიან?“

საზაფხულო არდადეგები მალე მოვა. დემნას გადაწყვეტილი აქვს, ამ სოფლიდან წავიდეს. რამეს მოიმიზეზებს და წავა. ასე სჯობს. ბავშვის დედა დღემს და თვითონ რატომ ილაპარაკოს?

ნამუსი ანუხებს. ნაცნობ უფლებადამცველს ურეკავს. მგონი, ბავშვთა საკითხებზე მუშაობს. ქალი ზერელედ ელაპარაკება. „მსგავსი ამბები იმდენია, ყველას ვერ განვადებთ. იქნებ მსხვერპლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მოგვმართოს, შენ ამის უფლება არ გაქვს. პოლიციამ თუ იცის, მიიყვანენ საქმეს ბოლომდე, ნუ ნერვიულობ.“

თავიდან იშორებენ. გამომძიებელი მკაცრად აფრთხილებს, აღარ დაურეკოს და თუ რამის გაგება სურს, მიმართოს სამინისტროს, ოფიციალური წერილით.

დედა უარყოფს მომხდარს. „ექსპერტიზის პასუხი არავისი საქმე არაა. ბავშვი „მრთელია“. რაღაცაზე გააბრაზეს მეგობრებმა და დააბრალა. იცხოვრებს ბავშვთა სახლში და ეს თავისი გამოგონილიც დაავინყდება.“

დემნას ახსენდება მღვდლის სიტყვები „მოსახდენი მოხდა!“ ხომ არ იცრუა? რაში დასჭირდებოდა? უკვე თვითონაც ეჭვი ღრღინს.

დირექტორს ეკითხება, რა ქნას მეხუთეკლასელზე, ლამის მთელი წელი არ უვლია.

დირექტორი ზიზღით მანჭავს ტუჩებს — „დაუნერე რამე და მერე მოვიფიქრებთ!“

ვილაცასთან უნდა ლაპარაკი და არ იცის, ვის დაელაპარაკოს. დასახლისს ეკითხება, რას ფიქრობს ამ ამბავზე. ქალი საერთოდ არ სცემს პასუხს.

ისევ ბავშვთა ნაცნობ უფლებადამცველს ურეკავს. „ჩვენი რეგიონი არაა, თბილისი რომ იყოს, კიდევ შეიძლება რამის მოფიქრება!“

„თბილისშია გადმოყვანილი!“ — იმედინად ამბობს დემნა.

სკოლაში ჩხუბი ხდება. რამდენიმე ბიჭი ერთმანეთს აბრალებს, რომ ისინიც კაკონაირები არიან! სკოლაში პირველად ამბობენ დაზარალებული მეხუთეკლასელი ბავშვის სახელს ასე ხმამაღლა.

მღვდელი ჩამოდის. ერთად მიდიან გამომძიებელთან. კაცი დემნას თვალს არიდებს და ძირითადად მღვდელს ელაპარაკება. „ექსპერტიზამ მომხდარი ფაქტი დაადგინა, მაგრამ ამბავი ძველია და დემ კვალი არაა. დამნაშავის პოვნა ძალიან გაჭირდება. ოჯახიც, როგორც ჩანს, არავის ადებს ხელს.“

— იყიდეს საწყალი! — ამბობს მღვდელი, — სამსახური დაწყებინა ერთ-ერთის მშობელმა თავისთანო, ამას წინათ მითხრა ერთმა ჩემმა სულიერმა შვილმა. ხოდა, გააჩუმეს ეგ უბედური!

დემნა ჯერ დამნაშავეების ოჯახებში მიდის, მერე მეხუთეკლასელი კაკოს დედასთან.

— ზედმეტად ხომ არ ყოფ ცხვირს, სადაც საჭირო არაა იქა? — პასუხობს ერთ-ერთის აგრესიული მამა.

— ოჯახი გინდა გამიუბედურო? ბავშვს სამუდამოდ მოსცხო ჩირქი და უფროსი შვილიც მკვლელობაზე წაიყვანო? — უყვირის მეხუთეკლასელის დედა, — აქ აღარასოდეს მოხვიდე, აღარასოდეს!

დირექტორი იბარებს. „ჩვენ აქ მასწავლებლები ვართ და არა პროკურორები. არ ვიცი, თქვენთან ქალაქში როგორ ხდება და ჩვენ ჩვენი წესები გვაქვს, დემნა!“

„და იმ საცოდავ ბავშვს რას ვეუბნებით? ან ამ დამნაშავეებმა როგორ უნდა იცხოვროს ასე, არაადამიანებად. გააუპატიურეს, გესმით თქვენ, გააუპატიურეს!“

პირველი ქვა მხარში ხვდება. ბინდია და ვერ არჩევს საიდან ესროლოს. ქიმიის მასწავლებელი თავისი ხელით გამოხდის არაყს ასხამს და მკაცრად ეუბნება: „კაცი არა ხარ, რა განუწუნებს!“

რამდენიმე სოფელი აღარ ესალმება. ერთი-ორი პირიქით, ჩუმად ეუბნება — „იქნებ შენ მაინც მიხედო ამ ამბავს, ჩვენ ხმას ვერ ვიღებთ. ხვალ იქნებ ჩემი შვილიც...“

მეორედაც ესვრიან ქვას. ამჯერად რამდენიმეს ერთბაშად. ბინდია, მაგრამ ორ მოსწავლეს ცნობს. მეორე დღეს, გაკვეთილზე, მის წინ სხედან. ერთი თვალბეჭით უყურებს, მეორე თავდახრილია.

„იცი, რა, ელზა, მე ვფიქრობ, საფარბეგი უბრალოდ ცუდი ადამიანია. ხომ არსებობენ ცუდი ადამიანებიც? დაბადებიდან ცუდი უფლებები.“

ნაცნობი უფლებადამცველი ეუბნება, რომ ბავშვმა რეაბილიტაცია დაიწყო. კონტაქტურია და ფსიქოლოგიც აქტიურად მუშაობს.

— კი, მაგრამ დამნაშავეები? — ეკითხება დემნა.

„არ ვიცი, რაც შემძლო მაქსიმალურად გავაკეთე, ბავშვს ყურადღებას მივაქცევთ და ისედაც აქცევენ, კარგადაა.“

სკოლიდან დაბრუნებულს სახლის ფანჯარა ჩამტვრეული ხვდება.

ჯერ კატას აჭმევს. მერე ცდილობს, აზრები დალაგოს და დამშვიდდეს. მეგობარს ურეკავს განათლების სამინისტროში და მომხდარს უყვება. „გავარკვევ, რისი გაკეთება შემიძლია,“ პასუხობს კაცი და იქვე ამბობს, „არ უნდა გაგემწვავებინა, გამოძიება მიხედავს.“



ზაალ ებანოიძე

ორგანი სახელები

ფოთოლს რო ნემო ვკადრე — კომში მოვთარგმნე ბიად. ერქვა რაფინდი ადრე, ახლა რო დაფნა ჰქვია. ბაბილო — ფურისულა. ბორბალა — ხარისთვალა — მალავს საკუთარ სურათს — არ უნდა გაითვალოს. ასეა, სხვათაშორის — მიზეზი არც რო რითმა — ერთი საგანი ორი სახელით ბევრჯერ ითქვა: მურყვანი არის თხმელა და თუთა არის ბჟოლა, დაცდა ტირიფი ენას და წნორი აიყოლა. აზნაურაა ყანის — ისაც ეძახიან — ამშვენებს დილის ნამი — ფერი მჩატე და ღია. ლაკარტიაა გლერტა, გრამაფონაა ხვართქლა — სიმინდს რო თასმად ერტყა — თავი ორთავემ გათქვა. თივაბალახა — ძურნა — სუნს რო დაიკრავს ქალის, დავებერებულვარ, თუმცა, მაინც გამირბის თვალი. ტოკავს ალუხი — ძელქვა, ბამბის ხე — ხებურა, როგორ ამშვენებს — ვერ თქვა — გრიგალთან შეგუება. აგერ, დიდგულა — ანლი — ჭირდება ყურის გდება, ჩამუქებია ღანვი — სიბნელეს ურიგდება. მოლის იორდასალამს გუგულის კაბა ქვია, არ ყოფნის როცა ძალა — მორცხვად ნებდება ნიავს. ჩირგვი — იგივე ჯაგი, ბობლია ჩრდილი შვენის, მოჭრილი ერთი თარგით, მეტყველი ერთი ენით. შა, თავყვავილაც თიხოს — ინოდოს ფარსმანდუკად, ცოტა ზედმეტი სითბო და კობტაობა უყვარს. ტუხტი — იგივე ბალბა, ბუტია — ქრიზანთემა... უახლოვდება ახლა, თანდათან, მიზანს თემაც: უთქმელს ვეძახით ურთხმელს — ელავს გარეთ და შიგნით, ერგო ეს ენა რუსთველს და ჩვენ — რუსთველის წიგნი!

სხვისგან უთქმელი ელავი

როგორ მაგონებ ურდულგაყრილ შენსავე ოდას, ასე შორიდან საყურებელს თვალებით სველით; მეც შენი მუნჯი ტრაგედია მანსხვავებს ბრბოდან და ხეზე გასულ სასიკვდილო ფითრივით მშვენიის. სსოვანში ჩარჩა მონატრებად ხვართქალა წვიმა, ხვატები ხუთავს შენს სახელზე ამომსკდარ იებს; და ქვაგამობმულ ნაგაზივით თანდათან გძირავს ნუთისოფელი — მდორე ტანის მორვეი მღვრიე. მე — ერთადერთი, რიყე-რიყე მოგდევ და ვტირი, გაშლილ თმებივით აფარია წნორები ჭალას; და ნატერფალში ჩატოვებულ ცრემლების ქვირითს მოყვება ქარი მიზეზ-მიზეზ და სილით ფარავს. ირევა თვალში საცდუნებლად რამდენი რამე, თეთრი და შავი შეიშალოს იქნება სისხლმაც; და სწორედ ამ დროს აიფარებ სახეზე ღამეს, რომ ჩემი სული ანაზდევულ ცოდვისგან იხსნა. და იმეი ტანვავას... მოწამებრივ შიშით და თრთოლვით (სხვისგან უთქმელი ელევით მისატანს გულთან)... თუ გამასწარი, მევალეა ავიდო თოვლი და როგორც ცოცხალს, გაღმა გასულს გესროლო გუნდა.

ბაცვლილი მხარა

ჭვრეტითი მელანქოლია — ღანვზე კურცხალის წყარო: ნუ გიკვირს — შენ რა გგონია — მეც იშვიათად ვხარობ. ამოტივტივდა სახეზე, რაც რო იფიქრე თვალ-თვალ და მეც ფარულად გაქეზებ — თავი ბოლომდე გათქვა: მსურს, ნაბიჯ-ნაბიჯ დამხატო ჩემი ყარბი ჩრდილით; ყარყატი ისევ ყარყატობს, წეროც წიაქობს დილით. რა უნებურად შევქმენი სმენის საამოდ აქ მე ეს უწყინარი რეფრენი და წინ წავიგდე საქმე. უკიდევანო არაფერს ჩამოეკიდა ხელი; „თუმცა ხმამალა არ ამხელს, მაინც ჯიუტად ელის“. ესეც ნებართვის გარეშე, ჩემზე იფიქრე რაც რო — ამოვიკითხე თვალეზში და ახლა თავად გაცნობ.

„თითქოსდა რამე ენიშნა, თითქოსდა რამე ნახა“... ვისიტყვებ? — მაძლევს შენიშვნას სიცარიელე — ხახა. მსხვერპლივით მიჩანს სხეული და ვგრძნობ — თანდათან ვიკლებ... და თანაგრძნობას ჩვეული: მზერა!.. თვალეზი!.. სითხე!.. ერთიანდება სამთავე ნუთისოფელის ბოლოს და წამნამების თავთავებს დაეკიდება ლოლო.

ე. ი. სითხო!

- პროგრესული დინამიკა
ე. ი. გესიზმრება. ე. ი. ნატრობ.
ე. ი. აყურადებ და ჩქამი არ ისმის.
ე. ი. სამუდამოდ დარჩენილხარ მარტო.
ე. ი. ამის გამო გეყინება სისხლი.
ე. ი. ფერმკრთალდება უწინააღმდეგო ბინდი.
ე. ი. ჩიტების ხმა ბზარს დააჩენს წყვილად.
ე. ი. ასაფრენად აფოფრილა შინდი.
ე. ი. აიმგზავრებს განთიადი ნიავს.
ე. ი. რიბირაბო. ე. ი. ფერი.
ე. ი. ნეტარება — თვალის რამე ჯილდო.
ე. ი. მელოდია, ტილოზე რო მღერის.
ე. ი. ე. ი. ე. ი. სითხო!

ზაფხულის ზორობი

დგას შინ და გარეთ ახლა ისეთი ხვატი, რომ ვერ იფიქრებ — სადმე თუ ვინმეს სცივა; მაჭრობს სხეულში მოთენთილობა კატის და ქუთუთოებს რული ჰკიდია მძივად. სარიდან სარზე გადაინაცვლებს ლაჟო, ბჟირად აყრია თოხიტარები ხეხილს... წვიმა სჭირდება ახლა ნაჯაფს და ნაშრომს და მთელი თვეა ცას უდარაჯებს გლუხი. გაჭიმულია ჭრიჭინობელის სოლო ხიდან ხეზე და სოფელს არაქათს აცლის, როგორც გვასწავლეს — ორი ზაფხული ცხოვრობს, — ქეც რო შეგეძლოს — რა პირით უშლი კაცი. ასდევს ხელწერად სწორედ ამდაგვარ ამინდს და თავის თავზე ბევრჯერ მეტია გესლით, კოლო კი არა — რეაქტიული ძრავის გენეტიკური და უძველესი ფესვი. ჭრიჭინობელა — ცოტა შორი და გარე, იყოს, იმღეროს... არც არაფერი უჭირს, კოლოს რას ეტყვი, როგორ უკეტავ კარებს, — ხელ(გამოდება) გარჯილობაა ფუჭი... დგას შინ და გარეთ მართლა ისეთი ხვატი, რომ ვერ იფიქრებ — სადმე თუ ვინმეს სცივა; მაჭრობს სხეულში მოთენთილობა კატის და ქუთუთოებს რული ჰკიდია მძივად.

ზიარა ტაქსტი

ჰაერში ხელებს გაშლი და გასურს აიმგზავრონ ხელეგმა აყვავილებულ ვაშლიდან — უთქმელი ბედნიერება. ხმაურს ზიარად დავეძებთ — ბგერებს შევხსენით ლილები და ცის უხილავ საცეცებს ცალცალკე ვემორჩილებით. ჭალებს რო გამოაღვიძებთ ღვალო-მოლოქა ტუხტები, საკუთარ ღანდებს ვაბიჯებთ და გვეკვეთება მუხლები. რო ხატავ — ფიქრის გარეშე, რო ვფიქრობ — ხატვის თანხლებით, ცრემლი რო გიდგას თვალეზში, რო ვხედავ — ხო მეთანხმები. ნაირ-ნაირი ფერების შუქში ჩამდგარა ქუჩები, უთქმელი ბედნიერებით თანდათანობით ვმუნჯდებით.

სულის ზიარი შებერვით გულში ხანძარი გვინთია, სამყარო მუდამ ბებერი ნაუკითხავი მითია. შორიდან მზერით ამონებ, ახლოდან ხელით ვეხები. ან არაფერი გაოცებს, ან მაოცებს და ვერ ვხვდები. „საკურცხლეს“ არქმევ არათითს — კურცხალს ამ თითით იმშრალე, მტრედის მოტანილ ბარათის მესაიდუმლედ მნიშნავენ. გადხამხამებს მზის სხივი და სივრცე უფრო ღრმავდება, ჩვენს აჩვილებას ვინ ჩივის — სხვაც ბევრი სევდიანდება. და ციტატების ჯაგანით ტექსტის კედლები შენდება და სასაუბრო საგანი თანდათან მშვენიერდება: „ეკალში ვარდი შევნიშნე“ —

ვთქვი და ამჩატდა სხეული, ჩაიარე და ვერ გიცნეს — ესეც ბედია რჩეულის. „წყალი ჩქეფს, ხევი ჩატირის“ — ბაგეს მოადგა ანაზად, ფერდობმა ნისლის მანდილით პირ-სახე გაილამაზა. „ტყდება, ნანაობს ეთერი“ — „ჩქარი“ შენ წამომამშველე, სტრიქონს სინაზე შეჭფერის, ღანვს რო კურცხალი ამშვენებს. „ხაზარეთისკენ მიფრინავს“ — წეროს წიაქიც იცნობა, ადგას სამყაროს გვირგვინად უთქმელი მარადისობა. „შავი ფიქრები გროვდება“, ახსნან მიზეზი — არ ელი, სამარეს უახლოვდება ღანდი — ტერენტი გრანელი. „ავადმყოფობა ეგონათ“ — გათქვა ნუხილი თავისი, წყვილი დაიშვაგობრა, ძმად გაიხადა დაისი. „რადგან სამოთხის დახატვა“...

ნატვრამ ფეხდაფეხ იარა, ვერ დაიტია ქალღმერთი — ნაცვა წყლულად და იარად. წარბი თამაშობს თავისით — უხმო, უტექსტო მკითხავი, რას მიმანიშნებს, რა ვიცი, თავად თუ იცი, მითხარი. საღამოს ხშირი ბინდია — მოწყენილობა ჩვეული, მთამთა ნისლები მიდიან, მიაკვთ მსუბუქი სხეული. მზერას რომ მორცხვად ვაჯამებთ და ერთმანეთში ვრიგდებით, ტექსტი მოითხოვს მაჯამებს, მაგრამ გვალატობს რითმები. მწვანე ძენების ხელშია დობილობის ჩრდილები, ცოცტოტა, რაც რო შეგეძლია — გვამდიდრებს გამოცდილებით. ჩურჩული, ლოცვის ხასიათს, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ იმშვენებს — დასაბამიდან ასეა — „ღმერთო, მაღალო, მიშველე!“ სინათლე ეპირდაპირა ბნელს და გაკვეთა წყვილი, ვზივართ მდინარის ნაპირთან — სიტყვაა ჩვენი ხმადი. წყლის აზვირთებით მჩატდება მდინარისპირა ყანები. და ჩვენს გარშემო რაც ხდება —

ფარულად ვეთაყვანებით. ორთქლი აუდის აოშილ მიწას და კვალში ფართქალობს და ცის ქათქათა საშოში გატრუნულია სამყარო.

უსიარსულობა

უაზრობას დაღლილი ყურადღებით უსმენ, როგორც ჩქემის ლურსმნებს, მოხმაურებს ფილაქანზე. მალე შეწყდეს, მალე შეწყდეს, მალე შეწყდეს — მსურს მე, თორემ ფეხზე დარჩენილ მიცვალებულს მიმამსგავსებს.

ბასანყლებული პროფილი

წვიმს და ქარი ქრის, ფერთალხი დღეა, დაცურავს ჩრდილი და ტირის ჩალა, შორს აჯამეთის ბებერი ტყეა, მერე — რიონი და ვრცელი ჭალა. და კიდევ მერე — ნისლია მჩატე, კოლხური ცა და „ანი“ და „ჰოე“... ამ გარემოში მე ჩემ თავს ვატყე და გასანყლებულ ჩემ პროფილს ვტოვებ.

მუსიკალური ხმაი

ყურს, ყურს ნაუგდებ და სმენას მოლლი: ბაყაყის ყელით ყვარყვარობს ყორყი. ჭაობის ყბაში იზრდება ჩიტის ჭიკჭიკი მჩატე და მიამიტი. მუხლამდე წყალში ჩამდგარა ჭალა. მღერის ნიავი და ტირის ჩალა. მუსიკალური ეს არის ხმები, — ფეხზე ვნედლდები და ფეხზე ვხმები.

წვიმის გიოგრაფია

არ გინდა, მაგრამ მაინც წვიმს, თვალწინ ტბორდება ღვარები, რო ბრძანო: „შენყდი!“ — რა იცის წვიმამ მოკვდავის ბრძანების. მთებს მხრებზე წამოუხურავს ღრუბლის შავ-შავი თავშლები; ყვინთავს ფმანგაღმა ხუხულა — საბქელი შქერით ნაშენი.





ქარმა რო გადაიბირა ხეები ერთი ოქტავით, ნვიმაც შეიქნა ბიბინა მოლივით მარჯვედ მომდგარი. ხანდახან ცაზე გადაიარს ელვის ბანარი ტანგრძელი თუ ღმერთის ავტოგრაფია — გაკრული ხელით ნანერი. თვალსასიეროს რა მოლევს, ყეფენ ძაღლები დამფრთხლები; ქათმის ფიტულებს გაგონებს ნვიმაში სოფლის სახლები. ხრამ-ღელეების კაფია, — ხაფი ხმებია გიჟების; შენც ნვიმის ბიოგრაფიას სიტყვაში ეპატიჟები.

**მომავლო მაინც...**

ღრუბელი — ჯანღში გადასული. ბურუსი. გვიბე. სადღაც შორს — ცოტა ახირება — შუქი ნათურის... სიზმარი. მიძიმე ხასიათი და მჩატე ჯიბე. ჯიბესთან — ჩემზე ბედნიერი — ქურდი ფათურობს. დაცურებული ნილაბიდან მანუხებს სოფლის ძილშიც ელამი, ძილშიც ხარბი და ჭროლა თვალი, და შუბლზე ცივი ქვირითივით დაყრილი ოფლი დღეიდან აღარ შემშრალდება ამბორით ქალის. „გულში მჭირს“ შენი მოფერება,

„რჯულძაღლო, გულში“, და ღარიბდება სისხლით ვენები, და ხორკლიან ხელს რომ მკიდებ ყურში — ფეხისწვერებზე ნამოწვევით თავს ვეშველები. თალხი ღიმილი დაყვება საღამოს, ხშირდება შიში გამომწვევრილ მარჯვენის ხარჯზე და ნუთი-ნუთზე ახლა ისე მეღევეა ძალა, რომ ლამის ქუდი მოვიხადო და გზაში დავეჯდე. გათენდა, სიზმარს დავაფინე ძმრიანი ტილო და მერე ფიჩხი შემოვივით თავზე და დავწვი... მომავლო მაინც, ვინაც ჩემთან მოყვრობას ცდილობს — ვახლავარ შიმშილს! — სიმპათიურ და გამხდარ ყმანვილს.

**გამოზომილი სიცოცხლე**

ძილში სიცოცხლეს გამოზომილად ვხარჯავთ და ნუთისოფლის მჩატედ გვანვება ტვირთი, რალა თქმა უნდა, მაშინაც ფეთქავს მაჯა, მაგრამ არავინ, მაგრამ არავინ ითვლის.

**შესვედრა მაღარამსთან**

ფავნის ხსენებას მოჰყვა ფიქრი — უფორმო ბოლი; და იძაბება ლოყა ოფლის მოძრავი ზოლით. და ზოლის კვალზე ხელის ჩამოცურება მშვიდი; შვენის თიბათვის წერილს სერზე შემდგარი შინდი. ფიქრობ — „კოცონი ბოლავს მართლა

თუ თვალი ტყუა“; წინ — თმაგაშლილი ბჟოლა და უხმაურო რუა. ტკარცალი მაინც ისმის, ნიშნა თუ თავად არ ჩანს; და იყინება სისხლი, ძარღვში რო კიდევ ჩარჩა. რო ხარ ჭაღების მწყემსი — თვალში ჩალები ღვივა; ხარ დამტკრეული ლექსით ტანში და შუბლი გტკივა. და მზე ზენიტზე მღერის, მოლზე მომშრალა ნამე; და დგას — ჩრდილების მტერი — ფავნის შუადლის ჟამი.

**შინაგანი ღიაღობის ფონვა**

მე ვინ ვარ, რა მრჯის და რა ჯავრი მატიალებს, რომ ვადგენ მაჯის და გულების მატიანეს: ჭიხვინმა გაიჟღერა — ცხენები ახსენით, პირჯვარი გადინერე და ღმერთი ახსენე. — გამიძიხე, მოვსინჯოთ — რწმენაში სხვა ძალა დევს. — ასეთ დროს ჩორთით სჯობს თოხარიკს ნაძალადევს. ფეხის ხმას ცხენებისას გუმანით ემონმები: უფრორე შეეთვისა ფიქრები მეოცნების. მე ვინ ვარ, რა მრჯის და რა ჯავრი მატიალებს, რომ ვადგენ მაჯის და გულების მატიანეს. გაკვესა ნალმა და ჟინჟღალი აიძივა, დაბერა ქარმა და სხეულმა აიძივა. შეჯამდა ჩქამი და ზარები დაარწია. ასეთ დროს ამინდთან საყვედურს რა აზრი აქვს. „ყოველთვის შიშიდან ეკლები არ იზრდება“ — თავს ძრახავ პირში და უკრძალავ ამის ნებას. — ერთხელაც მოვსინჯოთ — რწმენაში სხვა ძალა დევს — და მაინც ჩორთით სჯობს თოხარიკს ნაძალადევს.

**ცარიელი სასახლე**

არ ახალია, ჭრელი რომ ვთქვა, ვერანაც გეთქმის, იმ კაცის პირით, რომლის ბედი ჰკიდია ხავსზე, მაშინმებს უკვე ვარსკვლავების მსუბუქი ფერფლი, ხანდახან მეც რომ უფლის ნებით მაცვივა თავზე. ნუთი ნუთს მისდევს — მიწიერი კალენდრის გათვლით, მეჩრება ყელში უბადრუკი ჩემივე თავი, როდესაც მხარზე ნუთისოფლის დამღლევი თათი ჩამოისვენებს და ჩვენს შორის მყარდება ზავი. ქირქილებს აქვე — ტანიც ისმენს სატანის ქირქილს და უსხეულო მაჯლაჯუნა გაუბრბის მზერას,

მოვიწინებ, ავიმწაბო დამღლევი ტვირთი და ერთხელ მაინც ავურქინო ჩემს ბედისწერას: გადავწე ხელით შუალამის ტანმიძიმე ფარდას და მიტოვებულ ნაგაზივით შეველრენ წყვიდადს, სხვა არაფერი — ამ უძლური ქადილის გარდა, რაც თავი მახსოვს, მაინც შენი მორჩილი მქვია. ყოველ ნაბიჯზე — დასხლეტამდე მისული მახე, თუ ჯამბაზივით სიარული ნერვების სიმზე, გახვითქულ პერანგს მოცახცახე თითებით გავხეე, რომ მარლასავით დავიფინო იარის პირზე. საით გავიქე?! — ადრეც დავსვი ასეთი კითხვა, ხმა არსაიდან, მითუმეტეს — პასუხი სწორი, ქუცმაცობს გული — ხორციტ ნაგებ განჯინის ვირთხა და ერთადერთი მეკავშირე მე და შენს შორის. დავიკარგები, როგორც ძაღლებს სჩვევიათ ხოლმე, იგუმანებენ როცა ბოლო დღეს და კუნაპეტს, და ჩემს ცარიელ სასახლესთან სატირლად მოვლენ, თუ ცრემლით მჩატედ ატკივებულ გულს განკურნავენ.

**შეჩარბული ნამეაბი**

ეკლის ლიბებზე ნევეხარ დაბერებული ბავშვი: გაიღვიძებ და ტყვე ხარ, დაიძინებ და ფრთას შლი. ბუ ეზრახება ტყვეებს თუ არემარე გლოვობს; ამ დროს ხეებმა ხეებს ნუგეში უნდა თხოვოს. მჩატე ლანდების ტვირთი რაზე გიხედენ ყური; ბევრი, სიკეთე ბევრი, მაგრამ ასევე — შურიც. კეთილშობილი ელდა — განზავებული შიში, გდევდა, დღემუდამ გდევდა, თუ შენტან ერთად იშვა. კმარა — ჭრელია ქუჩა — ერთი შევლება თვალის; აგერ — მოწყენა თუ ჩანს, აგერ — ღიმილი ჰყვავის. მთვარის დაირის ტბორში ლალად დაცურავს ხელი და მოცეკვავე ბოშის ახალ სასწაულს ელი. ხედავ, შორიდან, ხალხში თავს განისხვავებს როგორ, ცილინდრიანი ბავშვი — მოსიარულე სოკო. და ბევრ ამნაირ რამეს ლამბავ გზადაგზა მზერით, და შეჩერებულ ნამებს ჰქვია ღვთიური ძღვენი.

**მიასლოვება**

მუნჯად მოლაპარაკე — სანახების ჩვენებით, ველზე — ნისლის ზვინებით, ცაზე — ღრუბლის რაშებით... სერ-სერ ამოინვერა უკვე ცეცხლის ენები და გზადაგზა დამფრთხალი აჭახჭახდნენ შაშვები. აგორებას მოითხოვს ბილიკების გორგალი, შუქ-ჩრდილები — შერჩევას, გზაში რომ არ დაეცი, რასაც ერთხელ, ყრმობისას, მორცხვად თვალი მოვკარი,

მთელი ჩემი ცხოვრება მხოლოდ იმას დავეძებ. მოთოკილი ვნებები, სახე — მჩატე ნილაბი თუ ნერვებზე ანაზად ნაპერწკლების ასხლეტა; ქარის ფრთაზე ასხმული დაეხვევა ჭილყვავი ერთმანეთის გარშემო და თიბათვის ცას კეტავს. ნუთისოფლის მდინარის თვალწინ მდორე რონებას მდორე ტალღა მოჰყვება — ამღვრეული ჩვენი დრო; ყელში ამომივიდა თავის გამეორება — დროა უკვე თავიდან ამოხტომა შევიძლო. მაჯა მაჯას მოება, სუნთქვა სუნთქვას მოება და ორთავე მოითხოვს სიტყვის მჩატე სამოსელს; გული არ მიჩერდება და ამ უსაზღვროებას შეტბორებულ ღამეშიც ბრმა თვალებით ვამონმებ. ასე უფრო გავიგე, ასე უფრო ვიცანი, ჩაძინების გარეშე ვაღამე და ვათენე, სიარულით გავთელე ლამის გულისფიცარი, ჩემი გულისფიცარი სიარულით გავთელე. გამოაფენს გზადაგზა ბორკილები ღირსებას, ცხადში დაგვეუფლება და სიზმარში გვებულობთ; ზოგჯერ მინას გავურბი და ცა არ მეთვისება, ზოგჯერ ციდან ვბრუნდები — მინა აღარ მღებულობს. სიყვარულით მოქსოვილ დამორცხვებულ გალობას ვათამამებ ნამიან თავთავების ნათებით, — როცა ატრუებული სანადიროდ გამოვალ სიტყვებისთვის დაგებულ ძუის კაკანათებით. უკვე კარგა ხანია უკან ჩამოვიტოვე გარიჟრაჟის ციაგი, ჩაქცეული მთვარეში, მერე უმისამართო პატიებაც ვითხოვე და ფერდობზე მთებიდან ბილიკ-ბილიკ დავეშვი. ნაკადული ფერდობის გაშვერილი მკლავია, ხელისგულზე დაუდევს მოტივტივე ნაფოტი; რომ არ გამოვესარწლო — ისე როგორ ჩავიარ, რომ არ გამოვესარწლო — დამფრთხალს რიბირაბოთი. მოფარფატე ფოთოლი თუ კეთილი ბარათი — უკვე გზაზე შემდგარი შემოდგომის ნანერი; იცრიცება თანდათან ჩემს წინ ნისლის ხალათი და ატეხილ წყალ-ჭაღებს დედაშობილს დაცვქერი. ყანის გახმაურებას ყური ემსახურება და დამფრთხალი ფშანების საკანია თვალები; ვუჯანყდები შუადღეს და თიბათვის ხურვებას საკუთარი ჩრდილის ქვეშ ბავშვივით ვემალეები. მოლივლივე ტბორები ავსილია ლანდებით, ლამის ხელით მეხება ნიშნა თუ ნარცისი; უნდა დათმო სხეული — სხივზე მერე დადგები — ეს ერთი გზა არსებობს მიწიერი კაცისთვის. ნისლის მარადიული სამეფოდან იწყება, დღემდე ამოუხსნელი ნესრიგი თუ ქაოსი;

მეჩვენება ხანდახან — უმიზეზო სიცხე მაქვს და სარკმელზე ირწევა ჩრდილი სასაფლაოს. მოლოდინი ამართლებს ამ დროს ყრუ დაბრუნებას და შიშველი ფეხებით მინდორ-მინდორ წამოსვლას; გამოცანის წინაშე დაგვაყენა ბუნებამ და სიკვდილის გარეშე არ არსებობს ამოხსნა. ღრუბლიანი ამინდი მზერას ეავადება — ფარულ ჭეშმარიტებას მახვილივით ამოწნე: გაანათებს მიდამოს ჩრდილის ჩრდილზე დადება, შუქის შუქზე დადება თუ სიბნელეს გამოსცემს. მთა-მთა ბევრი ვიარე, ტყე-ტყე ბევრი ვიარე, ზღაპრებს ადევნებული ჩვენებების თანახმად, უფრო გარეთ კი არა, უფრო შიგნით შრიალებს — ღმერთთან მიახლოვება უნდა იმის დანახვას.

**სისხლის მელანი**


გეძახოდი და არ ჩანდი — გაგულისებულს ჰგავდი, ქარებს ესვენა მკლავებზე ლანდი ბებერი თუთის, შიშს მაინც დიდი თვალი აქვს, ფიქრში ტრაურით გრთავდი და ბოლთისცემით გამყავდა იმ დღეს ყოველი ნუთი. რა დამაშვრალი დაბრუნდი, რა მოწყენილი სახით, მხარზე — შიშველი კომბალი, არსად — ფარა და რემა... ვიტყვი ხანდახან — გვეკუთვნის, ნკებლით კი არა სახსრით, ხათრის გარეშე ორთავეს ურჩი ბავშვითი ცემა. იხეტიალე მთელი დღე და აბალახე თვალი, — ჩამოდნა მუხის სანთელიც — ცეცხლმოდებული მეხით... მე მაინც ვერ დავინახე, რამდენჯერ იყავ მკვდარი, ან მერამდენე კარმაზე ჩამომიცურდა ფეხი. ღამეს გაიფენ ლიბად, საბნადაც ღამე მფარავს, როცა კუდიან დედაბერს გაეტირება კატა, და მერე ქარით აკლებულ ერთ ფარლალა კარავს გათენებამდე მე და შენ სისხლის მელანით ვხატავთ. იმდენი სანუხარია, აღარაფერზე ვწუხვარ, ჩაქრა მოყვასის იმედი — რწმენა დაკარგე რჩევის, ხანდახან ჩემ თავს მოვიძეე — მინდა გავიგო თუ ხარ და რომ ვიპოვნი, მთელი დღე გაოგნებული ვრჩები. გულია ღია სამარე, სურვილს სურვილზე ვმარხავ და ნუთი—ნუთზე დედდება ზიარ თვალებში ლოლო, ცისას რო არ მეძახიან, მინის რო მაინც არ ხარ, — ეს არის ჩვენი ნამების ალბათ თავი და ბოლო.

**პირჯვრის ღანერა**

შუბლიდან, წესის დაცვით, დაცურებული თანდათან, ხელი მარჯვნიდან მარცხნივ თავისთავად გადავა. სიზმარს ნახულობ ცხადში (სხვას კი არადა თავს ვეტყვი): ნვიმა იყო და გაშრი, დარი იყო და დასველდი. ხმელი ფოთლების ფრენა თუ ფრინველების ფართქალი, აი, ნამდვილი სცენაც და მისი ტყუილ-მართალი. ხრამში ღელის ხმა ისმის, გაღმა-გამოღმა — იფნები, ხოლო მათ შორის — ნისლი — ჰვიგენური საფენი. და იხატება ენით სურათი — ვითომ ჩვეული, არადა — ჭარბი ძღვენი — ეროტიკული სხეული. თავჩაკიდებულ ბურქებს, ამ შებერებულ ქალშავებს, ზოგჯერ თუ ქარი უჩქმეტს — არც არაფერი შავდება. სხეულით დამაქვს ჟრჟოლა და ხორკლებს ხელით მოვიძეე, თუთას რო ვთარგმნი ბჟოლად და ჩემკენ ნაზად მოვიწეე. ვალი დაიდო ღმერთმა — მოგვცა სიცოცხლის უფლება, ამიტომ, მაჯის ფეთქვას პირჯვრის დაწერაც უხდება.

**შეჯამებული სიტოპო**

რასაც ვიხსენებ, რასაც წარსულში ვყვები (ცოტას ცხადში და ცოტას სიზმარში ვხედავ), მდევდა მისანის და ხირომანტის ყბებით ამოსათქმელი, მდევდა, აქამდე მდევდა: მღვრიე დინება — სასონარკვეთის სიღრმე — წარმოჩენილი ქალური ხმა და კილო, იხსნის თანდათან ნერვების მომშლელ ნიღბებს, და გაძარცვული დადგეს ჩვენს შორის ცდილობს. და უსასრულო სივრცე ამდორებს მზერას და ნუთი-ნუთზე ხორმაკი ქარი გვხუთავს; „შენ შენაღვლები, ასეთ დროს, თორემ მე რა — ჩირად ამ მიღირს“... — ამბობს მავანი ყურთან. რა რო „არ მიღირს“... — ფიქრი... ამგვარად ფიქრის კვალზე მიყოლას უნდა ალლო და გეში და ნლევანდელი ზამთრის ფარფარტა ფიფქი—ახლა პირიქით — იქ, იმ წარსულში, ფრთებს შლის. მინდა დავარქვა სახელი — ვინ და რატომ გემზრუნველება და არც არაფერს ითხოვს, და ამის მერე გვირგვინად დავწნა მარტომ სამივეს ერთად შეჯამებული სიტოპო.





პოეზიის ავტორი ლექსი

ესეც რული ზაფრანების თუ მთენთავი შუქის კალო, დგას წამები, დგას წამები, რო შორიდან უთვალთვალაო. სინამდვილის გამოსახვა. შეზავება ფერთა ფერის. შენ თავს იმის გამოც გავხარ —

რო ტირილის ნაცვლად მღერი. მჩატე, ჭორფლიანი ჭერი, ვარსკვლავების რამე ხარო, ხელმა უნდა ბანოს ხელი და თვალს თვალი დაეხმაროს. გუბურიდან წყალი შესვი,

ყური თარგმნის ქარის მოტივს: „ტოტი ცაში არის ფესვი და მიწაში ფესვი — ტოტი“. რამდენ რამეს შექმნის ენა — საზღაპროს და საარაკოს, „სიარული ჰქვია ფრენას, როცა ცაზე ვლაპარაკობ“. ჰა, ბილიკიც მოირიბე, სერზე წარბად ხატია, რო, ძალა, ძალა მოიკრიბე, ფეხდაფეხ რო გადიარო. სუნთქვა სუნთქვას მიაცილებს, მაჯა მაჯას ებეგრება, ეურჩება სიყმაწვილე მოძალადე შებერებას. ლანდი. ლანდის სამოსელი, მარებელი უსხეულოდ, „ნიაზე რო წამოვწვები, დუმილს მაშინ უსმენ, ყურო“. ამ სამყაროს მჩატე ჰქვია, ახლა ჰქვია — უნინ არა! ნისლში გვიან გაეხვია — თავი გაიუჩინარა. დილა სურათს დაასრულებს —

თეთრი ორთქლი ასდის სერებს, შუბლზე ხელი დააცურე და პირველადი გადინერე. ველი გაისაფეხურე, გამოეხი თვალთ კარავს, „სიყვარულით სავესე გულებს

უფლის მაღლი დაიფარავს“. გრძნობა, გრძნობა როცა მღერის,

მხოლოდ მაშინ გვეუფლებსა ჟრუანტელი მოსასმენი, ფერთან ფერის შეუღლება. პირსახეზე ფშანებს ღვიძავს, თუ ფშანების მიმოქცევას, გვინარჩუნებს ცას და მიწას

ერთხელ წყალის ღვინოდ ქცევა. უკვე მთებიც შეიხანძრა — შემოდგომის დღეა გრილი, ფერი, ფერი შევინს ამ ცას —

წყალში განზავებულ ლილის. სურათების ჰარმონია — შუქ-ჩრდილების რამე ჯაჭვი, „თავისთავი ამოლია

გრძნობის ხელგამოღობი ხარჯვით.“ აბსტრაქტული რამე ვარდი. მზის სხივები. რამე ულო. შეირხევა რიდე ფარდის, იხე ჩუმად — ვერ ვგებულობთ. ძილს სიზმარი ეგვირგვინა, ეგვირგვინა სიზმარს ძილი, იკარგება ცხადში ხშირად ის სივრცე და ის მანძილი. აღარება გიხარია და ხეების რხევა შორი, გული, გული ტიხარია ნუხილსა და ლხენას შორის. სივრცე — ერთი. ჟამი — სამი.

ნამი წამს რო მიაცილებს, კარზე მომდგარ მარტის ამინდს

ორად გადავინანილებთ. და ერთობი შენი თავით, ფიქრი გულის ზღაპარია, ღამე ცოლად შეერთავი ამის გამო, რა ხანია. ცოტა-ცოტა საყვედურის ბილიკს გეზი მიე ნებით: „ამ ცხოვრებას არც ვემდური,

არც მთლად ვემაღლიერები“. იქსოვება ელეგია, გარდასულის გახსენებით, გერჩება თვალი მერე ღია. ვრჩებით მერე თვალსველები. ემაღლები ირონიას — ამ ნიღბების ღია სცენას, წყალ-ჭალების მირონია ციდან ნამის ჩამოცვენა. გაი-გაისიგრძეგანე მესენაკე კაცის წესი, თავს ბოლომდე მიემგვანე, შენი ზნით და შენი ლექსით. თეთრი უსასრულობიდან გამოიხმობ ზამთრის მოტივს, რო ივინყებ — სურო გინდა,

რო იხსენებ — დაფნის ტოტი. ეძებს თვალი განსხვავებას,

ჩრდილთან ჩრდილის გატოლებას, ცა მოფარეს ვარსკვლავებმა — ამ წითელა ბატონებმა. დარჩა ღამე ძაღლის ყეფას, ნიავს დარჩა,

დარჩა ქარებს, სიმსუბუქე აწვეს კეფას, სიზმრებმა რო დააფარეს. და სიზმრებშიც ვეძებთ იმას,

რაც რო ცხადში დაგვიკარგავს, მთელი ღამე არ გეძინა — ქუცმაცობდა თავი კართან. დაღლილობის დავინყებას მიზე-მიზეზ ცდილობ, გულო, სად მთავრდება, სად იწყება კაცის ტანჯვა უსასრულო?! მოიყენებს ღანვი მთვარის ხან ნუხილს და ხან ხარებას, თუ დააფრთხობს ნანვიმარი ღელის გადახარხარება. ანმყოს ზომავ წარსულიდან

და ანმყოდან ზომავ მერეთს, „ჩემსავე თავს გარს ვუვლი და დასაჭერად ვიშვერ ხელებს“.

დგას ამინდი მომაისე — შევინს ტევრს და შევინს ახოს, თუ წავედი, მოვალ ისე, რომ ვერავინ დამინახოს. ამ ჩუმ მოსაღამოებას — მდუმარების ღია ნიაღს, ჩქამი მანაც გამოება და სმენამდე მიაღწია: „გუშინდელი „მე“-დან მოდის —

რაც შენამდე სხვას ენება — ხვალინდელი მძიმე ლოდის მკერდზე მჩატედ დასვენება“.

პოეზია

ბალახი — უშფოთველობა. და ნაკადული — შფოთი. ჩანჩქერი — თავის მკველელობა, მთებს რო აყრუებს მოთქმით.



ზაალ ებანოიძე

ფსავლო აკიდო

ნაბიჯ-ნაბიჯ ღამდება და ღამდება ივსება გზა და უფრო ღრმავდება ბნელის ფსევდო ღირსება. ბნელთან მუნჯჯურ ლოლიავს უხირდება ბუნება: სმენა აიყოლია ფსევდო გახმაურებამ. ფეთქავს ძველი იარა, არც რო გული მშვიდდება; ზოგჯერ ფსევდოდ კი არა, მართლა შეგეშინდება. ფეხქვეშ ნარი გიგია — ხორშაკების ცხელება: ნუხარ — ვერ გაგიგია ფსევდო საკვირველება. იყო, წარბი მომშვილდე, თვალს მოჭარბდა ნათება; გული დაგიშოშინა ფსევდო შეკამათებამ. რა გინდა და რას ელი, რა გაუწყეს ზარებმა: თავსხმის მერე — საშველი — ფსევდო გამოდარება. დაგამძიმებს რული და დუმილს ლოცვას უგზავნი, ფსევდო სიხარულიდან მოწყვეტილი კურცხალით.

\*\*\*

და ა.შ. და ა.შ. ქათქათა თოვლი თუ ზამთრის სცენა; თითები უნდა ჯერ ცეცხლზე შეთბეს და ამის მერე აიდგა ენა. და ა.შ. და ა.შ. ფარულად ჭრი და ფარულად კერავ; ეცადენ, მაგრამ შენამდეც ვერ თქვენ. ეცადენ, მაგრამ — ვერა და ვერა!

ჭალიდან ყმანვილი მორბოდა...

გათენდა დილა...სანაცვლოდ მთვარის სარკმელში ახლა შემოხედვა მზემ მოინება, არაერთიარო ნუხანდელი კომპარის კვალი, ევას მაგიერ მედიცინის და ილიმება. რიტუალივით გამიზნული რეჟიმი გელის, საუზმის შემდეგ კლინიკური საათის რული... ხანდახან გინდა აუქნიო ყველაფერს ხელი და მოიჯერო ცხოვრებაზე ერთი დღით გული.

ეს მაშინ, როცა ცხოვრება შენთვის სულ მცირე რამეა, — შიშველი ფეხით გარება, ბალახზე როცა ნამია. შარვალის აკარნახება, მომდგარი ყანის მორბოდი და ნაოფლარზე ჭინჭილის ჩამომღერება ბოლომდი. ციციანთელით გაკერილ ღამის უძილოდ გათევა და ჭალებიდან წამოსულ ურმულის დაყურადება. შებინდებისას დანთებულ ღვინის დილაზე ატანა და მერე გზაში ღილინი: „პატარავ, ჩემო პატარავ!“

ისიც პატარა გოგო იყო, ცით ჩამოსული კისკისა ბავშვი, ათასი ჭინკა უხტოდა თვალში.

დარით მოსული — ჭინკაზე იტყოდა პასიკო ბებია — უსათუოდ წვიმით წავაო. წვიმით ნასულის, ცრემლით ნასულის, დახვალ, დაგყვება ხსოვნა ასულის.

რაც თვალთ გინახავს — გახსოვს, რაც არა — გაგიგონია და ისიც გახსოვს, თვალთ ნახულივით გახსოვს... კარში გამოიღო, გეძახის ხსოვნაში ჩარჩენილი სინამდვილე.

ვინაც კი შემოდგომაზე, რთველობის შემდეგ, შეღმარტოს შეუყვება (შეუყვებოდა), ზღმარტლის შეთქვირულ ნაყოფს შეაგროვებს (შეაგროვებდა) და ზედ პატარა წინწკლებს — „ჭინკის ნაკვალევს“ ეფერება (ეფერებოდა), ყველანი აქ შეყრილან:

ღაღო ასათიანი (იმ სახლში ნაბლისფერთმიანი ქალია, დიდბუნოვანი და დიდგული).

მურმან ლებანიძე (შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია).

ანზორ აბულაშვილი (შენ რომ გიყვარდა, იმ მოტივს ვუსტვენ, და ესმის იგი ტყესა და კბოდეს).

ზაალ ებანოიძე (თეთრ სიჩუმესთან წილნაყარი სახელი შენი ჩემს არსებობას გაუხუნარ მიხაკად შევინს).

იმედი?! იმედი სიტყვაა, თავისთავად აბსტრაქტული ცნებაა, მაგრამ ზოგჯერ სხეულს შეისხამს, თვითონ ხალათს მოირგებს და ხალხში დადის: გივი ნულისკირის სახით... ჯონდო და არჩილ მხეიძეების სახით... გიორგი ცისკარიშვილის სახით...

ციცკარიშვილი სამრეკლოს გვერდით, ფლატეზე როცა ხატავდა ქრისტეს, ჩვენ, ლექსებს ვწერდით, ჩვენ, ლექსებს ვწერდით და თვალი ჩუმად გვეჭირა ცისკენ.

...და ვისაც თვალი მართლა უჭირავს ცისკენ, მგოსნების შემდეგ ის კაცებია, მაღლა, ყანობილის მთაზე რომ თეთრი სახლი დაუდგამთ — დედამიწის სარკმელი:

ვის ვესიზმრებით, ვინ გვესიზმრება, ასმა იკითხა, ერთმა ამოხსნა; ორი სტრიქონი უნდა გვახსოვდეს გალაკტიონის სასაფლაოსთან:

„მე ყვავილები მესიზმრებოდა და მე ყვავილებს ვესიზმრებოდი“.

არა! — საავადმყოფოს სარკმლიდან არ გადამხტარა — ყანობილის მთაზე რომ თეთრი სახლი დგას — დედამიწის სარკმელი, იქედან, ხელები გაშალა და იქიდან გადაფრინდა...

იმ დღიდან ეძებენ:

მე ვეძებ ჩვენ ვეძებთ შენ ეძებ თქვენ ეძებთ ის ეძებს ისინი ეძებენ

გრამატიკული უღლების წესი მახსენებს თავს და გრძელდება ტექსტი:

— ყველა ფოთოლში, ყველა ბალახში ჩემი ციური სული ეძიეთ, მე ამქვეყნიურ ტანჯვას გადავრჩი, გავიქეცი და ვერ დამეწიეთ — აწერიო ოცდაათი წლის კაცის საფლავეზე, სოფელ ქვედა დიმში, თავი რომ თოფით მოუკლავს...

ეს მაინც რაღამ გაგახსენა? — ძაბუნის ჩამიდგა მუხლებში, თუ ძმა ხარ, ცუდი არაფერი იფიქრო! პასუხის მაგიერ ირონიკარულ ღიმილს აიფარებ ბაგეზე, მერე კი ისტერიული სიცილი აგიტყდება და ყველას გასაგონად იძახი:

„მამ, გამარჯობა, ტკბილო სიცოცხლე!“

დანართი:

...ჭალიდან ყმანვილი მორბოდა, ორკაპით გადმოვლო ღელე; სამარის პირლია ორმოდან ღამდები უქნევდნენ ხელებს. ეს იყო აპრილის პირველი, რული თუ მიმწუხრის კალთა, ნარკოზის ფრთაჭრელი ფრინველი,

ფრთაჭრელი ზმანების გარდა. დაღლილი ფარფატი — გამოღმა, ჩვენს შორის — მდინარე მღვრიე,

გალმიდან ნუგეში — გამოხვალ, გაბედე და თავი სძლიე! ნამწამზე — კურცხალის ციმციმი,

სულ ახლო — მსახვრალის ცელი; გულისკენ მიმავალ სიცივეს ვიღაცა ათბობდა ხელით.

ვიღაცა შეფარვით ღელავდა, უკრავდა, ხატავდა, ქმნიდა;

ლოცავდა — თუ რამეს კერავდა, ლოცავდა — თუ რამეს ჭრიდა.

დიოდა, ფლატეზე დიოდა, ფერვანი ღვინო და წყალი. ფხიზელი — არავის ჰქვიოდა,

არავის ჰქვიოდა — მთვრალი; თოვდა და — არავის სციოდა,

წვიმდა და — ბალახზე ნამი არ იდგა... მზე ამოდიოდა და მაინც კუნაპეტს თვალი ვერ ჭრიდა, ხანძარი ღვიოდა და ჭალებს იკლებდა ქარი;

და იქვე — ძლივს მიმოდოდა ძენა და დალალი ქალის. ცა იდგა — მომსწრე და მნახველი

მრავალი ასეთი ჟამის; ხარობდა კვიდო და ძახველი —

წითელის მეზობლად — შავი; ყვითელი კოცონი — იელის,

ჩამცხრალი გვიმრა და ნარი; სუსტისგან დამფრთხალი — ძლიერი,

შეტევის მაგიერ — ზავი; ყველაფერს კერავდა იგავი —

ამ სოფლის თავი და თავი. მე ამ დროს გამოღმა ვიყავი,

და როცა ჩამოწვა ზევაიც... გაღმიდან ყმანვილი მორბოდა,

ორკაპით გადმოვლო ღელე, სამარის პირლია ორმოდან ღამდები უქნევდნენ ხელებს.



დეპიუტი

მიჰყარს გაზაფხულის წვიმა... განსაკუთრებით უხვდება კამოს ქუჩას. თეატრთან შემოვუხვევ თუ არა, მთელი სიმძაფრით ვგრძნობ ბაბუას დარგული ჩინური ვარდის სურნელს...

კედლები მაცვია და ტლაპოში გემრიელად ვერ ჩავტოვებ. სამაგიეროდ, დიდი ნახტომებით შევირბინე ჩვენს არკაში. სამზარეულოში ბებია და ბაბუა დამხვდნენ. ბებიანებმა სუფრა უკვე გააწყლეს, პურიც დაჭრა და როგორც ჩვევია, ნამცეცები შეაგროვა. მერე ერთი თითი დაისველა და ნაფუნჩები ისე შეჭამა. სულ ესე აკეთებს. ადრე ვკითხე, ეს რა ჩვევა გაქვსმეთქი და — სამამულო ომის დროს სოფელში პური ჭირდაო...

უკვე მეთორმეტე წელია, ბაბუაჩემს სიმსივნე აქვს. საშინლად მაშინებს ამ სიტყვებს უკან ამოფარებული სიკვდილი. ბაბუს კი ვერც შეატყობ, ისე თანაცხოვრობს მასთან. სულ ვფიქრობ, რა აძლევს ამხელა ძალას? ყველაზე მთავარი ალბათ ჯანსაღი ცხოვრების წესია — ვეგეტარიანელია და, თანაც, მთელი ცხოვრებაა, ვარჯიშობს. ადრე ვკითხე, ერთხელ მაინც თუ გახსენდება, როცა სავარჯიშოდ არ ყოფილხარ-მეთქი და სოცარი პასუხი გამცა, გიორგი რომ გადაიცვალა (ანუ მამაჩემი, ანუ მისი ქალიშვილის მეუღლე და როგორც თვითონ თვლის, თავისი შვილი გიორგი), მხოლოდ მაშინ ვერ შევძელი ფიზიკურად და სულიერად. მნიშვნელობა არ აქვს ამინდს ან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, ყოველთვის გამოძებნის დროს სავარჯიშოდ. ბავშვობაში მეც ხშირად დავყვებოდი ველოტრეკზე. მიყვარდა, როცა დილის შვიდ საათზე ნახევრად ჩაბნელებულ კამოს ქუჩას ხელჩაკიდებულები მივუყვებოდი. დარაჯს ვაღვიძებდით, რომ კარი გაეღო. მეც მონდომებული უკან მივყვებოდი ძუნძულით ბაბუს და თუ დავიღებოდი, ბალახებში გადავდიოდი, ვწვებოდი და ვიძინებდი.

ერთხელ, მახსოვს, სიკვდილი გავითამაშე. მეძახდა და ვითომ არ მესმოდა, გადმოვიდა ბალახებში, კარგა ხანს მაკვირდებოდა, მერე ტელეფონი ამოიღო და მესმის:

— ალო, სასწრაფოა? იცით, ჩემს ზარმაც შვილიშვილს შუა ველოტრეკზე ჩაეძინა. რა ვქნა?! მეც? კარგი.

მოჭუტული თვალით ვუყურებდი, ტელეფონი ჯიბეში ჩაიდო და გვერდით მომინვა. რამდენიმე წუთი ხმა რომ არ ამოიღო, შემემინდა და ბაბუ-მეთქი, დავუძახე. მაშინვე ჩემკენ გადმობრუნდა. ერთმანეთის შეხედვაზე თავი ვეღარ შევიკავეთ და გულიანად ვიცინეთ...

მეგობრებთან ამაზე ვერ ვსაუბრობ... ბოლო ანალიზით წარმოუდგენლად მომატებული აქვს მეტასტაზები. სამი თვეა, წელი ისე სტკივა, ღამ-ღამობით კვნესის. დღისით კი არაფერს იმჩნევს, მაგრამ ჩვენი ოთახები ერთი ხის კარითაა გამოყოფილი და მისი ყოველი გადაბრუნებაც მესმის. ვერ ვსაუბრობ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ მერიდება. ბევრი ჩემი მეგობრის ოჯახის წევრი იტანჯება ამ ბოროტი დაავადებით... ახალგაზრდები... ასე მგონია, ჩემი 75 წლის ბაბუ მათ იმდენად ემოხუცებათ, იფიქრებენ, რაღა უნდა, მაგან ხომ უკვე იმდენი იცხოვრა და ნახაო. რა ვიცი, აბა...

ტკივილების გასაყურებლად მორფი დაუნიშნეს. მორფი მხოლოდ ონკოლოგიური პაციენტებისთვის არის სასარგებლო და არა მათთვის, ვინც შფოთვისაგან თავის დაღწევას კაიფის დაჭერით ცდილობს.

წესი ასეთია: ჯერ უზნის პოლიკლინიკაში რეცეპტი უნდა გაცენ, შემდეგ პოლიკლინიკაში მოგვცემენ ნამალსა და საბუთს, რომ ნარკოტიკის ტარებისა და შენახვის უფლება გვაქვს...

მე და დედაჩემი უზნის ონკოლოგს კაბინეტთან ველოდებით, რომ სახლში მანქანით მივიყვანოთ და შემდეგ უკან ნამოვიყვანოთ. ამ ქალმა უნდა გადაამოწმოს ფრანგი პროფესორი, რომელიც წლებია, ბაბუას მკურნალობს. გამომახებაში კი იღებს ფულს, მაგრამ...

უსასრულო ლოდინი ფსიქიკაზე მიკაკუნებს... ვეღარ ვითმენ...

ორ პაციენტს შორის მომენტი ვიხელთე და კარის ღრიჭოდან უკვე მთელი ტანით ოთახში ვარ...

— უკაცრავად, ერთი კითხვა მაქვს... მხოლოდ...

ექიმი კომპიუტერში გვერდს სწრაფად ხურავს, სათვალეს შუა თითით ქვემოთ აჩრჩებს და ზემოდან თვალებს ისე ქაჩავს, უკვე ვიცი, სოლიტერის შეწყვეტილ პარტიას იოლად არ მაპატიებს.

— როგორ ბედავ დაკაკუნების გარეშე შემოსვლას?! — მესმის მისი მჭექარე ხმა.

— იცით, მინდოდა, მეკითხა, რომელ საათზე ამთავრებთ მუშაობას, ჩვენთან რომ ნაიყვანოთ.

— იცი ხომ, რომ გამომახება ფასიანია?!

— დიახ, თუ გნებავთ, ეხლავე გადავიხდი და სახლში დაგელოდებით.

— კი, კი, გადაიხადე, — ილიმის და ოდნავ ლბება, — გარეთ დამელოდე, ამათ უცებ გავუშვებ...

მოსაცდელში ისევე დედაჩემის გვერდით

ახლა გია შედის თამარა ექიმთან, ოლონდ... აკაკუნებს.

სამუშაო; რეცეპტის აღება; პოლიცია

ისევე პოლიკლინიკაში ვარ. მეორე სართულზე ყველა ოჯახის ექიმს თავისი კაბინეტი აქვს. დერეფნის ბოლოს მათი ბოსის, ბელას ოთახია. რეცეპტები იქ იწერება. წინ პატარა მოსაცდელია. აქ ჯერ მხოლოდ გიას ვიცნობ.

ექიმი ვილაც ქალის დარწმუნებას ცდილობს, ინექციებიდან ტაბლეტებზე გადავიდესო და ამ ლაპარაკში ბელას კაბინეტში შედის. ქალს სიარული უჭირს და ჩემ გვერდით ჯდება.

— ახალი ხართ? — მეკითხება და არც მიყურებს, ისე აგრძელებს, — სამი წელია, დავდივარ, ორივე მკერდი მომკვეთეს და

ელენე რევიშვილი

სამუშაო

გია ხუციშვილს, ხათო მიქელაძეს, დათოს...



ვვადები. უნებლიედ თვალს 80 წლამდე პაციენტს ვაყოლებ, რომელსაც ექიმის ოთახისკენ ფურცლების მთელი დასტა მიაქვს. „ანალიზების პასუხები იქნება“, — გაფიქრებას ვერ ვასწრებ, რომ ღია კარიდან თამარა ექიმის ბლავილი მესმის, დაუკაკუნებლად რატომ შემოდიხარო. ბაბუს ფურცლები ხელიდან უცვივია და უმწეო თვალებს უმისამართოდ აცეცებს...

მინდა, დედას გადავუღაპარაკო, როგორი უზრდელია ეს ექიმი, მაგრამ დედაჩემი სხვას ესაუბრება.

— 12 წელი სტაბილურად იყო, საფრანგეთში რადიოთერაპიით ვმკურნალობდით, ეს ბოლო თვეებია, დამძიმდა.

იმ კაცის საუბარი კარგად არ მესმის, მხოლოდ იმას ვხვდები, რომ ახალგაზრდაა, ასე, 50-55 წლის და დედა, რაც შეუძლებელია, მის გამხნევებას ცდილობს...

— რისი გემინია, ხომ გითხარი, მამაჩემი აგერ უკვე მეთორმეტე წელია... დრო ისე გაინელა, მგონია, საერთოდ გაჩერდა.

ხანდახან მათი საუბრიდან რაღაც ფრაზები ჩამესმის. გია სვირიდან ყოფილა. სვირი იმერეთშია, წიგნაძეების სოფელი. თვითონ ტყეშელაშვილია. მამამისი და ბაბუაჩემი თურმე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. თემები არ ილევა, სვირის ნოყიერი მიწა, ციცქა, ცოლიკაური, ფიროსმანის ტილო. მეც, როგორც იმერელი, ვერთვები და ვთანხმდებით, რომ არავივარ ნაკლები სეპარატისტები არ ვართ.

არ ვიცი, რისი სიმსივნე აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, დედაჩემის დაბეჯითებულმა ლაპარაკმა მორალურად უკვე დაამარცხებინა ეს დაავადება.

ახლა ფილტვებზე გადავიდა... ეს უმოტე-ბი კი ნამალს არ მიმატებენ. გაგიგია ასეთი რამ?!

მხრებს ვიჩეჩავ, არ ვიცი, რა ვუპასუხო; — ნამალი როცა მაკლდება, წნევა მივარდება, კანკალი მეწყება და პირი მიშრება. მეშინია... არ ჯობია, დამრჩეს, ვიდრე დამაკლდეს?! ვინ არიან ესენი, ვინ!..

გულში კი ვეთანხმები, მაგრამ თავს უხერხულად ვგრძნობ და არ მსიამოვნებს მასთან კონტაქტი. ვერ წარმოემდგინა, ამ ასაკის ქალს განგრეულ კაიფში თუ ვნახავდი.

გიას ქიმიო ორი დღის წინ გაუკეთებია და თავს სუსტად გრძნობს. ექიმმა ჩვენი რეცეპტები გამოიტანა. ორივე ერთად გამოვართვი და ბექდების დასარტყმელად მდივანს მესამეზე ავუბრუნე.

ჯიგარია გია, ტაქსი მელოდება და პოლიციაში გაეყვანო, მაგრამ უარი ვუთხარი. დედაჩემის ქმარი მელოდებოდა, მანქანაში ჩავჯექი და პოლიციაში წავედი.

პოლიცია

პოლიციაში პირველად ვარ. მისაღები მინის კედლით არის გამოყოფილი, შესასვლელი გვერდიდან აქვს და წინიდან ისეთი გამჭვირვალეა, როგორც, წესით, ეს სტრუქტურა უნდა იყოს. მოსაცდელში სამადგილიანი ტახტი და 43 ადამიანია. კომპიუტერთან მორიგე პოლიციელი ზის, გვერდით მაგიდასთან 50 წლამდე მამაკაცი გამადიდებელი შუშით ამონებს რეცეპტზე დასმულ ბექდებს და მოსაცდელშივე გასცემს ნამალს. ხელს იმდენ ადგილას განეირინებს, სახეზე ეტყობა, ეზარება

ჭურნალის ამდენჯერ გადაფურცვლა.

რიგი დაიკავე და მოსანეწად გამოვიდი. ეზოში ჩემი სკოლელი შემოვიდა, თინა. ადრე ვესალმებოდით ერთმანეთს, ფეისბუქში ზოგჯერ სურათებსაც მილაიქებდა. მერე ჩემ ყოფილ შეყვარებულს გაყვა ცოლად და ვერ გავიგე, ეჭვიანობს თუ რა ჭირს... გამარჯობას აღარ მიუბნევა. იმ იდიოტზე როგორ უნდა იეჭვიანო?! ცოტა ხნის წინ მიმტანი დაუჭრია, ხურდა დამიგვიანეო. მალევე იყო, დაიჭირეს და ახლა გამოსულა. ნეტა აქ რა უნდა? ალბათ ისევე შარშია მაგის დებილი ქმარი...

გვერდით ჩამიარა, ხელში ისეთივე რეცეპტი ეჭირა, მე რომ მომცეს პოლიკლინიკაში. მალევე უკან გამოვიდა და ხის სკამზე ჩამოჯდომა დამასწრო. შენობაში შევბრუნდი. ვილაც ქალი გიას ეჩხუბებოდა. არადა, თუ პაციენტი თვითონ იღებს ნამალს, რიგში დგომა არ ეკუთვნის.

გარეთ ვბრუნდები. თინა თვალს მისწორებს. ჩემდა უნებლიედ მისკენ მივდივარ, ვკოცნი და გვერდით ვუჯდები. აქ რას აკეთებო, მეკითხება დაბნეული. ვუხსნი და კითხვას ვუბრუნებ.

— დედაჩემი... უკვე მეოთხე თვეა, მორფზეა...

ანგარიშიუცემლად ერთსა და იმავეს ჩქარ-ჩქარა ვიმეორებ:

— ნუ გეშინია, ეს ნამალი უშველის, ტკივილს შეუმსუბუქებს, ბაბუაჩემი... დედაშენი ვეგეტარიანელია? — ვეკითხები უცებ.

— ეგ რა შუაშია? — ვერ ხვდება და თითქოს იძაბება.

— ნავიკითხე, ვილაც მხეცი ფრანგი ექიმი ამტკიცებს, კიბოს განვითარებას ხელს უშლისო. სახლში რომ მივალ, ლინკს ჩავიგდებ. ვარჯიშიც ძაან მაგარია, დილაობით, სუფთა ჰაერზე...

თინა ტელეფონის ნერვიულ სქროლვას თავს ანებებს და მანყვეტინებს:

— მესამე თვეა, გათიშული წევს, ტკივილის მოსახსნელად დღეში 12 ამპულას ვუკეთებ...

უცებ საშინელ ტყუილს ვეუბნები ვილაც გამოგონილ ნაცნობზე, რომელიც ზუსტად ეგრე იყო და ახლა ფეხზეა და ჩვეულებრივად აგრძელებს ცხოვრებას.

იმ მომენტში თინასთვის ყველაფერი ვინატრე, რაც ყველაზე ახლობელი ადამიანისთვის და ოჯახის წევრისთვის მენდომებოდა. შენობიდან დამიძახეს, ნამალი ავიღე და თინას დავემშვიდობე. სკამიდან არ ამდგარა, თავი აწია და მითხრა, რომ იმედი ჰქონდა, ისევე შეეხვებოდით... ლინკები იმავე ღამეს გადავუგზავნე.

პოლიკლინიკა

თვის ბოლოა, მატერიალურად ძალიან გავიჭედეთ მე და დედა. ასე შევთანხმდით, პოლიკლინიკაში, ქიაჩელამდე, ფეხით წავალთ, პოლიციაში ავტობუსით მივალთ და სახლში ტაქსით დავბრუნდებით.

ისევე რეცეპტის რიგში ვდგავარ, გია და ქალბატონი მანანა აქ არიან. გია ამბობს, რომ თავს უკეთ გრძნობს, რაც ამ წამლის მიღება დაიწყო. მანანა ისევე წამლის მომატებას აწვევა. ბაბუას ვდღე აღებინებდა და სულ ეძინა. მეოთხედ დღეს გაცილებით ყოჩაღად წამოდება.

მანანამ დედაჩემის გვარი გაიგო და აღფრთოვანება ვერ დამალა, ბავშვობაში ვგიჟდებოდი ბატონი ზაურის რეპორტაჟებზე. „რა ბავშვობაში, ბოდავს ეს ქალი? ხუთი წლით თუ იქნება ბაბუზე უმცროსი“, — ვფიქრობ მე და დედაჩემისკენ არ ვიხედები, რომ არ გავკვიციროს და „პატარა“ მანანას არ გაუტყდეს.

მანანას ვილაც 30 წლამდე გოგო ესაუბრება, ძველი პაციენტი. მერე ჩვენსკენ ტრიალდება და ამბობს, დედა და მანანა ერთად ცეკვავენო. ყელი კიბო აქვს, საშინელი ტკივილებით, მაგრამ თავს აჯობა და დოზა დავაგდეთო. მივხვდი, რომ ამ ადამიანებს ეს „ჯადოსნური“ ნამალი მეორე პრობლემას უმატებს, „ლომკას“ ებრძვიან ცალკე.

უცებ კაბინეტიდან აღშფოთებული ექიმები გამოდიან. ვილაც გოგის მამამისის გარდაცვალება მთელი ორი კვირა დაუშლავს და ნამალს თვითონ იღებდა. რალაცნაირად შემემინდა ამ ისტორიის. კიდევ კარგი, გოგის გაცნობა ვერ მოვასწარი...



\*\*\*

ილუზიაა, როცა მაღლიდან  
ზომავ მანძილებს, უცებ მისაჩვევს,  
რა გაეწყობა, შენ ის სახლი ხარ,  
უბინაობა რომ მომისაჯე.  
ამ მახინჯ პალმებს, მარადხმელ წინვებს,  
ედება ცივი ქარი წინვებად.  
გადარბის ძალი და ჩემში იწვევს  
მადლიერებას და მონინებას.  
შენი თვალები ჩამდის კისერში,  
მიტოვებულის შარმით მორთული  
და რჩები უკან, ჩემი მიზეზით,  
უკაცრიელი და კომფორტული.  
ეს წრეა, თავის სადა ბუნებით,  
ბლეფია თმები და ნაწნავები,  
იგივე გზები დამაბრუნებენ  
შენთან, რა გზითაც შენგან წავედი.

\*\*\*

ამ ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან  
უფრო ცივია ეს ზამთარი...  
მე ამბავი ვარ... შენი ამბავი...  
ოლონდ რატომღაც  
სიცოცხლე მტკივა,  
ოლონდ რატომღაც  
არ გავვრცელდები, არავინ მჭორავს...  
უსათაურო ამბავი ვარ,  
ვერ მოვახერხე შენამდე მოსვლა...  
აქ ხელოვნური სუნთქვის აპარატზე  
უფრო ძნელია ეს ამბავი,  
თანაც თითებზე სულ სხვაგვარი ბეჭედი მტკივა...  
მე ამბავი ვარ,  
შენ ანბანი,  
იქნებ დამწერო...

\*\*\*

კაცი მინდა ვიყო  
და მინდა, ერთად ვიბრძოდეთ ომში.  
შენი თანამოსანგრე მინდა ვიყო  
და მინდა თხრილში ერთად გვეყრებოდეს  
თავზე ბელტები.  
ერთი ღერი სიგარეტი მინდა გვექონდეს და  
მინიანი თითებით ხან შენ მამოლებინებდე და ხან მე.  
ერთი იარაღი უნდა გვექონდეს — ერთადერთი ტყვიით  
და ამ ტყვიას ყოველი შემთხვევისთვის  
საგულდაგულოდ ვინახავდეთ.  
წერილს მინდა ვღებულობდეთ ერთ ქალისგან  
და მერე ამ ქალს ცალ-ცალკე ვწერდეთ  
უხამს წერილებს.

და საერთოდ, ზიარი საყვარელი მინდა გვეყავდეს:  
ერთ ღამეს შენთან ატარებდეს და მეორე ღამეს ჩემთან.  
მერე მე შენზე მიყვებოდეს და შენ ჩემზე...  
საინტერესო იქნება სხვა ქალისგან მოყოლილი  
შენი ამბები

და მერე ამ ქალთან ერთად დილაზე,  
ქანცის განყვეტამდე, ბრძოლა.  
ერთ დილასაც, ყოველი შემთხვევისათვის,  
შემონახულ ტყვიას გვეკრი.  
დაგჭრი, არ მოგკლავ,  
კაცურად მინდა მოგიარო,  
ზურგზე მოგიკიდო,  
ჩემს ბეჭებზე ვიგრძნო შენი სხეულის სიმძიმე და სითბო,  
მაგრამ ვერ გადაგარჩინო.  
ბოლოს ძმაცაქურად მიგაბარო მინას  
და ზიარ საყვარელს  
შენი უკანასკნელი სიტყვები გადავცე:

უერთგულე ჩემს მეგობარსო...  
ნუ დამესიზმრები ღამლამობით,  
ნურც ჩვენს საყვარელთან ნებივრობისას  
წამადგები თავზე აწრდილად...  
რატომ გესროლე ყოველი შემთხვევისათვის  
საგულდაგულოდ შემონახული ტყვია?  
რა ვიცი, როგორც ქალს, ისე მიყურებდი...

\*\*\*

„სიზიფეს შრომით“ მსურდა ცხოვრება,  
და მერე ჯილდოდ პაპის ტიარა,  
ეს ყველაფერი ძილში ხდებოდა,  
მე სიზმრებს ვწერდი,  
ლექსებს კი არა!

\*\*\*

მე უნდა ვწერო, ვწერო და ვწერო,  
ხელჯობს მომანვდის სიბერე ვიდრე,  
„კალამი, ჩემი ერთგული წერო“,  
ჩემს უნიჭობას უსიტყვოდ ითმენს.  
მე უნდა მზეში ფანტელეებს ვენდო  
და შეგაჩვიო სიკვდილზე ფიქრებს...  
მე უნდა შვიდი ფერივით გძერწო  
და ცისარტყელად გაქციო ისე!  
...მე სიკვდილისთვის სიმხდალე მეყო  
და შენი სულის სიმუხთლე კიდევ,  
— გამაფერადე, გამაფერადე,  
ფოთოლცვენაში ფოთლად რომ ვიქცე!



მარი ბურდული ოცდაათობეტი წლისა გარდაიცვალა. მძიმე მელანომა შეპყრობილმა — სამი ტყუპი ბიჭის დედა — დაწერა მოულოდნელი ოპტიმისტური აღსარება „ჩემი თანატოსი“, რომელმაც სოციალურ ქსელში განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია. მარი ბურდულის ლექსები პირველად ქვეყნდება.

### მარი ბურდული

\*\*\*

მოდი, ამიტვერე გზები,  
ფეხქვეშ გამაცალე მინა...  
ჩემი ვალი გაქვს, ფრთები  
შენ რომ შემოგატყდა მშვიდად...  
მოდი — მომიტანე სითბო,  
არც კი დაგინახავ თვალით,  
თან მე ხელისგულით გიგრძნობ,  
თან ხელის ცეცებით ნაგული...  
მოკლედ სიბნელეა თითქოს,  
გმობის, აკრძალვის და ართქმის,  
მე შენ ვერასოდეს გიმტრობ,  
ეჭვით არასოდეს დაგლი...  
მოდი, მომიტანე ფრთები,  
მოდი, დამიბრუნე ვალი...

\*\*\*

სიცოცხლე მინდა შენით სავსე,  
სამყარო — შენი თვალთ დანახული,  
სახლი — პატარა ლელიანზე,  
მზე — მცხუნვარე და არნახული,  
ტყე — გაზაფხულზე ატეხილი,  
ძნელად სავალი ეკლიანზე,  
მე — მორჩილი და დაბნეული,  
შენ — სილამაზის მოტრფიალე.  
ალერსი მინდა — გრძნობით სავსე,  
ოცნება — ღრუბლებში ჩაკარგული,  
შენ — ჩუმად მოჩურჩულე გარიჟრაჟზე,  
მე — შენ მკლავებში დამალული,  
თოვლი — მხესავით მოცელილი,  
ცა — ზღვის სილურჯში გადამდნარი...  
მე — შენს საღმურებლად მოვლენილი,  
შენ — სინმინდემი გადამდგარი...  
სიცოცხლე მინდა — შენით სავსე,  
სამყარო — შენი თვალთ დანახული,  
სახლი — პატარა, ლელიანზე  
და შენ — მყვირალობის გაზაფხული!

\*\*\*

მე შენში მიყვარს — სული!  
და არაფერი სხვა!  
ამიტომ არ გაქვს ჩემთვის  
სახე, ადგილი, ხმა!  
ამიტომ ვერსად შეგხვდი,  
ვერც კი შეგახებ ხელს,  
ვერც კი დავენები შენთან,  
ვერც გაგიტენებ დღეს!  
მე შენი მიყვარს სული!  
და არაფერი სხვა,  
შენს სულს პლუს ჩემი სული —  
შენით ორსული ვარ...

\*\*\*

მე შენ სხეულზე მოკრეფილ  
იების ბლუჯას ვეტრფი!  
შენი ცრემლების მტვენების  
მე სულს მითუთქავს ცეცხლი!  
მე შენი ყველა კენესის და  
ლოცვის პოეტი ვხდები.  
ვინ ჩაგათალა კალთა ან  
ვინ შეგიკვეცა ფრთები,  
სად გაგონილა, ანგელოზს  
ნება არ ჰქონდეს ფრენის?!

\*\*\*

დგას გამოლებულ ფანჯარაში ჩემი ქალაქი,  
მე ამ ქალაქის სიცივე მათობს...

მე მის უსაზღვრო ფუჭ ხმაურში  
ვისვენებ მარტო...  
მძულს ეს ქალაქი და მიყვარს რაზომ!  
ო, ამ ქალაქში ისე ვნებით არასდროს არ თოვს,  
როგორც მე მიყვარს!  
...დგას გამოლებულ ფანჯარაში ჩემი ქალაქი  
და მე კი მისი ჭუჭყიანი სინედლე მათობს,  
მისი მეფური, ხან ცრუ ხედვა  
დარღვივით მახრჩობს.  
მძულს ეს ქალაქი და მიყვარს რაზომ!  
ჩემია მაინც!

\*\*\*

ქარი სივრცეში ამსხვრევს  
წარსულს, აწმყოს, მომავალს  
და საზრდოდ სულის მოგონებს მიტოვებს მხოლოდ.  
დრო შეაჩერეთ! აღარ მახსოვს, რა იყო ბოლოს:  
ფერისცვალება, ფოთოლცვენა, პირველი რითმა...  
დრო შეაჩერეთ!  
ქარი სივრცეში ამსხვრევს წარსულს,  
აწმყოს, მომავალს  
და ვარდის ფურცლებს ნელ-ნელა მართმევს...  
რა სასტიკია,  
ულექსოდაც დამტოვებს მალე!

\*\*\*

გრძნობების გარეშე დარჩენის მეშინია  
სიკვდილმისჯილის შიშით...  
მაისის წვიმის შემდეგ მეშინია,  
ქარი არ მოვარდეს ცივი...  
რომ არ გადარდებს პირველთოვლობისა  
უშენოდ ჩამოსული ფანტელი, მიკვირს...  
შენი სიკვდილისაც მეშინია  
ჩემი სიყვარულის შიშით.

### თოვლი

როცა ცას მართმევ,  
ასე მგონი გჭირდება და  
ამიტომ გატან...

ან ცას რა მართებს ჩემი,  
ხანდახან სახეს ჭორფლიან ღამედ მოხატავს,  
წვივები ისე დაგინვირდება ნანვიმარ გზაზე,  
ორი გუბეც და აღარ გაგიჭირდება მისვლა საზღვარზე.

ზამთრამდე რჩება ისე ცოტა დრო,  
ზამთრამდე უნდა,  
უნდა მოასწრო,  
მთელი სხეულით ზეცა მოხატო  
და სიზმრებიდან დახეული მზე მომანოდო,  
გულზე მომანვე და ფეხაკრეფით უკან ახვიდე...

დამესიზმრები,  
ფარდის ჩახეულ ქვედაბოლოს გადაწევე და ცას მოგცემ,  
ისეე მოილოგინებ,  
მერე თოვა...  
თოვლთან ერთად შენი თვალის ფერიც მოვა,  
შენ გროვდები და სახეს იხატავ, მე კი შენში ვარ,  
როცა ცას მართმევ,  
როცა ცას მართმევ  
და როცა გატან...

\*\*\*

თალხი ფერებით დაეშვა ღამე  
და მტკივნეული სიჩუმეც დადგა.  
დანავარდობენ ღილილოებზე  
სიცივის მკაცრი ხელები ალბათ...  
...ჩიტი მიფრინდა მარიტასთან და  
უამბობს ამბავს, გედიას ამბავს...  
და ბრონეულის ყვავილების ინყება წარღვნა,  
ჩიტი მარიტას გედიაზე უამბობს ამბავს,  
ინანებს განა?..

\*\*\*

ქაფქაფა ფინჯანია ფანჯარა და ფერების ჩეფირს  
მიჰყვები, სინყნარეა, ბოლოში სიციხარე რომ გაჰკრავს,  
ცოტაც და აღარა ხარ, ცოტაც და მაგვიდაზე რჩები,  
გვიანო შემოდგომა, ცოტაც და წარსული ხარ, მაგრამ

წასვლა რომ დასაწყისზე ხასხასა დასასრულით მორთო,  
სიჩუმეს უცნაურზე უცნაურ უძრავობას უწყობ,  
დღეს შენზე გაცილებით ღამაში არაფერი მოთოვს,  
თან შენზე მშობლიურად, თავიდან — მშობლიურზე უცხოოდ.

არავინ გჭირისუფლობს, ჯერ ბოლო აკორდამდე გაძლებ,  
ფსკერიდან უფსკრულების აფრენის სწორფერი და ღირსი,  
ან ბოლო სიყვარულის უფლებას მერამდენედ მძღლევე,  
ყველაზე გაცვეთილი სიტყვებით ამიტომაც გიხსნი.



\*\*\*

მოიჯახუნებს აგვისტო კარებს,  
მას უნდა ჩემი ხვატი შეამჩნიო...  
თუ დაგეკარგები ოდესმე სადმე,  
მხოლოდ იმიტომ, რომ სიკვდილს შეგაჩვიო...  
ამოხურდება ზეცაზე მთვარე,  
ხვალისთვის უნდა საგზალი შევახვიო,  
თუ მიუდგომელი ვიქნები ძალზედ,  
მხოლოდ იმიტომ, რომ კედლებს შეგამსხვრიო.  
ჩამოველება ქვეყანას თვალზე  
სითბო სისხლის და ყინვის მევალე,  
რათა დაბადება გეპატიოს,  
ჩემს ფოთოლცვენაში — იყავი მებაღე...

\*\*\*

უხერხულობა მეუფლება — ვზივარ ახლა  
დედაჩემის მეგობრების წვეულებაზე —  
მოუქნელი, დარცხვნილი მოძრაობებით  
ცეკვავენ ისევ...  
სურთ სიყვარული და აღარ უყვართ...  
სამშობლო  
მათთვის შვილების მისამართით ნათქვამი —  
„ერთი ბარტყი გადმომიგდია“ —  
და ამ შვილების ბუდეებში გადამალვის ამბავია  
მათი ცხოვრება...  
მაგრამ ცეკვავენ...  
კეკლუცობენ, როგორც ოდესღაც,  
ნაოჭებქვეშ დამალული სასონარკვეთით  
და რაკი სჯერათ,  
რომ „სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი“,  
სჯერათ ასევე,  
რომ ჯერაც არ ყვარებიან უკანასკნელად...

და კვლავ ცეკვავენ,  
უკვე როკვას ემსგავსება მათი წადილი —  
იმ შვილებით გადაძევილ ბუდეებში  
ფეხების მკვეთრი მოძრაობით  
მოხაზონ და მონიშნონ სივრცე —  
როგორც მხოლოდ მათი ადგილი...

სურთ სიყვარული...

მე მეტირება  
და მეორე დღეს  
ჩემს მეგობრებს  
ვუამბობ ამბავს —  
შემოდგომაზე...

\*\*\*

მოდის ამეთვისტოს ფერთა ელვარებით,  
უკვე მაგრძნობინებს, როგორ შემცივდება,  
ზამთარი — გაცრეცილი თითების მღელვარებით  
უთქმელი ჯავრივით ყელში მეზღინება.

მე არ „ვექმნი ამინდს“ — მას ვემორჩილები  
და როგორც ყვავილს — მომისწრო სიცივემ...  
გთხოვ, არ დაგავინყდეს შემთხვა სახლში,  
მოჩვენებითია ეს ჩემი სიმშვიდე.



მოდის და ვერც თოვლის სინათლით მეუფლება, —  
თვალს მომჭრის, ამაცდენს გაკვალულ ბილიკებს,  
მე მასში მხიბლავს ბელურის ერთგულება  
და მათი სახლების უღონო სიმტკიცე...

მოდის... მე გზადაგზა ვუთვლი საყვედურებს,  
მოდის თვითნებურად, ზანტად, ნება-ნება,  
მინას უკეთესად ვაჩნევ ნაფეხურებს,  
თოვლი გასათელად მუდამ მენანება...

მოდის ამეთვისტოს ფერთა ელვარებით,  
უკვე მაგრძნობინებს, როგორც შემცივდება,  
ზამთარი — გაცრეცილი თითების მღელვარებით —  
უთქმელი დარდივით ყელში მეზღინება!..

\*\*\*

თუნდ ეკლიანი იყოს სავალი,  
მე მაინც მოვალ შენამდე, ადამ,  
მოვალ მშვენებაშემონაძარცვი —  
შენ დამინუნებ ღიმილს და კაბას...  
მაღე მაისი სულში გამკენლავს,  
რა გამაჩერებს მერე ოთახში,  
მოვალ სამიში, როგორც რვაფეხა  
და ყველა საცეცს სულში მოგახლი...

როგორც შენ გიყვარს — მოვალ მარტივი  
და უნახესი მზერით დაგათოვ,  
იქნება ეჭვი და ეს ნაბიჯიც  
ისევე ძველი, როგორც სამყარო...  
გზა საცალფეხოდ რატომ მიქციე,  
რად გინდა მაღე ნაკლული ნეკნი,  
მე შენ ყოველთვის შიგნიდან გიმზერ  
და ვიცი შენი ჭრილობის ფერი...  
თუნდ ეკლიანი იყოს სავალი,  
მე მაინც მოვალ შენამდე, ადამ,  
მოვალ მშვენებაშემონაძარცვი —  
ნუ დამინუნებ ღიმილს და კაბას...

\*\*\*

გპირდები,  
ერთ მშვენიერ დღეს ავდგები და დავალაგებ  
ამ ჩემს ცხოვრებას...  
მზეს შემოვუშვებ — დიდი ხნის წინ ჩაგმანულ სახლში...  
შენ ჩამომიღებ გაზაფხულზე  
გაზაფხულით სავსე ჩემოდანს,  
მე სეზონურად ჩაცმული ვივლი...  
ხშირად დავცივდი საფერფლებს —  
შენ ნამწვავებად გადაქცეულ მელანქოლიას,  
გზას გავეისხენებ ლოჯიიდან — საძინებლამდე  
და ყოველ ღამე გამოვავნებ,  
განა მარტო გასათენებლად...

გპირდები,  
ერთ დღეს ავდგები და სასწორზე დაგდებ,  
მეორე პინას ჩამოვამხობ მთელ ამ სამყაროს...  
თუ გადაგნონეს — სიმძიმის ცენტრს დავაზიანებ,  
წონასწორობის სულ ახლებურ მოდელს ავანყობ...  
გაგიმზეურებ  
დიდი ხნის წინ დახურულ საბანს,  
გპირდები ერთ დღეს — სათქმელს უკვე  
ბოლომდე გეტყვი,  
მეც შევიყვარებ შენს საყვარელ შინაურ კატას,  
და იმ სათქმელსაც, რა თქმა უნდა,  
გადმოცემ ლექსით...

გპირდები,  
ერთ დღეს ავდგები და დავალაგებ ამ ჩემს ცხოვრებას  
და თან გპირდები — დანაპირებს ვერ შეგისრულებ!

\*\*\*

სხვის ომში ხშირად ვყოფილვარ ბრძენი,  
საკუთარ ბრძოლებს ზედიზედ ვაგებ  
და უკვე სახლში მომადგა მტერი,  
გვიანლა ვრეკავ განგაშის ზარებს!

ზღურბლს იქით, ალბათ, ჯერ კიდევ სჯერათ  
ოლიმპიური ჩემი სიმშვიდის,  
კარგად შეფუთულ თოჯინას ვგვევარ  
და კაცს, რომელიც აღარ იცინის...

ნეტა ვიცოდე, სად არის ბოლო,  
ბოლო იმედიც ხომ აგერ კვდება  
და ბაბილონის დანგრეულ გოდოლს  
ისევე მაგონებს ჩემი ოცნება...

ეს არის ერთი შეცდომის ფასი —  
ერთი მოკვდავის სიცოცხლე მერგო,  
ღმერთო, დე, ვზიდო მე ჩემი ჯვარი,  
ოღონდ ბოლომდე მიტანა შევძლო!





მწერალი

ლიანა ანფიმიადი

პოეტი, პროზაიკოსი, ლინგვისტი, პედაგოგი ლიანა ანფიმიადი მკითხველმა პოეტური კრებულით გაიცნო. „შოკოლადი“ 2008-ში გამოიცა და ლიტერატურული პრემია „საბა“ დაიმსახურა, როგორც წლის საუკეთესო დებიუტმა. შემდეგ გამოვიდა ლექსების სხვა კრებულები „კონსპექტური მითოლოგია“ (2009, გამომცემლობა „საუნჯე“), „ახლოხედვის ტრაექტორია“ (2012, „საუნჯე“), „ჩრდილის ამოჭრა“ (2015, გამომცემლობა „ინტელექტი“). დიდი ინტერესი გამოიწვია, ასევე, დიანას წიგნებმა პროზაში, ესეისტიკასა და კულინარიის მიხედვით. 2015 წელს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ საზოგადოებას შესთავაზა მისი „პირადი კულინარია“, „წინასწარმეტყველება მურაბით“ კი გამომცემლობამ „ნიგნის ბათუმში“ დასტამბა; განათლების დარგში თანაავტორობით შექმნილი წიგნი „ინკლუზიური განათლება“ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ოჯახებისა თუ აღმზრდელებისთვის მეტად საჭირო ლიტერატურად იქცა, დიდი გამოხმაურება მოჰყვა „სახატავ რვეულში ჩანერილ ზღაპრებსა“ (2017, „არტანუჯი“) და „ნიგნის პინგვინი“ (2018, ფონდი „ლიანა საზოგადოება საქართველო“ — ლიტერატურის განვითარების ფონდი).

ლიანა ანფიმიადი სამეცნიერო დარგშიც აქტიურად საქმიანობს. ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დაამთავრა მაგისტრატურა ზოგადი ლინგვისტიკის მიმართულებით და იმავე უნივერსიტეტში მუშაობს სადოქტორო შრომაზე კომპარატივისტიკასა და კორპუსის ლინგვისტიკაში. თანამშრომლობს საგანმანათლებლო და ლიტერატურულ პერიოდულ გამომცემებთან. იკვლევს გასტოლინგვისტიკას, კულინარიულ და ეთნოკულტურას. მუშაობს საგანმანათლებლო სფეროშიც.

პრემია „საბა“ გარდა ლიანა არაერთი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელია. სხვადასხვა დროს მიღებული აქვს „ნერო“, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის პრემიები, I პრემია „ერთგულება“ მინიატურის ჟანრში, I პრემია კონკურსში „საუკეთესო მოთხრობა მასწავლებელზე“ და სხვა.


— თქვენი მწერლობა სხვადასხვა ეტაპს მოიცავს, სხვადასხვა თემას თუ ჟანრს. პოეზიით დაიწყეთ და გამოჩენისთანავე გაითქვით სახელი. ლიტერატურული ნრეების, კრიტიკოსების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდით. შეგიძლიათ სტარტი გაიხსენოთ? რატომ სწორედ პოეზია, ლექსები?

— სხვა არჩევანი არ მქონია, გამოხატვის სხვა ფორმა ავც მიძებნია. პოეზია იყო ყველაზე თავისთავადი, რაც მოდიოდა ყოველდღიურად, სიზმრებში, საუბრის ფორმებში. არ მახსოვს, ოდესმე რამე ავირჩიე თუ არა, მგონი, არ ამირჩევია, ისევე როგორც ჩვენ არ ვირჩევთ მუქ თმას, შავ თვალებს, დამახასიათებელ ნაკვთებს და გენეტიკურ ხალეებს თუ სხვა ნიშნებს. დღესაც, როცა სხვა ფორმითაც ვცადე საკუთარი თავი, პოეტური ენა მაინც ყველაზე თავისთავადი მგონია.

— თქვენს „თავისუფლების დღიურებში“ ამოვიკითხე ეს ფრაზა: „ძალიან ცოტას ვწერ, იშვიათად. გიორგიმ, ოჯახმა, ათასი რამის წერამ და კეთებამ პოეზია დააზარალა, თუმცა მგონია, რომ შესვენებებიც ძალიან სასარგებლოა. თუმცა ვცდილობ, ბევრი წავიკითხო, ალბათ ახალი სუნთქვაც გაიხსნება, სად წავა...“ — სანამ გიორგიზე გკითხავდით, ამ დიდ მოკლენაზე თქვენს ცხოვრებაში და, ვფიქრობ, შემოქმედებაშიც, მანამდე მითხარით, მართლა „ზარალდება“ პოეზია ასეთი ამბებით? თუ პირიქით, საზრდოობს, რომ მერე ლექსებზე გამოითქვას?

— არ ვიცი, ალბათ ერთი და მეორეც. პოეზიისთვის საჭიროა თავისუფალი თავი, ყველაფრისგან ცარიელი, სადაც მხატვრული სამყაროს კონსტრუირებას შეძლებ. როდესაც ის თავი სხვა ადამიანებით, ამ შემთხვევაში, შვილითა გატენილი, ემოციური ფონი იმატებს, თემატიკა უფრო ცოცხალი ხდება, მაგრამ ამ ყველაფრის გადმოსაცემი მარტოობა უკვე იშვიათდება.

— კულინარიული პროზა თუ ლიტერატურული კულინარია ერთი დიდი თავია თქვენი შემოქმედების. ესეც, ლექსებივით, პირველი გამოჩენისთანავე, ძალიან



შთამბეჭდავად წარმოადგინეთ. როგორ იწერებოდა „პირადი კულინარია“ და „წინასწარმეტყველება მურაბით“, რა უდევს თქვენშივე საფუძვლად ამ თემას, ამ ტიპის პროზას? მე მგონია, რომ აქ ბევრი რამ ერთიანდება, ბევრი ძაფი იგორგლება და ქმნის სრულიად არაჩვეულებრივ საკითხავს.

— მაღლობა ასეთი შეფასებითვის, მეც ძალიან მიყვარს ეს წიგნები, ტკბილი, თბილი და სასიამოვნო საკითხავია, მიხარია, რომ მკითხველებს მოსწონთ და ხშირად უბრუნდებიან.

— ორსულობისას დავიწყე, ალბათ შეგრძნებები გამომძაფრდა — ყველა კულინარიულმა, შეგრძნებითმა, გემოს მეხსიერებამ გაიღვიძა და ვწერდი. მერე ჟურნალ „ცხელი შოკოლადისთვის“ დავიწყე გაგზავნა და ასე აიკინდა პირველი წიგნი. მეორე უფრო სხვანაირია — ბევრი პერსონაჟი, დიალექტური ტექსტი, ქართული ენის საოცარი სიტყვიერი მარაგი და, რასაკვირველია, ხორციელი თუ სულიერი შიმშილის გადარჩენილი თაობები.

— ხშირად წერთ თქვენს მოზარდობაზე, 90-იანებზე. ეს მოგონებები თითქოს ათასწიარად გააცოცხლეთ და „გამოიყენეთ“ მწერლობისთვის, შემოქმედებისთვის. რამდენად არის თქვენთვის მნიშვნელოვანი ის პერიოდი და რამდენად

განსაზღვრა მან თქვენი დღევანდელი დღე?

— ბავშვობა ყოველთვის მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, როცა გამძაფრებული შეგრძნებები გაქვს და ყველაფერი გამახსოვრდება. დღესაც ვერ განვიკუთრე მოზარდობისდროინდელი შიშებისგან, კომპლექსებისგან, რომელიც სკოლამ მომიტანა. ათასგვარი, ურთიერთგამომრიცხავი გრძნობა მაქვს იმ პერიოდისადმი, თან ძალიან მიყვარს, როგორც უდაბნო, რომელიც უკვე გამოიარე, თან ძალიან მეშინია მისი, შესაბამისად, წერა ამ შიშებისგან გათავისუფლების საუკეთესო საშუალებაა.

— ასე მგონია, რომ იშვიათი უნარი გაქვთ, ყველაფერი, რაც განვიცდიათ და გამოვივლიათ, რაც გისწავლიათ და გადაგხდენიათ, გადააქციოთ თუ გადაამუშაოთ შემოქმედებად, ძალიან ბუნებრივად და თან მაღალ დონეზე გამოიყენოთ.

— არ ვიცი, რამდენად მაღალ დონეზე, საკუთარი თავის მკითხველად არ ვვარგევარ. ყველაზე მეტად საკუთარი ტექსტების წაკითხვა და გაგება მიჭირს. მაგრამ ეგ თვისება კი მაქვს, მართალია, ზოგადად,

„**მკითხველი მაინც მთავარია**“

ასე ვარ, ნებისმიერ გარემოში საკუთარი გარსის მორგება შემძლია, იქნება ეს ტექსტი თუ წარმოსახვა. თავდაცვის ინსტიქტია, შემდეგ ამ ყველაფრის გაზიარება მინდება ხოლმე. მგონია, რომ ეს მხოლოდ ჩემი თვისება არაა, ლიტერატურა, პირველ ყოვლისა, გამოცდილების გაზიარებაა, იქნებ სხვები დაიცვა შეცდომებისგან ან პირიქით, იმავე შეცდომებისკენ უბიძგო, რა ვიცი.

— გიორგი — მთავარი თავი, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი კულმინაციური თავი თქვენი ცხოვრებისა და შემოქმედებისა. მიაბნეთ ამ მოკლენაზე, თქვენს შვილზე — ვიტყვოდი მასწავლებელზეც — და თანავტორზე.

— შო, ნამდვილად კულმინაციური ამბავია, დღემდე ვერ მოვიხსენიე, ვერ გადავხარშე და ვერ გავაჩვენებლავი მისი ჩვენთან ყოფნა. ძალიან საინტერესო ადამიანია და გვხვდები, რომ მასზე ბევრი უნდა ვილაპარაკო. იმიტომ, რომ დღეს ჩვენ შევეჩვიეთ, ყველა ერთნაირი უნდა იყოს, ნესიერი და უნესო, ნორმალური და არანორმალური ბავშვების დიქტომიები შეგვიყვარდა. გიორგი საოცრად ჭკვიანი ბიჭია აუტისტიკური სპექტრის აშლილობით, ის ყოველდღიურად მასწავლის, როგორ უნდა შევფასო ადამიანები, როგორ უნდა ვიმუშაო საბოლოო შედეგზე, როგორ უნდა

მიყვარდეს. მერე ამ ყველაფერზე ვწერ და ვიცი, რომ ბევრი მშობლისთვის ეს შეგნობა ბევრს მოუწერია, რომ მაღავს შვილის დიანობას და უხარია, მე რომ ხმამაღლა ვლაპარაკობ. როგორ ავსებს გიორგის განვითარება და წარმატებები იმედით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. ჩვენი საბავშვო წიგნი „სახატავ რვეულში ჩანერილი ამბები“ ამიტომ დაწერე, გიორგის ნახატები იყო ინსპირაცია.

— ძალიან საინტერესო ხართ, როგორც მასწავლებელი. თქვენი ჩანაწერები წაკითხვაზე ინტერნეტგაზეთში „mastavlebeli.ge“ და მომინდა გაკვეთილებს დავსწრებოდი. რა არის აუცილებელი მასწავლებლისთვის, ბავშვებისთვის, იმისთვის, რომ გაკვეთილი იყოს შინაარსიანი, შედეგის მომტანი, დამაფიქრებელი. ან რა აკლია დღევანდელ სკოლას?

— წარმოსახვა — ეს მნიშვნელოვანია ყველა პროფესიაში, განსაკუთრებით მასწავლებლისთვის, როდესაც ერთი მოვლენის სხვადასხვაგვარად შეფასება შეგიძლია და ბავშვებსაც ასწავლი ამას, როცა ყოველ ჯერზე მათთან ერთად წარმოიდგენ საწყაროს, სხვადასხვაგვარ ვარიანტებს სთავაზობ, ხარ თავისუფალი, გულწრფელი და შეცდომების არ გეშინია, მაშინ ისინიც ასე არიან. ძალიან მიყვარს მასწავლებლის პროფესია.



ჩვენს სკოლას თავისუფალი ადამიანები აკლია, შეცდომების აღიარება, სიყვარული, განსხვავებულის მიღება და წიგნიერება.

— რაც შეეხება ინტერნეტგაზეთს „მასწავლებელი“ — აქტიურად თანამშრომლობთ მასთან? როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა მისი ასეთი პოპულარობა პედაგოგებსა და მოსწავლეებს შორის?

— ინტერნეტგაზეთი „მასწავლებელი“ ჩემი ერთ-ერთი დიდი სიყვარულია. დიდი ხანია, მისი საშუალებით მასწავლებლებს ველაპარაკებ, საკუთარ გამოცდილებებზე ვყვები, ალბათ ეს მოსწონთ, კიდევ — თემებისა და ავტორების მრავალფეროვნება. კარგად დაგეგმილი გაკვეთილის გეგმის, ცნობილი ნეიროფსიქოლოგის სამეცნიერო სტატიის გვერდით, ძალიან პირადი და გულწრფელი ჩანაწერი გხვდება, ამიტომ აქ ყველა პოულობს სასურველ საკითხავს. თანაც ეს გაზეთი ძალიან პრაქტიკულია, რეალურად, ერთადერთია ასეთი თემატიკის და ეხმარება მასწავლებლებს. ვიცი, რომ ბევრი მასწავლებელი დილას ინტერნეტგაზეთის ახალი სტატიის კითხვით იწყებს და ეს მიხარია.

— ენათმეცნიერება — თქვენი მრავალი წლის შემოქმედებითი და მეცნიერული ინტერესის, კვლევის, სიყვარულის საგანი. ამაზე მელაპარაკეთ.

— ენა მიყვარს. მგონია, რომ მწერალს, პირველ ყოვლისა, ენა უნდა უყვარდეს, საკუთარ ენას უნდა სწავლობდეს, ყოველდღიურად. ამიტომ ჩემი ორი პროფესია ერთმანეთს შეერწყა, ასე გამოდის. ახლა გადავწყვიტე, ქართული ენა თავიდან ვისწავლო, ლექსიკონებზე ვმუშაობ, დიალექტურ ტექსტებში ვიხიბიკები. ახლა საოცარ პროექტზე ვმუშაობ დიალექტური კორპუსის ნიაღში, ფერეიდნული დიალექტის შესწავლის კვალდაკვალ ფერეიდნულ ამბებს მხატვრულ ტექსტებად ვაქცევ, ძალიან საინტერესო და გულშიჩამწვდომ ამბებს ვპოულობ. იმედია, წიგნადაც მალე იქცევა.






— როგორც ვიცი, ახლახან მოიარეთ ინგლისი და გერმანია, ძველ ქართულ ხელნაწერებზე იმუშავეთ. რა პროექტი იყო ეს და რითი დაბრუნდით?

— ბოლო ორი წელი ძალიან აქტიური იყო ამ მხრივ, ფრანკფურტის ბაზრობაზე საქართველოს სტუმარი ქვეყნის სტატუსით სტუმრობამ ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი გაზარდა, მე ძალიან გამომართლა, გერმანულმა გამომცემელმა ჩემი კულინარიული პროზა გამოსცა, შესაბამისად, ბევრი საინტერესო შეხვედრა დაიგეგმა. ახლა გერმანულად ზღაპრებიც გამოვიდა, ახლახან ფრანკფურტში წარვადგინე. ითარგმნა ლექსები რამდენიმე გერმანული ანთოლოგიისთვისაც. ასევე, ძალიან საინტერესო ბრიტანულმა ორგანიზაციამ, „პოეტური თარგმანის ცენტრმა“, რომელთანაც უკვე მრავალი წელია, ვთანამშრომლობ, ჩემი და სალომე ბენიძის ლექსები თარგმნა, ნიგნები გამოსცა და ლიტერატურულ ტურში მიგვიწვია. ექვსი ქალაქი მოვიარეთ, უამრავი საინტერესო შეხვედრა იყო. ძალიან გამომართლა მთარგმნელებში, ნატალია ბუკია პიტერსმა, ქართული ლიტერატურის დიდმა გულშემმატკივარმა, ლიტერატურული თარგმანი შეასრულა, ხოლო პოეტური თარგმანი ძალიან კარგ და ცნობილ ბრიტანელ პოეტს, ჯინ სპარკლენდს ეკუთვნის. საინტერესო გამოცდილება იყო საკუთარი ლექსების უცხო ენაზე მოსმენა, აუდიტორიაც დიდი ინტერესით ისმენდა და კარგი გამოხმაურებაც გვქონდა. ეს ყველაფერი კი გრაცის სარეზიდენციო პროგრამამ დააგვირგვინა. გრაცში, მწერალთა რეზიდენციაში თვე-ნახევარი ცხოვრობდი და ვმუშაობდი, ძალიან ნაყოფიერი ზაფხული გამოდგა. სწორედ გრაცის უნივერსიტეტის მუზეუმში ინახება რამდენიმე უძვირფასესი ქართული ხელნაწერი, რომელზეც ჩემი მასწავლებელი, ვახტანგ იმნაიშვილი მუშაობდა. ამ ხელნაწერების ნახვის ბედნიერება მერგო წილად და ძალიან შთაგონებული და ალტაცებული ვიყავი. პოეტისთვის პოეტის ხელნაწერი, საუკუნეების სიღრმეიდან — ხომ წარმოგიდგენიათ? იოანე ზოსიმეს კალიგრაფია „მოვილოცე“.

**— მხატვრულ პროზაში თუ მუშაობთ და რა გეგმები გაქვთ?**

— გრაცში რამდენიმე წინა თითქმის დავასრულე და ალბათ გამოცემასაც დავგეგმავ. ერთი „ვეფხისტყაოსნის“ გადამწერებისა და მინაწერების მიხედვით დანერგილი მხატვრული და არამხატვრული ტექსტებია, მეორე, როგორც გითხარით — ამბები ფერეიდუნული დიალექტიდან. დიდი ხანია, რომანს ვწერ, თუმცა ვწერ ძალიან ნელა, დაგეგმვებით, არ ვფიქრობ, როდის და ვისთვის ვწერ, რაც შემოქმედებით თავისუფლებას მანიჭებს. ვწერ, მაგრამ შეიძლება, არც არასდროს გამოვიც. საერთოდ, უცნაური ეტაპი მაქვს, ლექსებსაც მხოლოდ საკუთარი თავისთვის ვწერ, საკუთარ თავთან ყოფნა გამიტკბა და გამიგრძელდა. როცა ნაწერს მკითხველის ჩრდილი არ ადგას, თან თავისუფალი ხარ, თან — რაღაცნაირად ცარიელი, თუმცა მკითხველი მაინც მთავარია.

**ესაუბრა თამარ შურული**



# ქეთევან შენგელია უკვდავი სიცოცხლის დასაწყისი

ორ მოქმედებას საბოლოოდ გამოვთხოვეთ ჩვენს ძვირფას მწერალს, თამაზ ჭილაძეს და მისი დაუფიქრებელი ხელოვნება უკვე ლიტერატურის ისტორიის საკუთრებად იქცა. ახლა ავტორის გარეშე სიცოცხლეს აგრძელებენ მისი საოცარი და საინტერესო პერსონაჟები, რომელთა დიალოგებში ყოველთვის იგრძნობა შემოქმედის განსაკუთრებული ინდივიდუალობა. სიმარტოვის გარეშე არ არსებობს ღრმა და მტკივნეული განცდები... მხოლოდ ასე იქმნება, რაც ნამდვილად ფასეულია, რასაც ძალიან დონის აზროვნება და ფიქრი სჭირდება. ვინც ოდნავ მაინც იცნობდა თამაზ ჭილაძეს, დამეთანხმება, რომ დიდ მწერალს სიმარტოვის გაძლევის საოცარი ძალა ჰქონდა. მის განმარტოებაში იბადებოდა გამორჩეული სამყაროცა და ამ სამყაროში შექმნილი პერსონაჟების მიერ სიყვარულის დასაცავად დანებებული ბრძოლაც.

არ შეიძლება, ვისაუბროთ თამაზ ჭილაძის მნიშვნელოვან შემოქმედებაზე, პიესა იქნება ეს, მოთხრობა, ლექსი თუ რომანი და სიყვარულს გვერდი აუაროთ; ეს დიდებული გრძნობა განსაკუთრებული ემოციებით და რუდუნებით მიჰქონდა მწერალს მკითხველამდე. ის, როგორც ყველა დიდი შემოქმედი, მარტო კი არ ხატავდა ემოციებით სავსე ქალს, არამედ ყოველთვის მის მხარეს იყო. „ჯულიეტას როლი ასე წლის ქალისთვის არის დანერგილი, ჯულიეტას ასაკი არა აქვს“ — ამბობს მისი 90 წლის პერსონაჟი, ანასტასია, რომელიც ტრაგიკულ გარემოშიც სიცოცხლით არის სავსე.

ბატონ თამაზთან საუბრის დროს შეიძლება, მიმხვდარიყავი, რომ იმედგაცრუებები და ადამიანთა გულგრილობები, რაც დიდად დანტეიმ ჯოჯოხეთის სასჯელად მიიჩნია, ჩვეულებრივი მოვლენებია და არა სასონარკვეთის და ტრაგედიის საბაზი; ის გასწავლიდა, რომ ამ ყოველივეს მოთმინებით, გაკვირვების გარეშე უნდა შეხვედ და დაჭრილი გულით ჩვეულებრივად გააგრძელო შენი საქმე. შემოქმედი ჰგავდა თავის პერსონაჟებს...

მრავალმხრივობა კიდევ ერთი გამორჩეული თვისებაა. ზევით სხვადასხვა ჟანრი ჩამოვთვალე მწერლის შემოქმედებიდან და განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ბრწყინვალე ესეებიც და წერილებიც, რომლებშიც თითქოს საჭირობოროტო ეროვნული საკითხებიდან დაწყებული, ქართული და მსოფლიო კულტურული სივრცით დამთავრებული, უამრავი მნიშვნელოვანი მწერალი, მხატვარი, მუსიკოსი, საზოგადო მოღვაწე და საზოგადო მოვლენა იხატება, შინაარსობრივად და არსისმიერად ხასიათდება. უფალმა მას მშვენიერების სამსახური არგუნა და ეს „დავალე“ პირნათლად, დიდი ღირსებით და სიამაყის გრძნობით შეასრულა.

რაკი სიმარტოვეზე საუბრით დავინწყეთ, მიხდა, მისი სიტყვები მოვიშველიო. შემოქმედი თავად წერდა: „მწერალი ეხმარება მკითხველს სიმარტოვისა და გაუგებრობის შიშის დაძლევაში. ამით ის ძალიან ჰგავს რელიგიის მსახურსაც და ექიმსაც, მაგრამ, რადგან ცოდვა თვითონაც მრავლად აქვს, მღვდლად არ გამოდგება, ხოლო, რაც შეეხება ექიმობას — მწერალს, ალბათ, უფრო პაციენტის როლი შეეფერება, ვიდრე ექიმისა, თუნდაც თავისი ათასჯერ დაფლეთილი და იმედის ნემსით ათასჯერ ამოკემსილი გულის გამო“. გაჩერდა მისი იმედებით ამოკემსილი გულიც და მარადისობას მიეცა; დაიხუჭა მისი თვალები, რომელთა დანახვისას შეამჩნევდი, რომ ერთი შეხედვით გარინდული ყოფის მიღმა დარდის კაეშანი, აფორიაქებული გრძნობები და ჩვენი ცის და მიწის ტკივილები ირეკლებოდა შიგ, სითბო და სიღრმე ახასიათებდა მის მზერას...

თამაზ ჭილაძეს კარგად იცნობდა საზოგადოება საქართველოშიც და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთაც. მისი არაერთი ნაწარმოებია თარგმნილი უცხო (გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ჩეხურ, რუსულ, სომხურ, უკრაინულ...) ენაზე და უამრავი ჯილდო აქვს მიღებული. განსაკუთრებული მისთვის, როგორც თავად

აღნიშნა, რუსთაველის სახელმწიფო პრემია იყო. თამაზ ჭილაძე 1931 წლის 5 მარტს დაიბადა და ახალი სიტყვით გაამდიდრა ჩვენი მწერლობა. უახლესი ქართული ლიტერატურის ხელახალი მიბრუნება ევროპეიზმისკენ რამდენიმე ქართველ ხელოვანთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, მის სახელთანაც არის დაკავშირებული. არიან მწერლები, რომელთაც გამორჩეული ფუნქცია ეკისრებათ თავიანთი ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში. სწორედ ასეთი შემოქმედი იყო ბატონი თამაზი.

მოგესხნებათ, როგორი ლიტერატურული პერსონაჟები იბადებოდნენ საბჭოეთის რეალობაში (რალა თქმა უნდა, ყველა მწერალს არ ვგვლისხმობთ). ნაწარმოების მთავარი გმირი გამარჯვებული და უნაკლო ლიდერი უნდა ყოფილიყო; შრომით და საქმით დაფასებული და ყველასთვის მისაბაძი, ხშირად, პარტიულ საქმეზე დაფიქრებული. ამგვარ ლიტერატურულ გარემოში თამაზ ჭილაძეს შემოჰყავდა განსხვავებული პერსონაჟები, რომელთა არსებობა, ყოფა და ცხოვრება ყველასთვის საერთო აღტაცების საგანი არ იყო; მას გააჩნდა ნაკლიცა და ღირსებაც, ის არ იყო კერპი; ცხოვრობდა, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, მაგრამ ჰქონდა საინტერესო ადამიანური ისტორია, იყო სავსე ბუნებრივი და არა „ზეადამიანური“ ემოციებით... მისი გმირები საუბრობენ სიყვარულზე, ოცნებობენ, განიცდიან ღალატსა და გულგრილობას, გაურბიან უხემ სინამდვილეს და ეძებენ თავშესაფარს ერთმანეთთან... თამაზ ჭილაძის პიესებში ხშირად არ იკვეთებოდა მთავარი გმირი. ამით მწერალი უპირისპირდებოდა ხელოვნურდ გამოგონილ „გამორჩეულობის“ სინდრომს; მის მიერ დახატული ყველა პერსონაჟი მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო თავისი თავგადასავლებით, სიმართლით და სიცრუით... „არაფერი ისე არ ჰგავს სიმართლეს, როგორც ტყუილი“ — ნათქვამია მის პიესაში; ამგვარი მწერალი, ორიგინალური აზროვნების ნიმუშებით სავსეა მისი შემოქმედება, რაც დიდ ხიბლს მატებს მის მნიშვნელოვან ქმნილებებს.

1951 წელს შემოაღო თავისი ლექსებით მწერლობის კარი, დაიბეჭდა სტუდენტობისას „პირველ სხივში“. მას შემდგომ მოჰყვა ზედიზედ სამი პოეტური კრებული; მათ შორის, პირველი კრებული 1956 წელს გამოვიდა; შემდეგ მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ქვეყნდება მისი პროზა, წერილები და გარდაცვალებამდე ქმნიდა ის თავის მშვენიერ სამყაროს. თამაზ ჭილაძე ნაყოფიერი შემოქმედი იყო ცხოვრების ბოლომდე; ბოლო ათწლეულში ორჯერ არის გამოცემული მწერლის ექვსტომეული, სადაც თავმოყრილია მისი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები.

დრამატურგია განსაკუთრებული იყო მწერლის შემოქმედებით პალიტრაზე. არაერთი პიესა გასცენიურდა; საზოგადოებამ მოისმინა მისი რადიოპიესებიც... გამორჩეული იყო ალბათ ამ მხრივ 1980 წელი, როცა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“ და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში — „ბუდე მეცხრე საათულზე“. ორივე სპექტაკლს დიდი წარმატება მოჰყვა; ბოლო წლებშიც საოცრად საინტერესო და მომხიბვლელი სპექტაკლი დაიდგა ვერიკოს თეატრში, რომელშიც სოფიკო ჭიაურელმა თამაზ ჭილაძის „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“ დადგა და თავისი ბოლო და მკაფურებისთვის დაუფიქრებელი როლი — ანასტასია ითამაშა. იგივე პიესა, სრულიად განსხვავებულად დაიდგა რუსთაველის თეატრშიც, იქვე დაიდგა „ნახვის დღე“ და სხვა პიესებიც... თამაზ ჭილაძის დრამატურგია ხელახალი ნაკითხვა და განსჯა სჭირდება, რადგან ეს არ არის ერთხელ წასაკითხი ავტორი.

1996 წელს გამოვიდა წიგნი, რომლის სახელწოდებაც „სიზმრების ახსნა“. ეს წიგნი იმიტომ გამოვარჩიე, რომ აქ სამი საოცარი პიესა, დრამატურგის სამი შედეგია



შეტანილი: „სიზმრების ახსნა“, „არაბეთის სურნელოვანი ბალახები“ და „როცა შუქი ქრება“. პიესებში ჩანს 1990-იანი წლების შემდეგ საქართველოს ისტორიული ყოფა და, ამავდროულად, ჩვენს ქვეყანაში არსებული კატასტროფებით სავსე საარსებო გარემო; ნაჩვენებია, როგორ იბრძვიან გაუბედურებული, ცხოვრება წართმეული ადამიანები საკუთარი სურვილების გადასარჩენად და როგორ ებღაუჭებიან ერთმანეთს. მათ ბრძოლის იარაღად მხოლოდ საკუთარი სულიერება შერჩენიათ. ისტორიზმები ფონად გასდევს პიესებს, თავს არ გახვევს მწერალი ტყვეების ზუზუნს და პიესების მთავარ ღერძს აქაც პერსონაჟთა განცდები განსაზღვრავენ.

უამრავია სათქმელიც და მოსაგონებელიც თამაზ ჭილაძეზე, როგორც მწერალზე, როგორც პიროვნებაზე... და ეს ალბათ ახლო მომავალს უნდა მივანდოთ. ცოტა დრო გვჭირდება, რადგან ქართულმა ლიტერატურამ სულ ახლახანს გადაიტანა ტრაგედია... ტრაგიკული იყო ჩვენი განცდებიც, როცა დიდი მწერალი გამოასვენეს სამების საკათედრო ტაძრიდან.

მივაცილებდით მას საბოლოო გზაზე, რათა ვაკის სასაფლაოზე მშობლების გვერდით დაეკრძალათ და მომავლად ქროსი საოცარი ამბავი: რამდენიმე ქალაქში საზოგადოებრივად მივდიოდით. რომით ვინცები და ბოლოს პრალაში უნდა გავეჩერებულიყავი. ბატონმა თამაზმა დამირეკა, გამოიარეო. ვენვიე შინ, საოცარი მასპინძელი იყო, ისეთი გულითადი შეხვედრა იცოდა, მასთან საუბარს არაფერი სჯობდა, თავადაც მუდამ ყურადღებით გისმენდა და გამხსენებდა. მხოლოდ სითბო მიმიღია მისგან და ცხოვრების ბოლომდე დიდი მადლიერებით, პატივისცემით და სიყვარულით მომაგონდა. იმ დღეს ვივახშმეთ, დიდხანს ვისაუბრეთ და წამოსვლისას მიხრა: ქეთი, პრალაში რომ იქნები, თუ ჩემი ხათრი გაქვს, მიდი ჯავკას საფლაოზე და, მათივე რელიგიის მიხედვით, ზედ სამი კენჭი დადე, დედის და მამის გვერდით არის დაკრძალული; ნახე, ისეთი ხეივანია სასაფლაოზე, იქნებ რამეც დანერგო. რა თქმა უნდა, შევასრულე დაპირება. პრალაში ჩავფრინდი და მეორე დღესვე ჯერ სასაფლაოზე წავედი, კენჭებიც მოვქებე, მიხაკებიც დავანყე და ფოტოც ჩამოვუტანე იქვე გადაღებული; ოქტომბერი იყო მაშინაც. ხეები ოქროსფრად ელავდნენ. იქვე, საფლაოთან დაინერა კაფკაზე ლექსიც და 2004 წელსვე გამოვაქვეყნე. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ამ საუბრისგან გავიდოდა 14 წელი და თამაზ ჭილაძეც, კაფკასავით, მშობლების გვერდით, ჩვეულებრივ სასაფლაოზე დაიკრძალებოდა. ან თვითონ საიდან უნდა სცოდნოდა, რომ ორივე პანთეონი დაიკრძებოდა? მწერლებს ხომ საოცარი წინათგრძნობები აქვთ. ასეთი ძლიერი წინათგრძნობა ჰქონდა, როგორ ჩანს, თამაზ ჭილაძესაც.

ვიდეკით სასაფლაოსთან და ყველა ერთად ვაცილებდით დიდ მწერალს; ზოგიერთები კი ვაცილებდით დიდ მასწავლებელსაც და უფროს მეგობარსაც. ქალბატონი თინა, მასზე გადაყოლია და, მწარე ცრემლებით გამოემშვიდობა ბატონ თამაზს; ზაზა ჭილაძის შემდეგ, შემადლებული სასაფლაოს კიბეზე, სანამ ძვირფას პიროვნებას დაკრძალავდნენ, რიგრიგობით ავედით გამოსამშვიდობებლად ჯერ მე, შემდეგ კი მამაკაცები: ზაჩო კვიციანი, ირაკლი სამსონაძე, ემზარ კვიციანი, შადიმან შამანაძე, ბექა ქურხული და ზვიად კვარაცხელია. თითოეული მათგანი დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეთხოვებოდა საყვარელ პიროვნებას. მათ სასახლეც თავად დაუშვეს და დაემევა კიდევ ერთ დიად სარკმელზე ფარდა...

ახლა ორმოცი დღე გადის თამაზ ჭილაძის გარდაცვალებიდან. კიდევ არაერთხელ მოვიგონებთ მას და იწყება მისი ტალანტისთვის ხელახალი, ლიტერატურული და უკვდავი სიცოცხლე...



# გურამ მეგრელიშვილი ზიტკალა შა

დასასრული

გაბრაზებული ტელეფონს უთიშავს და პოლიციაში რეკავს. იგივე ოპერატიული მუშაკები მოდიან, ვინც ეკლესიის გაქურდვისას იყვნენ.

ჩამტვრეულ ფანჯარას ათვალთვლებენ. მერე იატაკზე დაყრილ ნიგნებს და კედელზე გაკრულ პლაკატს.

„ეს ვინაა?“

„ზიტკალა შა.“

„ქალია თუ კაცი?“ — იცინის ერთ-ერთი და სხვებიც ხარხარებენ.

გრძობს, როგორც ტონითაც ელაპარაკებიან.

„არ უნდა დამერეკა, სირცხვილია?“ — ეკითხება დემნა.

„არა, პატივცემულო. ჩვენი საქმე გამოძიებაა. ვიზე გაქვთ ეჭვი?“

„არავიზე!“ — პასუხობს დემნა და მიდიან.

სკოლაში მასწავლებლები არ ესალმებიან. ბავშვების ნაწილიც.

დირექტორი თვალს არიდებს, დღის ბოლოს კი იბარებს და მშვიდად ელაპარაკება, რომ სასწავლო წელი მთავრდება და აინტერესებს, რას ფიქრობს დემნა საკუთარ გეგმებზე.

— ნასვლას მთავაზობთ? — ეკითხება.

— არა, ახლა ჩვილს ნუ დაინწყობ, ზენოლა იყო. უნდა ვიცოდე, რას აპირებთ, რადგან ახალი კადრის მოძებნა არ გამიჭირდება.

„ახლა ჩვილს ნუ დაინწყობ!“

— ალბათ წავალ. ისე, ერთხელ მაინც გენახათ ის ბავშვი და იქნებ ჩემსავით ვერ გაჩერებულყავით! — ეუბნება დემნა.

დირექტორი კმაყოფილია. როგორც ჩანს, თავსატეხი მოეხსნა, რაკი დემნა ნასვლას აპირებს.

— ჩემიც გაიგეთ, დემნა. ამ სოფელში დავიბადე და გაიზარდე. ეს ხალხი... ჩემი ოჯახიც აქ ცხოვრობს. მე და თქვენ ქვეყანას ვერ გადავბრუნებთ. იქნებ მომავალმა თაობამ...

სახლში იმ გზით მიდის, სადაც სოფლის ბირჟაა. ბიჭები დგანან და ხმაურობენ. იქვე მანქანა დგას და მოზარდს ფეხი აქვს გადმოყოფილი. შორიდანვე სცნობს. ერთ-ერთი მოძალადეა. ხელის განვადენაზე ჩაუვლის ბიჭებს და ნარმოდგენს, როგორ ესვრიან ზურგში ქვებს. მხოლოდ მუსიკის ხმა ისმის და მეტი არაფერი. გასცდება თუ არადა, ზურგში გინება ხვდება.

„მე აქ ველარაფერს შევცვლი!“ — ფიქრობს და სინანული ეუფლება, რომ თავის დამცირების საშუალება და მიზეზი მისცა ყველას.

კართან კატა კნავის, ორი დღეა არ უჭმევია. გამეტებით უქნევს ფეხს და უკანა თათზე მოსდებს. ცხოველი გამწარებით ჩხავის, მაგრამ შორს არ მიდის, იქვე ჩაიჭუჭქება, ისევე კნავის.

საკუთარი თავის რცხვენია. „მე ვარ ფარისეველი მასწავლებელი!“ — ჩურჩულებს და რძეს უსხამს პატარა ჯამში.

ლეიბი ზურგზე აქვს აკიდებული და ისე მიდის სახლისკენ, სადაც ჯერ კიდევ ერთი წლის წინ უნდა შესახლებულიყო. იატაკი ნახევრად ჩანგრეულია. კედლები ნესტისგან და სისველისგან დალაქავებულია და შმორის სუნით დგას.

„მთავარია, წყალი არ ჩამოდის, გავძლებ!“

ლეიბს ძირს აფენს და წვება.

სიბნელეში ეღვიძება.

ხმაური აღვიძებს. თითქოს მისაღებ ოთახში ვიღაც დადის.

„ესენი მომკლავენ!“ — ფიქრობს და ეშინია.

„აივანზე აცოცებული ბავშვი!“

მშვიდად ზის და აკვირდება მკრთალ შუქს, მისი ოთახისკენ რომ მოიწვევს.

ქიმიის მასწავლებელია. ქალი სახლს ათვალთვლებს და რაღაცას ბურტყუნებს. დემნას ეჩვენება, რომ ვიღაცას წყევლის. წამოდგება და უბოდძებს, დაუკითხავად რომ წამოიღო ლეიბი. უახლოეს დღეებში იყიდის და ახალს მიუტანს.

ქალი ქოშინით კეცავს ლეიბს და გულზე იხუტებს.

— წამოხვალ და დაიძინებ ადამიანურად. ძალი ხარ? აქ რა გინდა? — ამბობს მკაცრი ხმით და მოხუცი ადამიანის ნაბიჯით გადის ეზოდან.

დემნა ქალის ზურგს უყურებს. ახსენდება ელზაც. კიდევ რამდენიმე ბავშვი, ხაზგასმით თბილად რომ მიესალმნენ ბოლო გაკვეთილზე.

„მგონი, აქ მარტო არ ვარ!“ — ფიქრობს და მშვიდად მიჰყვება მასპინძელ ქალს, რომელიც სიბნელეში ოსტატურად იკვლევს სოფლის გზას.

# ელენე რევიშვილი სამუაბათი

დასასრული

პოლიცია

მოსაცდელში ვზივარ. დღეს ბევრი ხალხი არ არის. წამალს დათო გასცემს, ჯანდაცვის წარმომადგენელი. ძალიან კარგი კაცია. დღეში 100-150 ჰაციენტი ჰყავს და ყველას ფეხზე ადგომით ესალმება.

ეზოში თინა შემხვდა, მორბოდა გამწარებული, დათო არ წავიდეს, დამაგვიანდაო. ბაბუაჩემის მდგომარეობა ჩარბენით გამომკითხა და კარიდან მომძახა, მაღლობა გვერდში დგომისთვისო.

## შემაღი სამუაბათი

რეცეპტის ასაღებად გვიან მივედი. ყველა ნასული დამხვდა. არც ვიხსოვ. არც მანანა დეიდა, არც ლიკა და არც ჩემი იქაური ნაცნობები აღარ დამხვდნენ. სამინლად წვიმს და პოლიციამდე უამრავ საცობში მოვხვდი. კარში ვიკა შემხვდა, რატომ დაავადებ, ვინერვიულო.

5 საათი დაიწყო და ისევ რიგია. ხუთს აკლდა 15, დათომ რომ წამლები გადმოძვა. ხელი ყველგან მოვუნერე და ბაბუას ავტოგრაფიანი ნიგნი ვაჩუქე. ისე გაუხარდა, მეორედ წამომიდგა ფეხზე. ხელზე მაკოცა, დაჯდა და რეცეპტების დალუქვა დაიწყო. მე წინ დავუჯექი და ტაქსი გამოვიძახე. ისევ წვიმდა. ამოჭრილი ფანჯრიდან ვაკვირდებოდი დათოს, როგორ გადათვალა წამლები, აიღო ქურთუკი, დაჯდა და თავიდან დაიწყო გადათვლა. იქვე მჯდომ პოლიციელს გადახედა, ბევრი დამრჩაო. მერე თავისი რვეული აიღო და თინა არ მოსულა, ალბათ იგვიანებსო. ჩემი ტაქსიც იგვიანებდა, დათოს ვუთხარი, პიკის საათი იწყება და იმხელა საცობებია სანაპიროზე-მეთქი.

ვიჯექი და ტელეფონს ვსჭროლავედი, არც თინა ჩანდა, არც ჩემი ტაქსი. დათო რაღაცას ეძებდა რვეულში და თან ხმამაღლა ფიქრობდა, სამინისტროში ველარ ვასწრებ მისვლასო.

ტაქსის მძღოლმა დარეკა, რომ 10 წუთი აგვიანდებოდა. დათომ თინას ნომერი მოძებნა. ტელეფონს რომ არ უპასუხა, ვიფიქრე, ფეისბუქში მივწერდი და მისი კედელი გაგხსენი... ვიგრძენი, რომ მთელი სხეული ერთბაშად დამიბუჟდა და სუნთქვა გამიჭირდა. ისე გამოვედი, დათოსთვის არაფერი მითქვამს. ის კი იჯდა ტელეფონთან და დარეკვას ცდილობდა.

ტაქსი ეზოში დამხვდა. მთელი გზა თვალწინ მედგა დედამისის ფოტოები და სამძიმრის წერილები. ვოცნებობდი, თინასთვის ერთი წუთით მაინც მომეკა თვალა. ტაქსიდან ჩამოვედი და ფეხით გავაგრძელე გზა. ყველაფერზე ერთდროულად ვფიქრობდი, და ეს ფიქრები ერთმანეთში მერეოდა. ერთი რამ კი ზუსტად ვიცოდი, ყველა ეს უცხო ადამიანი, რომლებსაც სხვაგან ვერსად შევხვდებოდი, ერთმანეთისთვის განსაკუთრებულად ახლობელი გავხვდები. ახლა ისიც ვიცი, რომ უმიზეზოდ არასდროს არსად დავავაგვიანებ, სადაც ახლობელი ადამიანები მელოდებიან...

უცებ თინასთვის ნათქვამი ტყუილი მახსენდება, დიდი და უაზრო... არა, რამ მათქმევინა, რაღაც გამოგონილი იმედი... სამინლად ვბრაზდები საკუთარ თავზე და მინდა, რომ თინა აღარასოდეს შემხვდეს... თვალს ვერ გავუსწნოვებ.

ისევე იქ წვიმს. თეატრთან ვუხვევ და ბაბუს ვარდს ვაკვირდები... ახლოს მივდივარ, ხელით ვამოწმებ, რომ დავრწმუნდე... ვერ ვხვდები, რა სჭირს... ჰაერს ღრმად ვისუნთქავ და ისე ვცნობს... გუბებზე გვერდს ვუვლი და ანურული, წვიმასთან ერთად შევდივარ ჩემ არკაში.



## იაკობ გომბააშვილის სახელობის ლიტერატურული პრემია



26 ოქტომბერს მწერალთა სახლში იაკობ გომბააშვილის სახელობის საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურული პრემიის გამარჯვებულთა დაჯილდოება გაიმართა.

იაკობ გომბააშვილის სახელობის პრემია მწერალთა სახლმა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით უკვე მეორედ გასცა. ყოველწლიური პრემიის მოსაპოვებლად საკონკურსოდ შემოსული 42 ნიგნიდან ფინალური ეტაპისთვის 21 შეირჩა, რომელთაგან არც ერთი აღმოჩნდა დებიუტის ნომინაციაში.

პრემიის წლევედელი გამარჯვებულები არიან:

**ნათია ჯანაშია** (საუკეთესო პოეტური ნიგნი);

**თამარი ფხაკაძე; დინა ანფიმიაძე; ნატო დავითაშვილი** (საუკეთესო პროზაული ნიგნი);

**ანა ჯანელიძე; ლელა ცუცქერიძე** (საუკეთესო ილუსტრირებული ნიგნი);


**ალექს ჩიღვინაძე** (საუკეთესო საბავშვო დრამატურგია);

**თამარ კვიციანიძე** (საუკეთესო ნათარგმნი საბავშვო/საყმაწვილო ნიგნი);

**ირმა მალაყიძე** (საბავშვო/საყმაწვილო ინოვაციური პროექტი);

განსაკუთრებული წვლილისთვის კი პრემია მიენიჭა **გურამ პეტრიაშვილს**.

## ვახუშტი კოტიტიშვილის სახელობის პრემია კოეზიის მთარგმნელებისათვის



მწერალთა სახლი გამომცემლობა „დიოგენესთან“ ერთად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით აცხადებს ვახუშტი კოტიტიშვილის სახელობის პრემიის კონკურსს.

ვახუშტი კოტიტიშვილის პრემია გაიცემა ორ ნომინაციაში: ნიგნად გამოცემული ნათარგმნი პოეზია და ლიტერატურულ პერიოდიკაში დაბეჭდილი პოეზიის თარგმანი. შესაბამისად, საკონკურსოდ განიხილება 2017 წელს ნიგნად/ელექტრონულ ნიგნად გამოცემული პოეზიის თარგმანები და ლიტერატურულ პერიოდიკაში გამოქვეყნებული პოეზიის თარგმანის პუბლიკაციები. პრემიის ოდენობა ნიგნის ნომინაციაში 1800 ლარია, ხოლო პუბლიკაციისა — 700 ლარი.

საკონკურსოდ წარდგენილი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა ქართულ ენაზე;

ნიგნის კონკურსზე წარდგენა შეუძლია მხოლოდ გამომცემელს;

თითოეულმა გამომცემელმა შეიძლება, წარადგინოს არაუმეტეს 5 ნიგნისა; თითოეული ჟურნალის/გაზეთის გამომცემელმა — არაუმეტეს 10 პუბლიკაციისა (გთხოვთ, წარმოადგინოთ ნიგნისა და ჟურნალის 3 ეგზემპლარი); ფინალისტების მოკლე ნუსხას მწერალთა სახლი და გამომცემლობა „დიოგენე“ 2018 წლის დეკემბრის დასაწყისში წარადგენენ.

გამარჯვებულს ამა წლის დეკემბრის ბოლოს გამოავლენს ჟიური 5 წევრის შემადგენლობით, ჟიურის წევრთა ვინაობა კონფიდენციალურია;

ჟიურის წევრებს შეარჩევენ მწერალთა სახლი და გამომცემლობა „დიოგენე“;

გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით;

ჟიურის აქვს უფლება, გამოხატოს სახით გაყოს პრემია ერთ ან ორივე ნომინაციაში, ამ დროს გაიყოფა საპრემიო თანხაც.

საკონკურსო ნაწარმოებები მიიღება მწერალთა სახლში (მარაბლის ქ. N13) 22 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე. დამატებითი კითხვების შემთხვევაში დარეკეთ: 2 97 41 01/02

ლიტერატურული გაზეთი  
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო  
საქართველოს მწერალთა სახლი  
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე  
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი  
ჟურნალისტი თამარ ყურული  
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com  
ISSN 2346-7940  
9 1772346 794004